პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 ნოემბერი **სამშაბათი** 2011
№275 (13572) ფასი 80 თეთრი

დღეს სპორტის სასახლეში, 18:00

## ვქომაგობთ!

ჩვენს არმიას ლეიდენთან ჩვენი არმია სჭირდება

↳12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპელებმა თარგამაძე ჩვენებურად თარგმნეს: ეს ბიჭი კარგად თამაშობს!

↳3



## იგორ სურკისი კი კიევის დინამოს სკაუტებს ყურის აწევით ემუქრება, თუ...

## მანჩესტერელები ყურადღების ცენტრში

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ნაპოლი-სიტი
იუნაიტედი-ბენფიკა

↳9



● U 19

# ჯერ ჩვენ, მერე მე

## გიორგი დევდარიანის პასუხი რიტორიკულ კითხვაზე: გვინდა სიხარული და იმედი?

## მეტი ფიქრი სითამამე სიახლე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთში გამართული ევრო 2012-ის შესარჩევი ტურნირი წარმატებით დაასრულა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ახლა ელიტრაუნდის წილისყრას ელის.

გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პრესკონფერენცია გამართა და განვლილ თამაშებზე, წარმატების მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა.


გიორგი დევდარიანი

- ციფრები ყველაფერზე მეტყველებს და მიმაჩნია, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. გუნდმა ლამაზი ფეხბურთი აჩვენა და პირველი ადგილი ეკუთვნოდა. სამივე თამაშში დიდი უპირატესობა გვქონდა და შემდეგ ეტაპზეც გავედით. რის ხარჯზე, ეს სხვა თემაა.

**- რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, წარმატებული მწვრთნელი ასაკობრივ ნაკრებს მომდევნო ასაკობრივ ეტაპზეც რომ გადაჰყვეს?**

- ზოგადად, მიღებული არ არის, მწვრთნელი გუნდს 16 წლიდან მიჰყვებოდეს. თუმცა, გუნდს თუ შედეგი აქვს, სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს და გამარჯვებულის მენტალიტეტი გააჩნია, ეს გამართლებულია და საერთო საქმეს წაადგება.

ვფიქრობ, ამ ნაკრებთან ჩემი მუშაობით არაფერი დაშავებულა, რადგან ამ ბიჭებს, მათ თვისებებსა და ხასიათებს ჩემზე კარგად არავინ იცნობს.



**- თურქეთში ყველაზე რთული თამაში რომელი იყო?**

- პოლონეთთან შეხვედრა, რადგან მხოლოდ ის ვიცოდით, რომ, სავარაუდოდ, 4-4-1-1 ტაქტიკით თამაშობდნენ, დანარჩენზე წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ უტევდნენ და თავს როგორ იცავდნენ... პირველი მატჩის შემდეგ მეც და ფეხბურთელებმაც უფრო ვირწმუნეთ ჩვენი შესაძლებლობებისა, მერე კი მეტოქეებზეც შევიქმენით წარმოდგენა, რადგან თურქეთ-ლუქსემბურგის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ.

აქვე ვიტყვი, რომ თურქებთან მატჩის ანგარიში რეალობას ვერ ასახავს, უპირატესობას ვფლობდით და ბევრი მომენტიც შევქმენით.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ წარმატებით ქართულ ფეხბურთში გადატრიალება მოვახდინეთ. მაგრამ მას წინ დიდი შრომა უძღოდა. პროექტის განხორციელება 2008 წელს დავიწყეთ და არ შემიძლია, ფედერაციის ძველი ხელმძღვანელობის დამსახურება არ ვახსენო. შევიტანეთ პროექტი, რომელიც მოიწონეს და მისი განხორციელება ფედერაციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამაც გააგრძელა, პროექტში კი უდიდესი წვლილი "იბერია ბიზნეს ჯგუფს" მიუძღვის, რომელიც ტექნოლოგიების დანერგვასა და ექსპერიმენტის ჩატარებაში დაგვეხმარა. დიახ, ექსპერიმენტის ჩატარებაში, რომელიც ახალი საფეხბურთო მეთოდიკის დანერგვას ითვალისწინებდა. პირველად ეს პროგრამა 1985 წელს დაბადებულთა წვრთნისას განვახორციელეთ და გაამართლა. მაშინ გავზარდეთ ხოჯავა, გეწაძე, ელიავა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავედით.

იგივე მეთოდიკა დავნერგეთ 1993 წელს დაბადებულებში და კვლავ ელიტრაუნდში გავედით. კერძოდ, ლაპარაკია ოთხწლიან ციკლზე, რომელშიც ყოველ ზამთარ-ზაფხულს რვაკვირიანი მოსამზადებელი პერიოდია. ამ პრაქტიკამ მოგვიტანა გამარჯვებულის ფსიქოლოგია, სიხარული და იმედია, მალე დიდ ფულსაც მოუტანს ქვეყანას. დრო გვიჩვენებს, ეს პროექტი მომავალშიც განხორციელდება თუ არა.

**- საქართველოში თაობები წაგებულის ფსიქოლოგიით იზრდებიან, თქვენი გუნდი კი იშვიათი გამონაკლისია.**

- ამ ბიჭებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია რომ აქვთ, თურქებთან ფრედ დასრულებულ მატჩშიც გამოჩნდა. მათთან მათსავე მოედანზე ფრე ნებისმიერ გუნდს დააკმაყოფილებდა, რასაც საკუთარ თავზე, სამწვრთნელო გუნდსა და ფეხბურთელებზე ვერ ვიტყვი, ყველანი დაღვრემილები ვიყავით. ასეთი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას დრო უნდა და ესეც ნახსენები პროექტის ნაწილია.

აქვე მადლობა მინდა გადავუხადო სოსო ჭედიას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რადგან 10 ნოემბერს ახალგაზრდული ნაკრები შვეიცარიას ეთამაშებოდა და რამდენიმე ფეხბურთელი მაინც დაგვითმეს, თუმცა შეეძლოთ, ეს ბიჭები შვეიცარიაში წაეყვანათ.

გუნდისა და გამარჯვებულის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება რთული და ძალიან მნიშვნელოვანია, ფეხბურთელებმა უნდა უარყონ "მე" და წინ დააყენონ გუნდი და "ჩვენ". ჩვენ ეს მოვახერხეთ და მინდა, მოთამაშეებს მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით ლეგიონერებს, რადგან მათ უფრო უჭირთ საკუთარი თავის უკან დაწევა.

**- თურქეთში გუნდმა შესაძლებლობა სრულად გამოავლინა თუ კიდევ აქვს პოტენციალი?**

- მიმაჩნია, რომ ბევრად მეტი შეგვიძლია. მალე ელიტრაუნდის კენჭისყრა გაიმართება, მეტოქეების ვინაობა გვეცოდინება და მერე ამხანაგურ თამაშებს დავგეგმავთ. მთავარია, ზამთრის მოსამზადებელ ეტაპს რამდენად ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

**- ლუქსემბურგთან გიორგი ჭანტურიამ ორი ყვითელი ბარათის გამო ვერ ითამაშა. ის არასათამაშო სიტუაციებში გააფრთხილეს?**

- მადლობის სიტყვები რომ ვთქვი, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ფეხბურთელებმა ემოციები მოთოკეს, ყვითელი ბარათებიც ბრძოლაში მიიღეს და არა არასპორტული საქციელისთვის, მათ შორის, ჭანტურიამაც. აქვე ვიტყვი, რომ რამდენჯერმე ყვითელი ბარათი დაუმსახურებლად გვიჩვენეს.

**- შესარჩევ ციკლამდე, ფაქტობრივად, წელიწადნახევარიანი პაუზა გქონდათ, ამხანაგური მატჩებით განებივრებული არ იყავით, ახლა ეს შესაძლებელი იქნება?**

- საქართველოს ნაკრებს პოლონეთთან გამარჯვებისთვის ტოტალიზატორებში ძალიან მაღალი კოეფიციენტი — 5,0 რომ ეწერა, ჩვენთვის შეურაცხმყოფელი იყო და ბიჭების განსაწყობად ეს ფაქტორიც გამოვიყენეთ. თუმცა, შეფასება გამომდინარეობდა იქიდან, რომ ტურნირამდე პოლონელებმა 15 ამხანაგური თამაში ჩაატარეს, ჩვენ კი მხოლოდ 3.

ახლა დაველოდებით კენჭისყრას და იმედია, უკეთესად მოვემზადებით.

**მერაბ მამულაშვილი**

● ბაია

# პრობლემა იყო, ნამდვილად, მაგრამ მოგვარდა უკვე

## ქრონიკული პასუხი ზუგდიდიდან


ელგუჯა ქომეთიანი

რამდენიმე დღის წინ "ბაიაში" შექმნილ ფინანსურ პრობლემებსა და გუნდის შემადგენლობის მოსალოდნელ შესუსტებაზე ვწერდით, თუმცა, ტრავმირებულებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ზუგდიდელებს ეროვნული ჩემპიონატის გასულ ტურში არავინ დაჰკლებიათ.

როგორც "ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** გვითხრა, კლუბს გარკვეული პრობლემები მართლაც ჰქონდა, მაგრამ დღეისთვის ყველაფერი მოგვარებულია.

*"მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ნამდვილად არ ყოფილა საფუძველს მოკლებული, მაგრამ საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც მკითხველს შეიძლება ეფიქრა. ვადასტურებ, რომ იმ მომენტისთვის ფეხბურთელებსა და სამწვრთნელო შტაბს ხელფასები არ ჰქონდათ აღებული, მაგრამ დღეისთვის სახელფასო დავალიანება სრულად გასტუმრებულია. კლუბს გასაცემი აქვს მხოლოდ "დინამოს" დამარცხებისთვის დაწესებული პრემია. ამ საკითხსაც უახლოეს დღეებში მოევლება.*

*არც ერთ ფეხბურთელს "ბაიადან" წასვლაზე არ უფიქრია და კლუბში ჩვეულებრივი სამუშაო ვითარებაა. მომავალს იმედით ვუყურებთ და გვჯერა, დასახული მიზნების განხორციელებაში ხელს ვერაფერი შეგვიშლის"*, - აცხადებს "ბაიას" თავკაცი.

მან ისიც გვითხრა, რომ "ბაიას" სპონსორმა "ფერერომ" თანხა უკვე ჩარიცხა და კლუბი დახმარებას მეორე სპონსორის, "ევროპაბეთისგანაც" იღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ფუტსალი

# არის ერთი მაგრამ, რადგან...

## შეცვლის კი უეფა თავის ვერდიქტს?

სწორედ ასეთია საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პერსპექტივა, რომ საქმე საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ შემოატრიალოს. საქმის არსს კი გუშინდელ "ლელოში" გაეცნობოდით – უეფამ მოლდოველებს აპელაცია დაუკმაყოფილა და დაადგინა, რომ თბილისში საქართველოსა და მოლდოვის ნაკრებებს 2:2-ის შემდეგ პენალტები კი არ უნდა დაერტყათ, უკეთესი რეიტინგის წყალობით ჯგუფის გამარჯვებულებად მოლდოველები უნდა გამოცხადებულიყვნენ.

უეფამ მოლდოველთა არგუმენტები დამაჯერებლად მიიჩნია და მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის გამარჯვებულად მათი ნაკრები გამოაცხადა. ერთი შეხედვით, ვერ შეედავები, რადგან, დებულების მიხედვით, სიმართლე მოლდოველთა მხარესაა. თუმცა სათქმელი ქართულ მხარესაც აქვს – უეფას დელეგატმა (სწორედ მის შეცდომას მოჰყვა ამხელა დავიდარაბა) მატჩის დაწყებამდე ბრძანა, რომ 2:2-ს პენალტები უნდა მოჰყოლოდა. როცა საქართველოს ნაკრები 2:1-ს იგებდა, მოლდოველებმა მეკარე მოედნის მოთამაშით შეცვალეს და ანგარიშიც გაათანაბრეს. 2:2-ის შემდეგ შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთი კიდევ იყო დარჩენილი და საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის მატჩამდე რომ ეთქვათ, მხოლოდ მოგება გჭირდებათო, ისიც შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა და თამაშის ტემპის დაგდების ნაცვლად, მოედნის მეხუთე მოთამაშის შეყვანით ეცდებოდა გამარჯვების გოლის გატანას.

საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ უეფაში საპასუხო აპელაცია კი შეიტანა, მაგრამ უეფა საკუთარ ვერდიქტს, მით უმეტეს, აპელაციის შედეგად მიღებულს, ძალიან იშვიათად ცვლის...

**ლევან ჯანეზაშვილი**


საქართველო-მოლდოვა
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.msy.gov.ge)

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით რაჟამაშვილთან

# ფერი ფერსაო, შემტევი ფეროსაო

**წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ ალმოჩენად სამართლიანად მიიჩნევენ „დილას“ ნახევარმცველ დავით რაჟამაშვილს. დღესდღეობით გორელთა გუნდში ის წამყვან მობურთალთაგანია. მას განსაკუთრებით მოედნის ხედვა, დრიბლინგი და პასის კულტურა გამოარჩევს. ცოტა ხნის წინ რაჟამაშვილის მიმართ ინტერესი მოქმედმა ჩემპიონმა „ზესტაფონმა“ გამოიჩინა და 23 წლის გორელ შუახაზელს კონტრაქტიც გაუფორმა. ეს საუბარიც დავითთან მას შემდეგ ჩავწერეთ.**

— **„ზესტაფონში“ შენი გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა?**

— დიახ, სამწლიან კონტრაქტს უკვე მოვაწერე ხელი. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას დავტოვებ „დილას“.

— **წლეულს განსაკუთრებით კარგი სეზონი გქონდა, ამიტომაც ბევრი ფიქრობდა, რომ „დილადან“ მალე წახვიდოდი და ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც. „ზესტაფონის“ გარდა, სხვა კლუბიც ხომ არ ცდილობდა შენს მიწვევას?**

— იყო ლაპარაკი სხვა გუნდებზეც, ოღონდ „ზესტაფონივით“ რეალურად მხოლოდ ერთი ქართული კლუბი მთავაზობდა გადასვლას. საბოლოოდ, მოქმედ ჩემპიონებთან გადასვლა ვამჯობინე. „ზესტაფონი“ ჩემთვის სასურველი, შემტევი სტილის მიმდევარია. რამდენიმე წელია, ამ გუნდის თამაში მომწონს, თან, რაც უნდა იყოს, ჩემპიონია და, შესაბამისად, სულ სხვა სიმაღლეა.

— **... და სულ სხვა მოთხოვნებიც. ვგულისხმობ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის სირთულეს.**

— რასაკვირველია, იქ ადგილის დამკვიდრება იოლი არ იქნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ხომ სერიოზული გამოწვევაცაა ჩემთვის. უნდა ვიბრძოლო, რომ მწვრთნელებმა მნიშვნელოვან მოთამაშედ მიმიჩნიონ. ახალი ასპარეზი და ევროტურნირებზე თამაშის პერსპექტივა გამიჩნდა და ამას გამოყენება უნდა.

— **როგორ ფიქრობ, გორში შენი შესაძლებლობები სრულად ამოწურე?**

— მშობლიური კლუბისთვის თავი არ დამიზოგავს, დარჩენილ შეხვედრებშიც ყველანაირად ვეცდები, „დილას“ ბრძოლაში, სატურნირო ცხრილში რვა საუკეთესოს შორის მოიპოვოს ადგილი, ჩემი წვლილი შევიტანო. ძალიან რთული შეხვედრები გველის ჩემპიონატში, თასზე კი შევეცდებით, რომ ნახევარფინალში გავიდეთ.

— **ალბათ დამეთანხმები, სატურნირო ცხრილში არსებული ვითარების მიუხედავად, „დილაში“ წლეულს არაერთი სასიამოვნოდ გასახსენებელი მატჩი ითამაშე.**

— დიდი სიხარული მოგვიტანა უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ჩატარებულმა შეხვედრამ „სამტრედიასთან“. მთელი ქალაქი ზეიმობდა მაშინ ჩვენს წარმატებას. საქართველოს თასიდან „დინამოს“ გამოთიშვაც ხომ ალსანიშნავი ამბავია, ისევე, როგორც ჩემი მომავალი კლუბის „ზესტაფონის“ დიდი ანგარიშით, 4:0 დამარცხება სტუმრად.

— **საინტერესოა, ზესტაფონელებმა მაშინ ხომ არ დაგადგეს თვალი?**

— არ ვიცი, მათთვის ამის თაობაზე არ მიკითხავს.

— **როგორი იმედით და სურვილებით ტოვებ „დილას“?**

— კლუბში ყველა მონდომებულია საიმისოდ, რომ შესრულდეს ამ ეტაპზე დასახული მიზანი და საუკეთესო რვა გუნდში მოვხვდეთ. ახალა გამოცდილი მწვრთნელი თემურ მახარაძეც დაგვეხმარება. გარეშე თვალითაც რომ შემეძლოს შეხედვა, ვიფიქრებდი, რომ „დილას“ ლიგის დატოვების საფრთხე არანაირად არ დაემუქრება. ძალიან მინდა, რომ გორიდან ჩემი წასვლისას ამ მხრივ დამშვიდებული ვიყო.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



დავით ასპანიძის ფოტო

## პირველი ლიგა, XIV ტური

### ა ზონა

**19 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ) - სამტრედია | 3:0 |
| ჩხერიმელა (ხარაგ.) - კოლხეთი (ხ) | 2:1 |
| მერცხალი (ოზურგეთი) - ჭიათურა | 1:0 |
| მესხეთი (ახალც) - მეშახტე (ტყიბ) | გადაიდო |

**20 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სტუ (თბ) - ლოკომოტივი (თბი) | 4:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 14 | 11 | 2 | 1 | 24-7 | 35 |
| 2. მერცხალი | 14 | 9 | 2 | 3 | 19-12 | 29 |
| 3. ჭიათურა | 13 | 7 | 3 | 3 | 18-10 | 24 |
| 4. ჩხერიმელა | 14 | 6 | 3 | 5 | 18-21 | 21 |
| 5. სტუ | 14 | 6 | 2 | 6 | 28-32 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 4 | 3 | 6 | 23-22 | 15 |
| 7. მესხეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-12 | 14 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 14 | 3 | 4 | 7 | 11-16 | 13 |
| 9. მეშახტე | 13 | 2 | 3 | 8 | 12-19 | 9 |
| 10. სამტრედია | 13 | 1 | 4 | 8 | 10-23 | 7 |

### ბ ზონა

| | |
|---|---|
| იმერეთი (ხონი) - ჩიხურა (საჩხერე) | 0:2 |
| აეტი (სოხუმი) - სამგურალი (წყალტუბო) | 2:1 |
| სქური (წალენჯიხა) - ადელი (ბათუმი) | 2:1 |
| ზოოვეტი (თბილისი) - გურია (ლანჩხუთი) | 1:0 |
| სულორი (ვანი) - ნ. დინამოელი (თბილისი) | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 13 | 12 | 1 | 0 | 32-2 | 37 |
| 2. გურია | 13 | 9 | 2 | 2 | 32-9 | 29 |
| 3. ნ. დინამოელი | 14 | 7 | 1 | 6 | 25-18 | 22 |
| 4. იმერეთი | 14 | 7 | 1 | 6 | 24-19 | 22 |
| 5. ზოოვეტი | 14 | 7 | 1 | 6 | 18-24 | 22 |
| 6. სქური | 14 | 6 | 2 | 6 | 19-22 | 20 |
| 7. სამგურალი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-15 | 19 |
| 8. ადელი | 14 | 3 | 1 | 10 | 14-28 | 10 |
| 9. სულორი | 13 | 2 | 2 | 9 | 6-29 | 8 |
| 10. აეტი | 13 | 2 | 1 | 10 | 7-31 | 7 |

ლეგიონერი



# თარგამაძემ თქვა და, არაფერი თქვა

## ვინ დაენაძლევება იგორ სურკისს?

უდავოა, **დავით თარგამაძე** 2011 წლის ქართული და უკრაინული საფეხბურთო სეზონების აღმოჩენაა. 22 წლის შემტევი ნახევარმცველი, რომელიც ორი წლის წინ ბევრმა ჩამოწერა, უკრაინულ "ოლექსანდრიაში" შთამბეჭდავად ათამაშდა და ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და საინტერესო ფეხბურთელი გახდა.

*"თარგამაძეს სერიოზული წინადადებები აქვს ინგლისის, პორტუგალიისა და სერია A-ს კლუბებიდან. აგრეთვე, მოსკოვის ერთ-ერთი ტოპკლუბიდან"* - ამბობს ქართველის მენეჯერი **ანდრეი ბილეიჩუკი**, რომელიც წლების წინ **კახა კალაძის** პრესატაშე და მენეჯერი იყო.

რომელ კლუბებზეა ლაპარაკი? ინგლისელთა წინადადებაზე საუბრისას თარგამაძემ მხოლოდ ინგლისის ჩემპიონშიფის "ბირმინგემი" ახსენა. ჩემპიონთა თასის, ჩემპიონთა ლიგის, ევროპის სუპერთასის, ევროპის ლიგისა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ პორტუგალიურ "პორტუს" შეთავაზებაზე კი ყველამ უწყის.

პორტუგალიელთა ინტერესი ფეხბურთელმა თავად დაგვიდასტურა, სერია A-ს კახა კალაძის "ჯენოას" მიწვევაზე კი კონკრეტულად ვერაფერს ამბობს. თარგამაძემ ასევე გვითხრა, რომ მის მენეჯერს მოლაპარაკება მოსკოვის "დინამოსთანაც" აქვს. თუმცა, სრულიად სხვა წყაროდან ვიცით, როდესაც თარგამაძემ ლვოვის "კარპატისთან" ფაქტობრივად შეთანხმებულ კონტრაქტზე თქვა უარი, სწორედ მაშინ ახსენა, რომ მოსკოვის ცსკა იწვევს და ლვოვში თამაში აღარ ულირდა.

ლოგიკურადაც ასეა – დღეს რუსეთში სამი ტოპკლუბია, პეტერბურგის "ზენიტი", მოსკოვის ცსკა და მოსკოვის "სპარტაკი". მოსკოვის "დინამო" ასეთად არ მიიჩნევა.

ანდრეი ბილეიჩუკი მიანიშნებს, რომ ცოტა ხნის წინ ქართველ ლეგიონერს ლვოვის "კარპატისთან" და თბილისის "დინამოსთან" ერთად, ოღონდ პირატული გზით, კონტრაქტის გაფორმებას კიევის "არსენალიც" სთავაზობდა.

*"შემიძლია, უკრაინის პროფლიგის სადისციპლინო და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ეთიკის კომიტეტებს შესაბამისი დოკუმენტაცია დღესვე გადავუგზავნო"* – ამბობს ბილეიჩუკი.

„ოლექსანდრიას“ პრეზიდენტი **ნიკოლაი ლავრენკო** ამტკიცებს, თარგამაძეს კონტრაქტი 2012 წლის ბოლოს უმთავრდება და მის გაყიდვას არ ვაპირებთო. ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ სარფიანი ვაჭრობის სურვილით უფრო აიხსნება, ვიდრე მოთამაშის შენარჩუნების მოტივით. "ოლექსანდრია" იმ დონის კლუბი არ არის, მისმა პრეზიდენტმა უარი უთხრას ინგლისის, პორტუგალიის, იტალიის, რუსეთისა და უკრაინის ძლიერ და მდიდარ კლუბებს.

მით უფრო, რომ დაინტერესებულთა შორის ახლა კიევის "დინამოც" ამოტივტივდა: „ოლექსანდრია“ უკრაინის პრემიერლიგის ბოლო ტურში კიევის „დინამოს“ ესტუმრა და 0:4 წააგო. სწორედ ამის შემდეგ გაირკვა, რომ ქართველ ფეხბურთელს უკრაინული გრანდიც აკვირდება.

მატჩის შემდეგ კიეველთა თავკაც **იური სიომინს** თარგამაძეზეც ჰკითხეს:

**- მართალია, თითქოს „ოლექსანდრიას“ მოთამაშე დავით თარგამაძით დაინტერესდით?**

- თარგამაძე კარგი ფეხბურთელია და ვფიქრობ, მის მოქმედებებს მოედანზე ყველა განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს. რა იქნება მომავალში, ამაზე პასუხი ჯერ გამიჭირდება.

**- როგორ შეაფასებდით დღეს მის თამაშს?**

- მან კარგად ითამაშა...

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში თქვა, რომ თარგამაძის სხვა ძლიერ კლუბში მოხვედრას თავისი სელექციონერების მინუსად ჩათვლის.

გთავაზობთ ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან:

**- თქვენ დღეს აკვირდებოდით თარგამაძეს, რომელზეც ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ?**

- ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს, ზამთრის სატრანსფერო პაუზისას გავერკვევით. იური სიომინი არჩევს სასურველ მოთამაშეებს, ჩემი ამოცანა კი მათი ყიდვაა. უკრაინაში ბევრი კვალიფიციური მოთამაშეა, მაგრამ, სამწუხაროდ, კიევის "დინამოში" ყველა ვერ ითამაშებს.

**- რა რეაქცია გექნებათ, თარგამაძე "პორტუში" თუ გადავა?**

- გაძლევთ გარანტიას, რომ ეს არ მოხდება. თუ გნებავთ, შეგვიძლია, დავნაძლევდეთ კიდეც. და თუ წავა და ითამაშებს, მაშინ მე მექნება კითხვები ჩვენს სელექციონერებთან, რომლებმაც ფეხბურთელს თვალი სათანადო ყურადღებით ვერ მიადევნეს...

კიევის „დინამოს“ გულშემატკივართა ვებგვერდმა "დინამომანიამ" მატჩის შემდეგ თარგამაძეს ინტერვიუ სთხოვა, რომელიც საინტერესოდ წარადგინა: „ინტერვიუ „ოლექსანდრიას“ ლიდერთან და „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მოთამაშესთან“.

საინტერესო იყო ქართველის პასუხი კითხვაზე: პორტუგალიაშიც გიწვევენ და სხვა ქვეყნებშიც. ამის გამო წნეხს ხომ არ განიცდი?

*"სულაც არა. პორტუგალიურ ვარიანტზე მსმენია, მაგრამ ჯერ დაზუსტებით არაფერი ვიცი. თანაც, „ოლექსანდრიასთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე მაკავშირებს და ამ ზამთრამდე მაინც არსად წავალ"* – თქვა თარგამაძემ და, ფაქტობრივად, არაფერი თქვა.

აქ შეუსაბამობებიცაა: "ოლექსანდრიას" პრეზიდენტი ლავრენკო თარგამაძის კონტრაქტის დასრულების ვადად 2012 წლის ბოლოს ასახელებს, თავად ფეხბურთელი – 2013 წელს. ლავრენკო ამბობს, რომ ფეხბურთელს არსად უშვებს, ქართველმა კი, ზამთრამდე არსად მივდივარო.

აგერ თქვენ და აგერ ჩვენ: ამ ვაჭრობასაც მალე დაესმება წერტილი და თარგამაძე ისე კარგად წავა ამ კლუბიდან, თქვენი და ჩვენი მოწონებული.

**მერაბ მამულაშვილი**



დინამო-ტორპედო 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო გადაადგილებები

ორკვირიანი პაუზის მერე განახლებულ ჩემპიონატში მართლაც საინტერესო ტური ჩატარდა და ცხრილშიც ასევე არანაკლებ საინტერესო გადაადგილებებიც მოხდა. მართალია, ლიდერი უცვლელი დარჩა, მაგრამ „დინამოს" შთამბეჭდავი თამაში „ზესტაფონის" მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც უთუოდ შეაფიქრიანებდათ: მომდევნო ტურში ხომ სწორედ ამ გუნდების დაპირისპირება გველოდება და შესაძლოა ლიდერის შეცვლაც მაშინ მოხდეს. სხვა გადაადგილებებიდან კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს „მერანის" მორიგი წარმატება: უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გუნდი მეოთხე ადგილზე ალზევდა და ჩემპიონატის სტარტზე ამას თუ მოულოდნელობად (გნებავთ, სენსაციად) აღვიქვამდით, ყოველივე ეს ამჯერად უკვე კანონზომიერებად უნდა შეფასდეს! საჭიროზე-საჭირო 3 ქულა მოიპოვა ცხინვალის „სპარტაკმაც" — გამოცდილი სპეციალისტის, **ვლადიმერ ხაჩიძის** გაწვრთნილ გუნდს „გადამრჩენელ" მერვე ადგილამდე ცოტაღა აშორებს. კიდევ ერთი გადაადგილება კი „დინამოს" უკავშირდება: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა მესამედან მეორეზე გადაინაცვლა; თანაც ერთ-ერთი უშუალო კონკურენტიც („ტორპედო") დაამარცხა, მეორე („მეტალურგი") 4 ქულით ჩამოიტოვა და, რაც მთავარია, უმთავრეს კონკურენტს („ზესტაფონს") საფიქრალიც მოუმატა. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ მეორე ეტაპიდან გუნდებს მხოლოდ ერთმანეთში მოგროვილი ქულები გადაჰყვებათ (I-VIII ადგილებზე გასულებს ვგულისხმობთ) და მანამდე ჩასატარებელ რვა ტურში კიდევ ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს...

## სასიამოვნო მოულოდნელობა

7 მატჩი, 6 გამარჯვება და ერთი ფრე, ბურთების სხვაობა 13-2, — აი, ასეთია საშინაო მატჩებში მაჩვენებელი და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი შედეგი უმაღლეს ლიგაში არც ერთ გუნდს არა აქვს! ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, უმაღლესი ლიგის დებიუტანტის ასპარეზობა ამ სეზონის მთავარი და სასიამოვნო მოულოდნელობა რომ არის. ახალგაზრდა მწვრთნელის, **მალხაზ ჟვანიას** გუნდს, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა, თასის მეოთხედფინალშიც არის გასული და მარტვილიდან თუნდაც ქულის წამოღება ხომ უკვე ყველა მეტოქისათვის სერიოზულ პრობლემად იქცა. სეზონის დაწყების წინ ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, 14 ტურის შემდეგ დებიუტანტი გუნდი IV ადგილზე თუ იქნებოდა, თუმცა მარტვილელთა ასპარეზობიდან გამომდინარე ალარაფერი უნდა გვიკვირდეს. „მერანის" წარმატებული თამაშის საწინდარი კარგად ორგანიზებული გუნდური თამაშიც არის და ცალკეულ ფეხბურთელთა ჩინებული ბურთაობაც. კვლავაც ჩინებული მატჩი ჩაატარა გუნდის ლიდერმა და საერთოდაც, ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **გიორგი მანწკავამ** — 30 წლის ნახევარმცველმა სეზონში მეორე „დუბლი" შეასრულა (6 ბურთით გუნდის საუკეთესო ბომბარდირია) და ლომის წილი შეიტანა „ვიტ ჯორჯიას" დიდი ანგარიშით ძლევაში.

მანწკავას გარდა „მერანის" სხვა გამოცდილი ფეხბურთელებიც უნდა აღვნიშნოთ: 35 წლის **გივი დიდავა** და 29 წლის **გიგა ჟვანია**; თუმცა, ნუ დაგვავიწყდება მარტვილური გუნდის ის სხვა მოთამაშეებიც, „მერანის" ლიდერებადაც რომ ჩამოყალიბდნენ: 21 წლის **ჯონი შეროზია**, 24 წლის **ლაშა ჩალაძე**, 23 წლის **ანზორ სუხიაშვილი** და 21 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილი.** ისე, წლის ბოლომდე მარტვილში ჩემპიონატის ორივე ფავორიტი („ზესტაფონი", „დინამო") უნდა ჩავიდეს...

## შეხვედრა წარსულთან

არახალ ამბავს ვიტყვით: ეს სეზონი მართლაც „გამორჩეულია" საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში; ოღონდ, არავინ თქვას, რომ ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა „მივიყვანეთ" იდეალურ მდგომარეობამდე, ან კიდევ ჩემპიონატის დონე ამაღლდაო; უბრალოდ, მართლაც უცნაურზე-უცნაური კი არა, ყველა რეკორდულ მაჩვენებელს გადააჭარბა ჩვენს გუნდებში მწვრთნელების გაუთავებელმა მოხსნა-დანიშვნამ (ზოგან, ორ-ორჯერ და სამ-სამჯერაც შეიცვალა); მოკლედ, არც ერთი ახალი საკადრო ცვლილება არ უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, ეროვნულ ჩემპიონატს **თემურ მახარაძე** რომ დაუბრუნდა. თბილისის „დინამო-2", თელავის „კახეთი", თბილისის „მერანი-91", თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „ვიტ ჯორჯია", ბოლნისის „სიონი", „ზესტაფონი", რუსთავის „ოლიმპი" — აი, იმ გუნდების არასრული ჩამონათვალი, სადაც თემურ მახარაძეს უმუშავია და წარმატებულადაც. 2010 წლის 2 ოქტომბრის მერე მახარაძე უმუშევარი იყო და აი, ახალი გამოწვევაც: გამოცდილმა სპეციალისტმა გორის „დილა" ჩაიბარა; თანაც, პირველივე მატჩმა ყოფილ კლუბთან და დღესდღეობით სატურნირო ცხრილის ლიდერთან მოუწია. პირველ წრეში მომხდარი სენსაცია აღარ განმეორდა: „ზესტაფონმა" ორი უპასუხო გოლი გაუტანა „დილას" და ახლა, ურთულესი მატჩებისათვისაც მოემზადება. ყველაზე „საშინელი" გრაფიკი სწორედ „ზესტაფონს" აქვს და ახალგაზრდა სპეციალისტის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი ორი კვირის განმავლობაში თბილისის „დინამოს" უნდა დაუპირისპირდეს, ქუთაისის „ტორპედოსთან" ორი მეოთხედფინალური მატჩი ჩაატაროს და მერე, მარტვილში „მერანს" ესტუმროს!

## დინამოს დაბრუნება

ნავსი გატყდა: **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ" ამ სეზონში პირველად შეძლო ერთ-ერთი კონკურენტის დამარცხება! შეგახსენებთ, რომ ამ ტურამდე „დინამოს" „ტორპედოსთანც" ჰქონდა წაგებული და „მეტალურგთან", ხოლო „ზესტაფონთან" ფრედ ითამაშა. და აი, მართლაც გამორჩეულ მეტოქესთან მოპოვებული გამარჯვებაც! ეგ კი არა, „დინამო" - „ტორპედოს" მატჩის თვითმხილველნი დაგვეთანხმებიან, რომ მასპინძლებს ბევრად უფრო შთამბეჭდავი ანგარიშითაც შეეძლოთ მოეგოთ და ასე რომ არ მოხდა, ქუთაისელთა გუნდის 27 წლის მეკარის, **ომარ მიგინეიშვილის** დამსახურებაა.

...მშვენიერი საფეხბურთო გარემო, მართლაც ჩინებული მოედნის საფარი, ძველი და პრინციპული მეტოქეების დაპირისპირება, — მატჩისადმი ინტერესს სხვა ბევრი ფაქტორიც განაპირობებდა; ისე, არ დავმალავთ და ასეთ შეხვედრას ბევრად უფრო მეტი გულშემატკივარიც მოუხდებოდა, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ეს შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდაო. ... ამ ზაფხულს, „დინამო" რომ ევროტურნირებზე მონაწილეობდა, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდის მონაწილეობით რამდენიმე კარგი თამაში ვნახეთ; თუმცა, დინამოელებმა კვირას, უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარეს ალექს გარსიას ხელმძღვანელობით (განსაკუთრებით შთამბეჭდავი კი მეორე ტაიმი იყო) და ზეაგრესიულ-ზეაქტიური თამაშით მეტოქის ფეხბურთელებს უამრავი შეცდომაც დააშვებინეს. მასპინძელთა უპირატესობა მხოლოდ აურაცხელ სახიფათო მომენტებში არ გამოიხატებოდა: „დინამო" ფლანგებიდანაც ავიწროებდა მეტოქეს, მოედნის ცენტრშიც დაჯაბნა და თითქმის ყველა სტანდარტული ხიფათის მომსწავებელი იყო ხოლმე. თითქმის ყველა დინამოელმა ჩინებულად ითამაშა, თუმცა ორი ნახევარმცველის ენერგიული და უაღრესად სასარგებლო ბურთაობა ცალკე აღნიშვნის ღირსია: 28 წლის **მიკელ ალვაროსა** და 19 წლის **ჯაბა ჯილაურს** ვგულისხმობთ. ისე, ალვაროს ერთი გოლი „ალალად" ეკუთვნოდა, მაგრამ მის დარტყმებს ხან მიგინეიშვილი ელობებოდა, ხან კიდევ სტუმართა კარის ძელი თუ ხარიხა. ამ მარცხით შეწყდა კიდეც „ტორპედოს" ხანგრძლივი (რვამატჩიანი) წაუგებელი სერია, 21 სექტემბერს რომ დაიწყო. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ქუთაისელებმა ეს სერია სწორედ „დინამოსთან" გამარჯვებით დაიწყეს...

## ახალი სახე(ლ)ები

გასულ ტურში ერთადერთი მეტ-ნაკლებად მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, თუმცა გუშინაც აღვნიშნეთ, რომ „მეტალურგი" - „გაგრას" შეხვედრაში მასპინძლები უფრო ახლოს იყვნენ დამარცხებასთან, ვიდრე სტუმრები. საერთოდაც, „გაგრამ" ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა: დებიუტანტმა მწვრთნელმა **ზვიად ჯელაძემ** წინამორბედის მიერ არჩეული ტაქტიკური სქემაც შეცვალა და ძირითად შემადგენლობაში ყველასათვის უცნობი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც დააწინაურა. ასე მაგალითად, უკვე შეუცვლელ მოთამაშედ იქცა 21 წლის საყრდენი **გიორგი ყურულაშვილი,** იმავეს თქმა შეიძლება 18 წლის ნიგერიელ ფორვარდზე **ჯონი ჯერემიაზეც** („მეტალურგის" გამოცდილ უკანახაზელებს უამრავი პრობლემა რომ შეუქმნა), ხოლო 17 წლის მარცხენა მცველმა **გიორგი ჯგერენაიამ** ამ ტურში უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა! „გაგრას" შემადგენლობაში ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს და სწორედ ისინი იყვნენ „მეტალურგის" წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩში გამორჩეულნიც — გუნდის კაპიტანს, 26 წლის **გიორგი ტყეშელაშვილსა** და უკრაინელ ლეგიონერს, 30 წლის **მიკოლა ნაკონეჩნის** ვგულისხმობთ. აღარაფერს ვამბობთ **ლევან შარიქაძეზეც** — 22 წლის ნახევარმცველმა ამ გუნდებს შორის პირველი წრის მატჩში საჯარიმო დარტყმით ეფექტურზე-ეფექტური გოლი გაიტანა რუსთაველთა კარში, ახლა კი ჯონი ჯერემიას შესანიშნავი საგოლე პასით ასისტენტობა გაუწია. ისე, რუსთაველები ამ ბოლო დროს, არასტაბილურად ასპარეზობენ: უკანასკნელი ოთხი შეხვედრიდან ერთი მოიგეს, ორი ფრედ დაამთავრეს და ერთი წააგეს...

გია ტუხაშვილი

## შეცდომის გასწორება

„ლელოს" გუშინდელ ნომერში, მე-2 გვერდზე „დინამო"-„ტორპედოს" გუშინწინდელი მატჩის მიმოხილვაში კომპიუტერთან უყურადღებო დამოკიდებულებისა და მორიგე რედაქტორის სიფხიზლის მოდუნების გამო გაზეთში გაიპარა დასანანი შეცდომა. გუნდების შემადგენლობები უნდა იკითხებოდეს:

20.11. თბილისი. დინამო არენა.
1 200 მაყურებელი

**დინამო 2**
**ტორპედო 0**

1:0 ჩისკო (45. ჯილაურის პასით), 2:0 თომაშვილი (55)

| დინამო 4-3-3 | ტორპედო 4-4-1-1 |
|---|---|
| ლორია | მიგინეიშვილი |
| ოდიკაძე | დ. ფოფხაძე |
| პომოლა | ს. თოდუა |
| რეხვიაშვილი | გამეზარდაშვილი |
| თომაშვილი | გურული |
| კვეკვესკირი | დოლიძე |
| ჯილაური | გ. დათუნაიშვილი |
| ალვარო | ჩიკვილაძე |
| კახელიშვილი | იოსელიანი |
| კოტო | დ. ბოლქვაძე |
| ჩისკო | მეგრელაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. გარსია | გ. გეგუჩაძე |

**დინამო**

81. კოტო – **იაგუე**
87. ჯილაური – **თექთურმანიძე**
90. კახელიშვილი – **ლექვთაძე**

*სათადარიგოები: ნადირაძე, კაკუბავა, გ. ბერაია, რობერტინიო*

**ტორპედო**

54. ჩიკვილაძე – **კუხიანიძე**
68. დოლიძე – **საბანაძე**
81. მეგრელაძე – **დ. ჯანელიძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ტაბატაძე, რ. გოცირიძე*

არბიტრი: ლ. სილაგავა

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი


ქარიმ ბენზემამ „მესტალიაზე" თავი გამოიჩინა

# რამ გააგიჟა მოუ

როცა **კრიშტიანო რონალდომ** ნამით დაასწრო წინ გამოსულ ბრაზილიელ კიპერ **დიეგო ალვეშს** და „ვალენსიას" კარში „რეალის" მესამე გოლი გაიტანა, უკვე ველარ მოითმინა **ჟოზე მოურინიომ** და ემოციებს გზა მისცა... პორტუგალიელი სპეციალისტი გაექანა და... „რეალის" სათადარიგო ფეხბურთელ **ხოსე კალეხონს** ზურგზე მოექცა. და საერთოდაც, ჟოზემ და მისმა რაზმმა შაბათს „მესტალიაზე" ერთობ გიჟურად გამოხატეს გამარჯვებით გამოწვეული ემოციები, შეიძლება ითქვას, შეურაცხმყოფელადაც.

ბუნებრივია, „განსაკუთრებული" არ მიიჩნევს, რომ მეტისმეტი ემოციებით ვინმე შეურაცხყო: *„ვალენსიასთან" გამარჯვება განსაკუთრებულად იმიტომ ვიზეიმეთ, რომ „ლოს ჩე" ურთულესი მეტოქეა. ჩვეულებრივ, რიგით მატჩში, ბუნებრივია, ასე არ ვიქცევით. ჩვენ გოლები დიდი სიხარულით, მაგრამ ამავე დროს მეტოქის პატივისცემით აღვნიშნეთ. ვისაც ფეხბურთი უთამაშია, ან სათადარიგოთა სკამზე მჯდარა, ისინი ამას კარგად გაიგებენ. ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება ზეიმი ვინმეს დამცირებად ჩაითვალოს? ეს ხომ ნონსენსია"*, - განაცხადა ჟოზემ გუშინ ზაგრების „დინამოსთან" მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ ტურის ცენტრალური მატჩი საიუბილეო იყო ჟოზე მოურინიოსთვის - ლა ლიგის შეხვედრებში ის 50-ედ წვრთნიდა „სამეფო კლუბს". ამ თამაშის 3:2 მოგებით, მოუმ თავისივე რეკორდი დაამხო - პორტუგალიელმა ზედიზედ 11 გამარჯვება კარიერაში პირველად მოიპოვა. ადრინდელი რეკორდი 2002/03 წლების სეზონს ეკუთვნოდა, როცა მაშინ „პორტუს" თავკაცმა მოურინიომ ზედიზედ 10 შეხვედრა მოიგო. შეგახსენებთ იმ 11 მატჩს, რომელიც „რეალმა" ბოლოს მოიგო - ლა ლიგაში: „ოსასუნა" (7:1), „რაიო ვალეკანო" (6:2), „ესპანიოლი" (4:0), „ბეტისი" (4:1), „მალაგა" (4:0), „ვილიარეალი" (3:0), „რეალ სოსიედადი" (1:0) და „ვალენსია" (3:2). ჩემპიონთა ლიგაში: „აიაქსი" (3:0) და „ლიონი" (4:0 და 2:0).

ჟოზე მოურინიომ კარგი ამბავი შეიტყო კლუბის მედიკოსებისგან - ლა ლიგის ახალი სეზონის მთავარი მეპასე (10 საგოლე პასი) **ანხელ დი მარია** მადრიდული დერბისთვის მწყობრში იქნება. ეს საკმაოდ მოულოდნელი სიახლეა, რადგან დი მარიას თავიდან 1-თვიანი მკურნალობა გამოუწერეს და მომავალი უიქენდისთვის ერთი თვე გასული არ იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბარსელონა

# ციხე-სიმაგრე, რომელიც თავს ესხმის

ჩემპიონმა ძალზე იოლად დაძლია „სარაგოსას" წინააღმდეგ, 4:0 მოიგო და აგრძელებს ლიდერი „რეალის" დევნას. თუმცა ერთი ცუდი ამბავი „ბარსასთვის" ამ თამაშში მაინც მოხდა - **ანდრეს ინიესტამ** მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო, რომელიც საგანგაშო არ არის, მაგრამ უახლოეს მატჩს „მილანთან", გამოატოვებინებს. სამაგიეროდ, უკვე სრულ მზადყოფნაშია **პედრო როდრიგესი**.

„კამპ ნოუ" „ბარსასთვის" იდეალურ ციხე-სიმაგრედ იქცა - ოღონდ, ერთი პრინციპული სხვაობით ციხე-სიმაგრისგან - იქ, როგორც წესი, თავს იცავენ, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი კი თავს ესხმის ზვარაკად შესაწირ მეტოქეებს. ციფრები თავისთავად ბევრზე მეტყველებენ - გასული სეზონიც რომ მივათვალოთ უკვე 10 მატჩია, რაც „ბარსას" გოლი არ გაუშვია „კამპ ნოუზე" და იცით რამდენი გაიტანა? 30! აქედან 46% კი **ლიონელ მესიზე** მოდის. გუნდები ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ გოლის გატანას კატალონიაში ვერ ახერხებენ. ბოლოს ასეთი რამ „ალმერიამ" მოახერხა, როცა 9 აპრილს გაუტანა მასპინძელთა გუნდს, თუმცა 1:3 წააგო. ახლა „ალმერია" სეგუნდა დივიზიონის ბინადარია.


მესი და ვილია „სარაგოსას" კარში ბოლო გოლს ზეიმობენ

„სარაგოსასთან" მატჩში „ბარსელონას" ფეხბურთელები დროის 66% აკონტროლებდნენ ბურთს. ყველაზე მეტი პასი ამ შეხვედრაში (90) **დანი ალვეშმა** შეასრულა. „ბარსამ" მეტოქის კარისკენ 24-ჯერ დაარტყა, არაგონულმა კლუბმა - 4-ჯერ. მესიმ (6 დარტყმა) მთელ „სარაგოსას" აჯობა ამ მონაცემში. საოცარია, მაგრამ ამ თამაშში „ბარსა" მეტოქეზე მეტჯერ დაჯარიმდა, ასეთი რამ კი ძალზე იშვიათად ხდება (20-16). ყველაზე მეტჯერ მეტოქეებს ბურთი **კარლეს პუიოლმა** აართვა - 12-ჯერ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ესპანეთი. ლა ლიგა. XII ტური

**რასინგი-მალაგა 1:3**

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ტორეხონი, კრისტიანი (59 ლუკე) - დიოპი, ადრიანი - არანა, მუნიტისი, სისმა - კონე (46. სტუანი).

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - გამესი (83. ს. სანჩესი), დემიკელისი, მატეისენი, მონრეალი - კასორლა, ტულალანი, დუდა (74. მარესკა), ისკო - სება ფერნანდესი, რონდონი (65. ვან ნისტელროოი).

**გოლები:** 0:1 ისკო (48), 0:2 ალვარო (65 ს.კ.), 1:2 არანა (70), 1:3 სება ფერნანდესი (89)

**გაფრთხილება:** ალვარო, ფრანსისი, არანა - დუდა, ტულალანი

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-18 (3-7); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

მაყურებელი: 14 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 12 | 10 | 1 | 1 | 42-9 | 31 |
| 2. ბარსელონა | 12 | 8 | 4 | 0 | 38-6 | 28 |
| 3. ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 19-12 | 24 |
| 4. ლევანტე | 12 | 7 | 2 | 3 | 19-12 | 23 |
| 5. მალაგა | 12 | 6 | 2 | 4 | 15-15 | 20 |
| 6. სევილია | 12 | 4 | 6 | 2 | 12-10 | 18 |
| 7. ბილბაო | 12 | 4 | 5 | 3 | 19-15 | 17 |
| 8. ესპანიოლი | 12 | 5 | 2 | 5 | 9-13 | 17 |
| 9. ატლეტიკო | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 10. ვალეკანო | 12 | 4 | 4 | 4 | 14-13 | 16 |
| 11. ოსასუნა | 12 | 3 | 6 | 3 | 14-24 | 15 |
| 12. ვილიარეალი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-17 | 14 |
| 13. ბეტისი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-16 | 13 |
| 14. სპორტინგი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-17 | 12 |
| 15. ხეტაფე | 12 | 2 | 4 | 6 | 13-19 | 10 |
| 16. მალიორკა | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 17. სარაგოსა | 12 | 2 | 4 | 6 | 12-26 | 10 |
| 18. გრანადა | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| 19. სოსიედადი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-18 | 9 |
| 20. რასინგი | 12 | 1 | 6 | 5 | 8-18 | 9 |

● ინციდენტი


დაზარალებული მსაჯი

# ჩხვლეტა ქოლგით

კვირის ყველაზე ბოლო მატჩი ქრონოლოგიურად ჩაიშალა - ანდალუსიაში მატჩის 64-ე წუთი მიმდინარეობდა, „გრანადა" „მალიორკას" 2:1-ს უგებდა, როცა ლაინსმენ **ხოსე აგილარ როდრიგესს** ტრიბუნებიდან ნივთი მოხვდა და სერიოზულად დააზარალა. ეს ნივთი კი, არც მეტი არც ნაკლები, ქოლგა იყო. ქოლგა ლაინსმენს სახეში მოხვდა. მატჩის არბიტრმა **კარლოს კლოს გომესმა** მიიღო გადაწყვეტილება, მატჩი აღარ გაეგრძელებინა. შეხვედრას მოგვიანებით დაასრულებენ.

ამ გადაწყვეტილებამ მეტად დაალონა „გრანადას" თავკაცი **ფაბრი გონსალესი**, რომელიც მიიჩნევს, რომ არ შეიძლება გუნდი დაისაჯოს ერთი გარეწარის უგვანო საქციელის გამო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ლიგა 1. XIV ტური. გამოხმაურება



# გრადუსი მატულობს

ხავიერ პასტორეს გუნდმა გაჭირვებულ ნანსის ვერაფერი დააკლო

**საფრანგეთის ჩემპიონატის XIV ტური მეტად საინტერესო გამოდგა - დამარცხდნენ დიდი ხნის წაუგებელი "მარსელი" და "პარი სენ-ჟერმენი", წაიფორხილეს სხვა ფავორიტებმაც (ლიონმა, ლილმა), უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა კი საშინაო შეხვედრებში იმარჯვეს. ცხრილში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ მოხდა მთავარი, პსჟ პირველ ადგილზე ამიერიდან მხოლოდ იმიტომ არის, რომ "მონპელიესთან" შედარებით ბურთების სხვაობა +1 აქვს.**

## ტურის ფაქტები

"პარი სენ-ჟერმენმა" ჩემპიონატში წელს მეორე მატჩი წააგო, თანაც ორივე შინ. გასვლაზე მისი ძლევა ჯერ ვერავინ მოახერხა. არადა, "ნანსის" იქამდე სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ერთადერთი ქულა ჰქონდა მოპოვებული. დედაქალაქელები კი 6-მატჩიანი საშინაო მოგებათა სერიით ამაყობდნენ. მატჩის შემდეგ "ლურჯ-წითლების" მთავარმა მწვრთნელმა **ანტუან კომბუარემ** განაცხადა, რომ მის გუნდს არაფერი კატასტროფული არ მოსვლია, ეს წაგება ჩვენთვის კიდევ ერთი ჭკუის სასწავლებელი იქნებაო: *"იმედგაცრუებული ვარ. სამი ქულის მოსაპოვებლად მეტოქის საჯარიმოსთან აგრესიული ქმედებები არ გვეყო. "ნანსის" მცველები როგორღაც ახერხებდნენ და ყოველ მომენტში ჩვენს თავდამსხმელებზე უფრო სწრაფად მოქმედებდნენ. დაცვაში ამ გუნდის გარჯა ძალიან მომეწონა. გაგვიტანეს და ამის შემდეგ უფრო თავდაჯერებულები ამოქმედნენ. ყველაფრის მიუხედავად, კატასტროფული არაფერი მომხდარა. ჩვენ ჯერ კიდევ პირველ ადგილზე ვართ. მომდევნო ტურში "მარსელის" წინააღმდეგ დიდი გამოცდა გველის"*.

ჟურნალისტებმა **ლეონარდოსთან** დაკავშირებაც მოახერხეს. პსჟ-ის სპორტულმა დირექტორმა განაცხადა: *"შეიძლება ბიჭებზე იმან იქონია ცუდი გავლენა, რომ გავრცელდა ხმები, თითქოს კარლო ანჩელოტისთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. ეს არ არის მართალი მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ყველა წერს, ვისაც არ ეზარება. ანტუან კომბუარე გუნდის ხელმძღვანელობის 100%-იანი ნდობით სარგებლობს. გვესმის, რომ გუნდის მშენებლობა სულ რაღაც 4 თვის წინ დავიწყეთ და ამ ეტაპზე ეს პროცესი ვერ დასრულდებოდა. ამ პერიოდში ისედაც ძალიან ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა. "ნანსისთან" დამარცხება ჩვენს გეგმებში ცვლილებებს ვერ შეიტანს. კომბუარე რჩება გუნდის მთავარ მწვრთნელად. იმედია, გუნდი ამ გაკვეთილს კარგად გააანალიზებს და "მარსელთან" სულ სხვაგვარ ფეხბურთს შემოგვთავაზებს. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ეს უკვე სხვა რანგის თამაშია"*.

და ამ ყველაფერზე ლაპარაკი, პრაქტიკულად თავის მართლება, "პარი სენ-ჟერმენის" ბოსებს უწევთ არა მხოლოდ უბრალო აუტსაიდერთან წაგების შემდეგ - "ნანსი" ეს არის გუნდი, რომელიც ამჟამად უმძიმეს პრობლემებს განიცდის. ხელმძღვანელობას ქრონიკულად არ აქვს ფული. მაღალი კლასის მოთამაშე გუნდს თითქმის აღარ შერჩა და არც იმის იმედი არსებობს, რომ უახლოეს მომავალში რამე გამოსწორდება.

სტატისტიკოსები ერთ საინტერესო ფაქტს დააკვირდნენ – მიმდინარე სეზონში "მარსელს" ცხრილის ზედა ნაწილის წარმომადგენლებთან ექვსი შეხვედრა აქვს ჩატარებული და ჯერ ერთიც არ მოუგია. "მონპელიესთან" წაგებული მატჩის (1:0) შემდეგ **დიდიე დეშამმა** განაცხადა: *"ეს ურთულესი შეხვედრა იყო. პირველ ტაიმში ბრძოლა და აგრესია უფრო მეტი იყო, ვიდრე სახიფათო დარტყმა კარის მიმართულებით. ჩვენს კარში გაშვებულ ბურთზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ ის ნამდვილად შემთხვევით გავიდა. გამოღვიძება მხოლოდ მეორე ნახევარში მოვახერხეთ, უფრო ზუსტად, ბოლო ნახევარ საათში, მაგრამ დრო აშკარად არასაკმარისი იყო. ჩვენთვის ეს მარცხი სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად ვიყავით განწყობილები. პრობლემები გვექმნება შეტევის ხაზში მიუხედავად იმისა, რომ ამ ამპლუის ფეხბურთელები ნამდვილად არ გვაკლია. გამოდის, ცხოვრებას თავად ვირთულებთ"*.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

**ნდი ასემბე** (ნანსი) – **პალვე** (ნანსი), **იზიმატ მირინი** (ვალანსიენი), **აბდენური** (ტულუზი), **ბერია** (ლილი) – **კემბო ეკოკო** (რენი), **კოადე** (ვალანსიენი), **სორლინი** (ევიანი), **ბოტეაკი** (დიჟონი) – **ს. კამარა** (მონპელიე), **საგბო** (ევიანი)

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ტურის მატჩი



# ვილაშ-ბოაშს არ მოხსნიან

პორტუგალიელი მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** ამბობს, რომ „ჩელსიში“ სამსახურის დაკარგვა არ ემუქრება, არადა, რაც დასავლეთლონდონელთა მეპატრონე **რომან აბრამოვიჩია**, გუნდს სეზონი ასე ცუდად არ დაუწყია. კვირას, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ლივერპულთან“ 2:1 წაგებისა და ლიდერ „მანჩესტერ სიტისთან“ 12-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ვილაშ-ბოაში ფსიქოლოგიურ ტვირთს, რასაკვირველია, გრძნობს, მაგრამ თავს ასე იმხნევებს:

*„აბრამოვიჩს ჩემი „პორტუდან“ წამოსაყვანად 15 მილიონი ევრო იმიტომ კი არ გადაუხდია, რომ რამდენიმე თვეში ჩემს ახლა უკვე გაშვებაში გადაიხადოს დიდძალი ფული. მეპატრონის მოთმინებას არავინ ამოწმებს. დღეს ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ გვწამს იმის, რასაც ვაკეთებთ და ვიცით, რომ მომავალში კარგი შედეგი გვექნება. „ჩელსი“ საკმაოდ ძლიერი გუნდია საიმისოდ, რომ ყველა შეჯიბრებაში იბრძოლოს და მოწინააღმდეგეებს ტოლი არ დაუდოს. რასაკვირველია, პრემიერლიგაში რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ისეთ გუნდთან, როგორიც „მანჩესტერ სიტია“, 12 ქულიანი ჩამორჩენა ბევრია. ეს სულაც არ გახლავთ ის, რასაც ველოდით, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება შეგვიძლია. დეკემბრის განრიგის დიდი იმედი გვაქვს“.*

საინტერესოა, რატომ აქვს ვილაშ-ბოაშს დეკემბრის იმედი? ჩავხედოთ კალენდარს. შემდეგ უქმეებზე ანუ ჯერ კიდევ ნოემბერში, „ლურჯები“ მასპინძლობენ „ვულვერჰემპტონს“, შემდეგ კი იწყება დეკემბერი: დასავლეთლონდონელები ჯერ სტუმრობენ კერკეტ „ნიუკასლს“, მერე კი მასპინძლობენ „მანჩესტერ სიტის“. ამის მერე ზედიზედ ორი გასვლაა: მიდიან უიგანსა და ლონდონში, „ტოტენჰემთან“ სათამაშოდ. და ბოლოს ორი შეხვედრა „სტემფორდ ბრიჯზე“ „ფულჰემთან“ და „ასტონ ვილასთან“. ვითომ, ეს ასეთი სახარბიელო განრიგია?

ამასობაში, გაირკვა, რომ ბოლო დროს ცოტა მივიწყებული ფრანგი ვარსკვლავის, 32 წლის **ნიკოლა ანელკას** შეძენას, იანვარში, ჩინური „შანხაი შენხუა“ აპირებს. ანელკას კონტრაქტს ვადა ისედაც გაუდიოდა სექტემბერში.

პორტუგალიელმა მწვრთნელმა განაგრძო: *„ძალიან მაწუხებს გაშვებული გოლების რაოდენობა, ამიტომ, ახლა მთავარია, საკუთარი თამაში კარგად გავაანალიზოთ და მივხვდეთ, რატომ ვცდებით დაცვაში ასე ხშირად. აშკარაა, რომ დეტალებს სჭირდება ჩაკირკიტება, ვფიქრობ, მიზეზს იქ ვიპოვით“.*

ვილაშ-ბოაში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილ მცველ **გარი ნევილზე** გაბრაზდა. ნევილი, მოგეხსენებათ, ტელემიმომხილველად მუშაობს და „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრის გარჩევისას თქვა, „ლურჯების“ ბრაზილიელი მცველი, 24 წლის **დავიდ ლუიზი** ისეთი შებოჭილი იყო, გეგონება „პლეისტეიშენის“ ნახატი ბრძანდებოდა და მის მოძრაობას ტრიბუნიდან 10 წლის ბიჭი აკონტროლებდაო.

*„გარი ნევილი ფანტასტიკური მცველი იყო, მაგრამ მისი ნათქვამის გამოკიდება ჩემი მხრიდან სისულელე იქნება“* — თქვა „ჩელსის“ თავკაცმა.

# რატომ გაიტანა ჯონსონმა გოლი?

მოგეხსენებათ, „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი „წითლების“ 27 წლის მცველმა, **გლენ ჯონსონმა** გაიტანა. ეს 87-ე წუთზე მოხდა: „ლურჯების“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჯერ **ეშლი კოულსა** და **ფლორან მალუდას** „ჩაუდრიბლინგა“ და მერელა შეაგდო თავისი ოდინდელი გუნდის კარში მოხერხებული დარტყმით. მწვრთნელი, **კენი დალგლიში** ამ ეპიზოდს, რასაკვირველია, სიამოვნებით შეხვდა, მაგრამ გაგიკვირდებათ და პრეტენზიაც გამოთქვა.

*„გლენმა იმ ეპიზოდში დიდებულად ითამაშა, თუმცა... წარმოდგენა არ მაქვს რა უნდოდა იმ ადგილას. იქ რატომ აღმოჩნდა? ის ფაქტი, რომ ჩვენი მცველი თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მოწინააღმდეგის საჯარიმოში შევარდა, თვალნათლივ გვაჩვენებს, როგორ უნდოდათ ჩემს ბიჭებს გამარჯვება. ჩვენ დიდებულ შედეგს მივაღწიეთ. შემთხვევით არაფერი მომხდარა. იმთავითვე მოსაგებად ვიყავით შემართულები. სხვათა შორის, „სტემფორდ ბრიჯზე“ გასულ სეზონშიც მოვიგეთ, მაგრამ ვფიქრობ, წლეულს გაცილებით ძლიერი გუნდი გვყავს“.*



კომენტარი სთხოვეს თავად გლენ ჯონსონსაც. მან თქვა:

*„ალბათ, თუ ხალხი ვინმესგან გამარჯვების გოლს არ ელოდა, ეს მე ვიყავი. ამიტომაც, „ჩელსის“ კარში ბურთის შეგდებამ ერთიორად გამახარა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მიჭირდა, რთული პერიოდი მქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერმა ჩაიარა და, ვფიქრობ, გამოჯანმრთელების მერე კარგ ფორმაშიც ვარ“.*

ახლა, „ლივერპულს“ ბოლო ცხრა შეხვედრაში არ წაუგია. ამაზე დალგლიში ამბობს: *„ჩვენ ასეთ შედეგებს ვიმსახურებთ. დღევანდელ შეხვედრაშიც იყო მონაკვეთები, როდესაც ჩვენ შესანიშნავად ვითამაშეთ და ამან ლოგიკური შედეგი მოიტანა“.*

მანჩესტერ იუნაიტედი

# რუნი შუა ნახევარმცველი გახდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი, 26 წლის **უეინ რუნი** ამბობს, რომ თავისი საყვარელი გუნდის შემადგენლობაში ნებისმიერ პოზიციაზე სიამოვნებით ითამაშებს... მარჯვენა მცველის პოზიციის გარდა. ვინც ბოლო დროს ინგლისის ჩემპიონთა თამაშს თვალს ადევნებს, მიაქცევდა ყურადღებას, რომ სერ **ალექს ფერგიუსონი** რუნის მისთვის ჩვეულ საქმეს აღარ აკეთებინებს. ნაცვლად იმისა, რომ თავდასხმაში იტრიალოს და გოლების გატანაზე იზრუნოს, ვარსკვლავი ნახევარდაცვის შუაშია დაწეული და მოედნის მთელ სიგრძეზე წინ და უკან დარბის. ჩვეულებრივ, როლის გამოცვლას ფეხბურთელები აპროტესტებენ, თუმცა რუნი მოვლენებს სხვანაირად უყურებს:

*„ძალიანაც მომწონს ახალი პოზიცია. ჩემთვის სულერთია სად ვითამაშებ. იმისათვის, რომ თავი ბედნიერად ვიგრძნო, მოედანზე უნდა ვიყო, იქ კი, რაც გუნდისთვის იქნება საჭირო, იმას გავაკეთებ. თუმცა, არა... მარჯვენა მცველობას ვერ შევძლებ. აი, ნახევარდაცვაში კი რამდენიც გენებოთ. როდესაც მოედნის შუაში ხარ, ბურთს დიდხანს ფლობ და თამაშზეც მეტი გავლენა გაქვს“.*

რუნის პრემიერლიგაში უკვე ორი თვეა გოლი არ გაუტანია. ახლა, როდესაც ნახევარმცველი გახდა, გოლების გატანა მისი უმთავრესი ამოცანა აღარც არის, თუმცა შაბათს, სუონსიში რამდენჯერმე შორიდან დარტყმით სცადა მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა. შეგახსენებთ, რომ სუონსიში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1:0 მოიგო. როდესაც უგოლო პერიოდზე ჰკითხეს, რუნიმ უპასუხა:

*„პირადად ჩემს გოლებს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი გუნდია. ჩვენ ერთად ვიბრძვით, ერთად ვიგებთ და ერთად ვაგებთ. მთავარია „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გაიმარჯვოს და თუ იმ შეხვედრაში გოლს ვერ გავიტან, ამით არაფერი დაშავდება“.*

„სუონსის“ კარში „იუნაიტედის“ ერთადერთი გოლი 23 წლის მექსიკელმა თავდამსხმელმა, **ხავიერ ერნანდესმა** იმავე **ჩიჩარიტომ** გაიტანა. რუნიმ თქვა:

*„მას გოლების გატანა ეხერხება. ჩიჩარიტო სწორ პოზიციას იკავებს და, როგორც კი ბურთს აწვდიან, გოლი გააქვს. ის ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ მოედანზე ბრძენივით გადაადგილდება და უპირატესობასაც ამის წყალობით ეუფლება. მას ყოველთვის შეუძლია მეტოქის საჯარიმოში თავისუფალი სივრცე გამონახოს“.*

თორმეტი ტურის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზეა. ის ჯერ კიდევ 5 ქულით ჩამორჩება „ხმაურიან თანაქალაქელს“ თუმცა ამაზე რუნის თავისი შეხედულება აქვს:

*„შეგახსენებთ, რომ შარშან ამ დროს „ჩელსი“ შთამბეჭდავად ლიდერობდა, თამაშს თამაშზე იგებდა და ყველას უკვე ჩემპიონი ეგონა, მაგრამ საბოლოოდ ტიტული ჩვენ მოვიპოვეთ. ასე რომ, მთავარია, არ მოვეშვათ და „მანჩესტერ სიტისთვის“ ძირის გამოთხრა ბოლომდე გავაგრძელოთ“.*



არსენალი

# ვენგერს ბიჭების ეიმედება

„არსენალის“ თავკაცმა, **არსენ ვენგერმა** თქვა, ჩემი ფეხბურთელები მიმდინარე სეზონში იმდენს მოახერხებენ, რომ „ემირეიტ სთედიუმის“ დატოვება არ მომიხდებაო. ამ თემაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ შაბათიდან დაიწყო, როდესაც ფრანგმა სპეციალისმა განაცხადა, თუ ვერ ვივარგებთ, სეზონის ბოლოს სამსახურიდან წასვლაზე დავფიქრდებიო. თუმცა, იმ საღამოს „მეთოფეებმა“ ნორვიჩში 2:1 გაიმარჯვეს და მწვრთნელის ინტონაცია შეიცვალა. დღის ბოლოს მან უკვე თქვა, რომ რწმენით არის აღსავსე და იმედოვნებს, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული წლებიდან კიდევ ორს მაინც გაატარებს ჩრდილოეთ ლონდონში.

*„კლუბისთვის თავდადებული რომ ვარ, ამ სეზონის ბოლოს ერთხელაც დაგიმტკიცებთ* — ბრძანა 62 წლის პედაგოგმა, რომელმაც თავისი ცხოვრების ბოლო 15 წელიწადი „არსენალს“ მიუძღვნა — *ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ბოლო დროს შევიძინეთ. მათ ჩვენს გუნდში საუცხოო სულისკვეთება შემოიტანეს. ვხედავ, რომ „არსენალი“ კვლავ ძლიერთა რიგებს დაუბრუნდა და მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს“.*

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ვენგერმა ზაფხულში ორი წამყვანი ფეხბურთელი, **სამირ ნასრი** და **სესკ ფაბრეგასი** დაკარგა, თუმცა „მეთოფეთა“ თავკაცი ხედავს, რომ ახალწვეულების ოსტატობისა და დაჟინების წყალობით გუნდს პრემიერლიგაშიც შეუძლია მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა და არც ჩემპიონთა ლიგაში ჩამოყრის ყურებს.

*„ჩვენ ყველას, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარ თავს უნდა ვაჩვენოთ, რომ შორს შეგვიძლია წასვლა. რა მოხდება წინასწარ ვერ გეტყვით, მაგრამ მიზნად სწორედ ეს გვაქვს დასახული. პლიუსების და მინუსების გამოსაკვეთად ჯერ მაინც დრო არის საჭირო. ამიტომაც, არ ვჩქარობ, არაფერს ვიქადნი და მოთმინებით ველოდები სეზონის ბოლოს, როდესაც გამოჩნდება სად ვიქნებით. იმედით აღსავსე კი გახლავართ, მაგრამ ნამდვილ დიდ წარმატებას როდის მივაღწევთ, ამწუთას ვერ გეტყვით.*

*ერთი სიტყვით, შემდეგი რამდენიმე თვის განმავლობაში ბევრი რამ გამოჩნდება. ჩემი ოპტიმიზმი კი ფეხბურთელების განწყობას ემყარება. ვხედავ, რომ გუნდს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა უნდა“.*

შაბათს, „ნორვიჩთან“ „არსენალმა“ დიდებულად ითამაშა. საუცხოო იყო 28 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი **რობინ ვან პერსი**, რომელმაც 2011 წელს თავისი 30-ე და 31-ე გოლები გაიტანა, მაგრამ გერმანელ **პერ მერტეზაკერს** დაცვაში კვლავ უჭირს. ამის დასტური იყო „მეთოფეთა“ კარში **სტივ მორისონის** მიერ გატანილი. ამ ეპიზოდში ნორვიჩელმა 27 წლის არსენალელი უბრალოდ დაჯაბნა. ვენგერს მიაჩნია, რომ მერტეზაკერს მაინც დრო სჭირდება. როგორც ჩანს ფეხბურთელი ახალ გარემოს მძიმედ ეგუება, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ უნდა აიხსნას ის, რომ გარმანელმა, ამას წინათ, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, ჰოლანდიელებთან შეხვედრაში საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი?



*„ნაკრებიდან დაბრუნებული მერტეზაკერი დაღლილი იყო და ძალების აღდგენა ვერ მოასწრო,* - განმარტა „არსენალის“ შეფმა, - *გარდა ამისა, ინგლისში თამაშს სხვანაირი შეგუება სჭირდება. აქ, მცველს ყოველ წუთას გამოცდა აქვს ჩასაბარებელი. პრემიერლიგაში შეღავათიანი თამაშები არ არსებობს, ამას კი გაძლება სჭირდება. გახსოვთ, როგორი იყო ლორან კოშელნი, აქ რომ ჩამოვიდა და როგორია ის დღეს?“*

ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური

**ტოტენჰემი–ასტონ ვილა 2:0**

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** ფრიდელი – უოლკერი, ქაბული, კინგი, ასუ-ეკოტო – ლენონი, პარკერი, მოდრიჩი (90. სანდრო), ბეილი – ვან დერ ვაარტი (70. დეფო) – ადებაიორი.

**ასტონ ვილა (4-4-2):** გივენი – კუელარი (64. ბენანი), დანი, კოლინზი, უორნოკი – ჰატონი, ჰერდი (87. დელფი), ს. პეტროვი, აგბონლაჰორი – ბენტი, ჰესკი.

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (14), 2:0 ადებაიორი (40)

**გაფრთხილება:** ჰერდი, ს. პეტროვი

**მაყურებელი:** 35 818

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 42-11 | 34 |
| 2. იუნაიტედი | 12 | 9 | 2 | 1 | 29-12 | 29 |
| 3. ტოტენჰემი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-15 | 25 |
| 4. ნიუკასლი | 12 | 7 | 4 | 1 | 18-11 | 25 |
| 5. ჩელსი | 12 | 7 | 1 | 4 | 25-17 | 22 |
| 6. ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 16-11 | 22 |
| 7. არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 25-22 | 22 |
| 8. ასტონ ვილა | 12 | 3 | 6 | 3 | 16-17 | 15 |
| 9. ქუინზ პარკი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-22 | 15 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-17 | 14 |
| 11. ნორვიჩი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-20 | 13 |
| 12. ევერტონი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-16 | 13 |
| 13. სუონსი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| 14. სტოკი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-22 | 12 |
| 15. სანდერლენდი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-13 | 11 |
| 16. ფულჰემი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-15 | 11 |
| 17. ვულვზი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-20 | 11 |
| 18. ბოლტონი | 12 | 3 | 0 | 9 | 19-29 | 9 |
| 19. ბლექბერნი | 12 | 1 | 4 | 7 | 16-27 | 7 |
| 20. უიგანი | 12 | 1 | 3 | 8 | 10-23 | 6 |

ბლექბერნი

# კინმა შეფებთან ილაპარაკა

„ბლექბერნის“ მწვრთნელი, **სტივ კინი** კლუბის მეპატრონეებს შეხვდა. მოგეხსენებათ, „ბლექბერნს“ ინდური კორპორაცია „ვენკი“ ფლობს. შეხვედრიდან გამოსულმა კინმა განაცხადა, რომ მისი სამსახურიდან გაშვების საფრთხე არ არსებობს.

შაბათს, **ვენკატეშმა** და **ბალაჯი რაომ** უიგანის DW სტადიონი პირველი ტაიმის შემდეგ დატოვეს, როდესაც ანგარიში 2:1 იყო მოწინააღმდეგის სასარგებლოდ. საბოლოოდ, „როვერსმა“ მაინც იყოჩაღა და შეხვედრა 3:3 დამთავრდა. მატჩის შემდეგ სტივ კინს საკუთარი გუნდის ფანებმა სტადიონის გარეთ „ბუუ“ უძახეს, თუმცა შეფებთან ლაპარაკის შემდეგ მწვრთნელი დაიმედებული ჩანდა:

*„წარმოდგენა არ მაქვს, რატომ დატოვეს მათ სტადიონი პირველი ტაიმის შემდეგ* - თქვა მწვრთნელმა - *ჩვენ დავთქვით, რომ კიდევ უნდა შევიკრიბოთ და კარგად მოვიფიქროთ, რა თანხა დაგვჭირდება იანვრის სატრანსფერო ბაზარზე“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. XII ტურის შეჯამება

# გმირი მეკარე და ფორვარდები ჩრდილში

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**მარკეტი** (ლაციო) - **აბატე** (მილანი), **გრანკვისტი** (ჯენოა), **ლუკარელი** (პარმა), **ტადეი** (რომა) - **მარკიზიო** (იუვენტუსი), **პაროლო** (ჩეზენა) - **ბიაბიანი** (პარმა), **ალვარესი** (ინტერი), **ჯოვინკო** (პარმა) - **დენისი** (ატალანტა).

ტურის სიმბოლური ნაკრები 4-2-3-1 ტაქტიკით განვალაგეთ, რადგან გასულ ტურში უფრო შემტევმა ნახევარმცველებმა გამოიჩინეს თავი, ვიდრე ფორვარდებმა. ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი, რომელმაც თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა, **ხერმან დენისი** გახლდათ, რომელსაც უკნიდან **ჯონათან ბიაბიანი, რიკი ალვარესი** და **სებასტიან ჯოვინკო** ამოვუყენეთ. ემილიელებმა თითო გოლი გაუტანეს „უდინეზეს" და განაპირობეს კიდეც მათი გუნდის გამარჯვება, რიკიმ კი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა იტალიურ კარიერაში და თუ ასე გააგრძელა, ნამდვილად დაიმკვიდრებს ადგილს „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში.

სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა **კლაუდიო მარკიზიო,** რომელმაც მორიგი ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ „იუვენტუსისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. მის მხარდამხარ **მარკო პაროლოს** ვხედავთ, რომლის გოლმაც „ჩეზენას" პირველი გამარჯვება მოუტანა მიმდინარე სეზონში. მცველებიდან **როდრიგო ტადეი** უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც „ლეჩესთან" პაექრობაში მისთვის უჩვეულო მარცხენა ფრთაზე ასპარეზობდა და თავი საუცხოოდ წარმოაჩინა. კარში **ფედერიკო მარკეტი** დგას და თუ რატომ ის და არა სხვა, ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ...


მარკეტიმ ლავეცი გაანამა

### ტურის გმირი

მიუხედავად იმისა, რომ გასულ უქმეებამდე „ლაციოს" წაუგებელი მატჩების სერია რვა შეხვედრას შეადგენდა, „სტადიო სან პაოლოზე" გასამართ პაექრობაში ფავორიტად მაინც „ნაპოლი" იყო მიჩნეული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამხრეთელებს ზოგადად კარგი დროება უდგათ, განსაკუთრებით ძლიერნი კი ტრადიციულად საკუთარ არენაზე არიან, სადაც სტაბილურად 45 000-ზე მეტი გულშემატკივარი იყრის თავს.

მოლოდინი გამართლდა, „ნაპოლი"-„ლაციოს" პაექრობაში სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ უამრავი მწვავე მომენტის მიუხედავად, სტუმართა კარის აღება ვერ შეძლეს. ამაში უპირველესი „დამნაშავე" „ლაციოს" კიპერი ფედერიკო მარკეტი გახლდათ, რომელმაც არაერთი ბრწყინვალე სეივი გააკეთა და მთლიანობაში, შესანიშნავად გაისარჯა. რომაული გუნდის თავკაცის, **ედუარდო რეიას** მატჩის შემდგომი კომენტარი გუშინდელ ნომერში გაგაცანით, აქ კი იმ ნაწილს გავიხსენებთ, სადაც ფედერიკოზე საუბრობს:

*„რა მეთქმის... იმედი მაქვს, ჩეზარე პრანდელიმ ამ თამაშს უყურა და ნახა, როგორ ითამაშა მარკეტიმ. ჩემი აზრით, ეს ბიჭი იმსახურებს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას".*

### ტურის ფრაზა

ფრანჩესკო გვიდოლინი (უდინეზეს მთავარი მწვრთნელი): *„რა არ გვეყო გასამარჯვებლად? - რა და თავმდაბლობა. დიახ, როდესაც მოედანზე ცხვირაწეული გადიხარ, აუცილებლად დაისჯები და დღეს ამის ნათელი მაგალითი ვიხილეთ. „პარმას" ფეხბურთელებმა ინდივიდუალური ოსტატობით და საქმისადმი სწორი მიდგომით გვაჯობეს, თუ ასე გავაგრძელებთ, მაღალი ადგილებისთვის ბრძოლაზე არც კი უნდა ვიოცნებოთ".*

### გლობალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: **X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი**

ყველაზე დაბალი დასწრება: **II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი**

ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: **მილანი-კატანია 4:0 (XI ტური).**

ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: **ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).**

ყველაზე უხვგოლიანი თამაში: **პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).**

### სერიები

მოგება: **იუვენტუსი - 3 თამაში**
წაგება: **კალიარი - 3**
წაუგებლად: **იუვენტუსი - 10**
მოუგებლად: **ნოვარა - 8**

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **23 გოლი - მილანი; 18 - იუვენტუსი; 16 - ლაციო.**

საუკეთესო დაცვა: **6 გაშვებული - უდინეზე; 7 - იუვენტუსი, ნაპოლი.**

უარესი თავდასხმა: **4 გოლი - ჩეზენა; 9 - ლეჩე, ბოლონია.**

უარესი დაცვა: **20 გაშვებული - ნოვარა; 18 - პარმა, ლეჩე, კატანია.**

ზუსტი გადაცემები: **6038 - მილანი; 5658 - რომა; 5271 - იუვენტუსი.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **186 - რომა; 175 - მილანი; 163 - კატანია.**

კარში დარტმები: **66 - მილანი; 60 - იუვენტუსი; 57 - რომა.**

### ინდივიდუალური სტატისტიკა

ბომბარდირები: 9 - დენისი (ატალანტა); 8 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - ჯოვინკო (პარმა); 6 - კლოზე (ლაციო).

ასისტენტები: 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა); 4 - ჯიბრილ სისე (ლაციო), როდრიგო პალასიო (ჯენოა), გასტონ რამირესი (ბოლონია), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა).

### ზუსტი პასები

794 - დანიელე დე როსი (რომა); 793 - ანდრეა პირლო (მილანი); 735 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 665 - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 663 - მიგელ ველოზო (ჯენოა).

### კარის მიმართულებით დარტყმები

52 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 49 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 43 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 36 - ჯიბრილ სისე (ლაციო); 34 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).

### კარში დარტყმები

22 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 16 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 14 - ხერმან დენისი (ატალანტა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 13 - პაბლო ოსვალდო (რომა), ალესანდრო მატრი (იუვენტუსი).

### ჯარიმები

34 - ნენე (კალიარი); 32 - ჯამპაოლო პაცინი (ინტერი); 31 - სტეფანო მორონე (პარმა); 30 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე), ხერმან დენისი (ატალანტა), რაჯა ნაინგოლანი (კალიარი), ხუან კუადრადო (ლეჩე).

### ციფრები და ფაქტები

■ **„იუვენტუსმა" ჩემპიონატის პირველი 10 შეხვედრა მარცხის გარეშე ჩაატარა, ასეთი რამ ბოლოს 2003/2004 წლების სეზონში მოხდა;**

■ „იუვენტუსს" „პალერმოსთან" მიჯრით 4 შეხვედრა ჰქონდა წაგებული და განვლილ უქმეებზე ნავსი გატეხა;

■ **„იუვენტუსის" ფორვარდმა ალესანდრო მატრიმ 50-ე გოლი გაიტანა სერია A-ში, მის ანგარიშზე 151 შეხვედრაა;**

■ „პალერმოს" უკვე 581 წუთია გასვლაზე გოლი არ გაუტანია;

■ **„ფიორენტინას" „მილანი" 2005 წლის შემდეგ აღარ დაუმარცხებია, 4 ფრე და 8 წაგება;**

■ ალეშანდრე პატომ ტრადიცია დაარღვია და „ფიორენტინას" კარში გოლის გატანა ვერ შეძლო. აქამდე, ბრაზილიელი ხუთჯერ ეთამაშა ფლორენციულ გუნდს და თითოეულ პაექრობაში გოლით გამოირჩა;

■ **„ლაციომ" წაუგებელ მატჩთა რიცხვი 9-მდე გაიზარდა;**

■ მიმდინარე ჩემპიონატში, მხოლოდ მეორეჯერ მოხდა, რომ „ინტერმა" თამაშში ერთზე მეტი გოლი გაიტანა;

■ **„ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ მე-200 გამარჯვება მოიპოვა იტალიურ კარიერაში;**

■ „ბოლონიას" კაპიტანმა მარკო დი ვაიომ მე-500 შეხვედრა ჩაატარა იტალიურ კარიერაში;

■ **„ჩეზენამ" პირველი გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე სეზონში;**

■ „ჩეზენამ" პირველი გოლი გაიტანა გასვლით პაექრობებში, შედეგიანი დარტყმის ავტორი კი ნახევარმცველი მარკო პაროლოა;

■ **„პარმა" ერთადერთი გუნდია სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც ფრედ არ დაუმთავრებია შეხვედრა;**

■ „პარმას" მცველმა კრიასტიან ძაკარდომ მე-300 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში;

■ **მირალენ პიანიჩმა და ფერნანდო გაგომ პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში;**

■ ხერმან დენისმა გოლების სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია სეზონის მასშტაბით, მის ანგარიშზე 9 შედეგიანი დარტყმაა;

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 10 | 6 | 4 | 0 | 18-7 | 22 |
| 2. ლაციო | 11 | 6 | 4 | 1 | 16-8 | 22 |
| 3. მილანი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-14 | 21 |
| 4. უდინეზე | 11 | 6 | 3 | 2 | 13-6 | 21 |
| 5. რომა | 11 | 5 | 2 | 4 | 15-12 | 17 |
| 6. პალერმო | 11 | 5 | 1 | 5 | 14-15 | 16 |
| 7. ნაპოლი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-7 | 15 |
| 8. ჯენოა | 10 | 4 | 3 | 3 | 14-12 | 15 |
| 9. კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 10-12 | 15 |
| 10. პარმა | 11 | 5 | 0 | 6 | 14-18 | 15 |
| 11. სიენა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-10 | 14 |
| 12. კატანია | 11 | 3 | 5 | 3 | 13-18 | 14 |
| 13. ატალანტა | 11 | 5 | 4 | 2 | 15-14 | 13 |
| 14. ფიორენტინა | 11 | 3 | 4 | 4 | 10-9 | 13 |
| 15. კალიარი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-12 | 13 |
| 16. ინტერი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-17 | 11 |
| 17. ბოლონია | 11 | 3 | 1 | 7 | 9-17 | 10 |
| 18. ლეჩე | 11 | 2 | 2 | 7 | 9-18 | 8 |
| 19. ნოვარა | 11 | 1 | 4 | 6 | 12-20 | 7 |
| 20. ჩეზენა | 11 | 1 | 3 | 7 | 4-13 | 6 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### მომდევნო ტური

**25 ნოემბერი:** უდინეზე-რომა;

**26 ნოემბერი:** ნოვარა-პარმა, ლეჩე-კატანია, ლაციო-იუვენტუსი;

**27 ნოემბერი:** პალერმო-ფიორენტინა, სიენა-ინტერი, ატალანტა-ნაპოლი, კალიარი-ბოლონია, ჩეზენა-ჯენოა, მილანი-კიევო.

**ლაშა ნიკლაური**

● აიაქსი


იოჰან კრუიფი

# კრუიფს ბრალს სდებენ

"აიაქსის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა **სტივენ ტენ ჰავემ** ამსტერდამული კლუბის ყოფილ ვარსკვლავს **იოჰან კრუიფს** სერიოზული ბრალი წაუყენა. მისი თქმით, ლეგენდარულმა ფეხბურთელმა საბჭოს მეორე წევრი **ედგარ დავიდსი** ერთ-ერთ სხდომაზე რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყო. *"ხანდახან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ყოველგვარ ზღვარს გადადიან. დიახ, ვადასტურებ, ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე ნამდვილად მოხდა მსგავსი რამ. ერთმანეთისადმი ადამიანების მსგავსი დამოკიდებულებით მე უბრალოდ შოკირებული დავრჩი".* სტივენ ტენ ჰავე ჰოლანდიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ინტელექტუალად მიიჩნევა, მას ფსიქოლოგის, იურისტისა და ბიზნესის მართვის სფეროში აქვს უმაღლესი პროფესიული განათლება. "აიაქსში" ის ბანკმა "აბნ ამრომ" დანიშნა თავის წარმომადგენლად.

კრუიფის მძიმე ხასიათის შესახებ ლამის მთელმა სამყარომ იცის. ის ხშირად იოლად კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე. მსგავსი კონფლიქტების შემდეგ ის რამდენჯერმე უკვე დაიმუქრა, კლუბს სამუდამოდ დავტოვებო. ახლა მას კიდევ ერთი საფუძველი მიეცა გასაბრაზებლად. მართალია, თავდაპირველად დაიწერა, **ლუის ვან გაალის** კლუბში დაბრუნების იდეა, ვისთანაც ყველაზე დიდ "მფრინავ ჰოლანდიელს" აუტანელი ურთიერთობა აქვს, იოჰანს ეკუთვნისო, მაგრამ **რონალდ დე ბურმა**, ვინც ამჟამად "აიაქსის" აკადემიის მწვრთნელად მუშაობს, ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. მეტიც, განაცხადა, ვან გაალის დაბრუნება კლუბში კრუიფისთვის ზურგში ლახვრის ჩაცემას ნიშნავსო. კულუარებში ისიც დაიწერა, ვან გაალის კლუბში მოსვლამ არც **ვინ იონკი** და **დენის ბერგკამპი** გაახარაო.

ახლა კი ამსტერდამული კლუბის ყოველდღიურობას დავუბრუნდეთ და მიმდინარე პრობლემები განვიხილოთ. დედაქალაქელებმა ჩემპიონთა ლიგაში "ლიონთან" გადამწყვეტი დაპირისპირების წინ მორიგი ფეხბურთელები დაკარგეს. ლაპარაკია ცენტრალურ ფორვარდ **დმიტრი ბულიკინსა** და განაპირა თავდამსხმელ **დერკ ბურიხტერზე**. ამათ გარდა რა ხანია, რაც ლაზარეთში არიან **სიმ დე იონგი** და **კოლბეინ სიტგორსონი.** შეიძლება ითქვას, რომ კლუბის შემტევი პოტენციალი პრაქტიკულად განახევრებულია. რამდენად ღრმა რეზერვი აქვს ამსტერდამულ კლუბს, ამას უკვე ვხედავთ – საკადრო პრობლემების წყალობით **ფრანკ დე ბურის** გუნდი მძიმე კრიზისში ჩაეფლო. აი, რა განუცხადა წამყვანი თავდამსხმელის ტრავმაზე გუნდის თავკაცმა "დე ტელეგრააფს": *"ბულიკინის შეცვლა ტრავმით იყო გამოწვეული. მას ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე დმიტრი შეცვლას მოითხოვდა, შევამჩნიე, რომ ის ფეხს იტკივებდა და გადაადგილებისას აშკარა დისკომფორტს განიცდიდა. შეუძლებელი იყო, რომ მისი ჯანმრთელობით გაგვერისკა და სწორედ ამიტომ შევცვალეთ კიდეც. იქამდე ვიდრე მისი სამედიცინო ტესტის პასუხი არ გვეცოდინება, შეკითხვებზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ ერთი რამე დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, სიტუაცია სულაც არ არის იოლი".*

აქვე გეტყვით, რომ ესპანური პრესის ცნობით, ლა ლიგის წამყვანი კლუბები "აიაქსის" 19 წლის დანიელი მარცხენა მცველის **ნიკოლას ბოილესენის** შეძენით არიან დაინტერესებულები. მათ შორის არიან მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა". ანალოგიურ ინფორმაციას ავრცელებს იტალიური მასმედიაც – ისინი უნიჭიერეს ფეხბურთელს "იუვენტუსში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ, ინგლისელები კი "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ჩელსის" დაინტერესებაზე წერენ, ხოლო "აიაქსი" სეზონის ბოლომდე მასთან გამოთხოვებას არ აპირებს.

**ლევან ბიბილაშვილი**



გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტურის გამოხმაურება

# ბორუსია და ბოროისია

**მიუხედავად** კიოლნში მომხდარი დრამისა (ფიფას არბიტრმა ბაბაკ რაფატიმ, რომელსაც კიოლნი-მაინცი უნდა ემსაჯა, სასტუმროში თავის მოკვლა სცადა, ის აბაზანაში ვენებგადაჭრილი იპოვეს და გადაარჩინეს, მატჩი კი გადაიდო), ამ უქმეებზე გერმანიაში ბურთი მაინც გაგორდა და შესანიშნავი თამაშები ვნახეთ. თუმცა მაინც უნდა ვთქვათ, რომ ტურის მთავარმა საფეხბურთო მოვლენამ, „ბაიერნისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" სუპერმატჩმა ისე ვერ მოგვხიბლა, როგორც უნდა მოვეხიბლეთ. ალბათ იმიტომ, რომ მიუნხენური გრანდი ზედმეტად ფრთხილობდა. სიტუაციაში ყველაზე უკეთ მარიო გიოტცე გაერკვა და გაიტანა გოლი, რომლის წყალობით „დორტმუნდმა" „ალიანს არენაზე" მოიგო და გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევ დაძაბა. მიუხედავად წლის მატჩად მონათლულ შეხვედრაში გატანილი გადამწყვეტი გოლისა, ტურის გმირი მაინც სხვა, ასევე ახალგაზრდა და დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელი გახდა – მეორე „ბორუსიას" ვუნდერკინდი მარკო როისი, რომელმაც „ვერდერს" ჰეთ-თრიკი შეუსრულა, „გლადბახმა" კი სულაც 5:0 მოიგო. თუმცა მე-13 ტურში მარტო ეს სამი ამბავი როდი იყო აღსანიშნავი – სხვაც ბევრი მოხდა საინტერესო.

### ტურის შოკი: ბაბაკ რაფატი

მე-13 ტური **ბაბაკ რაფატის** თითქმის-სუიციდმა დაჩრდილა. გამოცდილი, 41 წლის არბიტრი, რომელიც წარმოშობით ირანიდანაა, შაბათს, „კიოლნისა" და „მაინცის" შეხვედრის წინ სიცოცხლესთან თვითნებურად გამოთხოვებას ცდილობდა – ჯერ თავის ჩამოხრჩობა სცადა (პოლიციის მიერ დადასტურებული ინფორმაციაა), რაც არ გამოუვიდა, მერე კი ვენები გადაიჭრა. რაფატის ალკოჰოლიც ჰქონდა მიღებული. მოტივი უცნობია, თამაში გადაიდო, საფეხბურთო გერმანია შოკშია, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, მსაჯი გადარჩა და „ბილდის" ცნობით, გუშინ კლინიკიდან გაწერეს – ფსიქოლოგ-ფსიქიატრების დაკვირვებებმა ცხადყო, რომ რაფატის არანაირი საფრთხე აღარ ემუქრება. რაც შეეხება მატჩს – გერმანიის საფეხბურთო კავშირში თქვეს, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ „კიოლნისა" და „მაინცის" შეხვედრა წელსვე გაიმართოსო.

### იღბლის ბიჭი მარიო...

შესაძლოა, ეს იმის ბრალიცაა, ამ მატჩისგან ზედმეტად ბევრს რომ ველოდით და ვითხოვდით. არადა, ყველაფერი სუპერ-საფეხბურთო-სპექტაკლზე მეტყველებდა: ჩემპიონი მარადმწვანე ჩემპიონის წინააღმდეგ, ლიდერი მეორე-ადგილოსნის წინააღმდეგ, **გიოტცე/კაგავა რიბერი/რობენის** წინააღმდეგ... არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავარიელებს დორტმუნდელებზე შურისძიება სურდათ. დიდი სპექტაკლი კი არ შედგა, რადგან გერმანიის ორმა საუკეთესო კლუბმა ერთმანეთის წინააღმდეგ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ბურთს უმეტესად მოედნის ცენტრში ან მის შემოგარენში დააგორებდნენ. თუკი რომელიმეზე ითქმის, უფრო აქტიურობდაო, პირველ რიგში დორტმუნდის „ბორუსიაზე" და აქედან გამომდინარე, აღარც BVB-ს გამარჯვებაა გასაკვირი. საერთო სურათში ის ფაქტიც იდეალურად ჯდება, გადამწყვეტი გოლი მაინცდამაინც გიოტცემ და თანაც, შემთხვევით შექმნილი მომენტისა და „ბაიერნის" მცველ **ჟერომ ბოატენგის** სიზანტის წყალობით რომ გაიტანა. კარგია, რომ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევ დაიძაბა და რომ „დორტმუნდი" „ბაიერნისთვის" უკვე საშიში მეტოქეა.




მარკო როისმა ტიმ ვიზეს 3 გოლი გაუტანა, „გლადბახმა" „ვერდერს" – ხუთი!

### ...და მარკო მეორე ბორუსიადან

„გლადბახი" უკვე სერიოზულად გვაოცებს. მეორე „ბორუსიამ" (თუმცა ისიც საკითხავია, ვინ პირველია და ვინ მეორე მიონხენგლადბახურ და დორტმუნდულ „ბორუსიებს" შორის) „ვერდერი" მიწასთან გაასწორა და რაც უნდა მოულოდნელი იყოს, შარშან კინაღამ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული გუნდი, 13 ტურის შემდეგ მესამე ადგილზეა და ლიდერ „ბაიერნს" ოდენ ორი ქულითღა ჩამორჩება. ძალიან არ გვინდა, რომ „გლადბახის" სენსაციური სვლა მხოლოდ ერთ ფეხბურთელს ჩავუთვალოთ დამსახურებად, მაგრამ ფაქტია, რომ რაც უნდა დიდხანს ვისაუბროთ ამ გუნდის ძლიერ კოლექტივზე, ყველა წინადადებაში იმ ერთის ხსენება მოგვიწევს – მარკო როისს ვგულისხმობთ. „ვერდერთან" შესრულებულმა ჰეთ-თრიკმა მარკოს საბოლოო დიაგნოზი დაუსვა: როისი უდიდესი ტალანტია! მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** კი ცდილობს, თავის შეგირდს წნეხი აარიდოს – მასზე ამდენს ნუ ვილაპარაკებთო – რადგან იცის, რომ როისის შენარჩუნება გაუჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ მარკოს „გლადბახთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.

### ეშმაკების ჯოჯოხეთი

„კაიზერსლაუტერნის" მეკარე **ტობიას ზიპელის** კბილის ტკივილს, ამ გუნდის მეორე კიპერის, **კევინ ტრაპის** „მუცლის ტკივილი" დაემატა და ამ ყველაფერმა საბოლოოდ ისეთი შედეგი გამოიღო, რომ „ეშმაკების" თავკაც **მარკო კურცს** თავი აატკივა. „ლაუტერნმა" პარასკევს „ლევერკუზენთან" 0:2 რომ წააგო, ეს დიდწილად სწორედ 21 წლის მეკარე ტრაპის ბრალია, რომელმაც **ბალაკის** დარტყმის შემდეგ ბურთი ვერ შეიმაგრა და ისეთი გოლი გაუშვა, **მანუელ ნოიერი** ბავშვობაშიც რომ არ გაუშვებდა. სხვათა შორის, მეორე გოლიც მის სინდისზეა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ იმ მომენტში მცველებმა უფრო სასტიკი შეცდომები დაუშვეს. ამ წაგების შემდეგ „ლაუტერნი" ისევ გაურკვევლობაშია, „ლევერკუზენი" კი მოწინავე ადგილებს მიუახლოვდა.

### მეომარი რაიზინგერი

ბერლინის „ჰერტა" ფრაიბურგში დამაჯერებლად, 2:0-ს იგებდა და თამაშიც ისე მიმდინარეობდა, ვერავინ იფიქრებდა, თუ ბრაისგაუელები მაინც დაბრუნდებოდნენ და ქულას გადაარჩენდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი მანამდე ხდებოდა, სანამ „ფრაის" თავკაცი **მარკუს ზორგი** მოედანზე **შტეფან რაიზინგერს** შეუშვებდა. 61-ე წუთზე ერთი ბურთი გაქვითა, 81-ეზე მეორეც გაიტანა, მაგრამ გოლი არ ჩაუთვალეს, რამაც ძალიან გააბრაზა, მაგრამ მერე, კერძოდ, 95-ე წუთზე მან მაინც შეძლო დამსახურებული გოლის გატანა. შედეგი: „ფრაიბურგი" წაგებას გადაურჩა, რაიზინგერს კი ძირითად შემადგენლობაში თამაშის პერსპექტივა „ეჭყანება".

### ჰამბურგში ამოისუნთქეს

„ჰამბურგმა" **ტორსტენ ფინკის** ხელში, როგორც იქნა, მოიგო – ჩრდილოელებმა უიდეო „ჰოფენჰაიმი" **პაულო გერეროს** მეტ-ნაკლებად კურიოზული და **მარსელ იანსენის** ბრწყინვალე გოლებით დაამარცხეს. ამ გამარჯვებამ ფინკი შვებით ამოასუნთქა – „ბაზელიდან" გადმობარგებული მწვრთნელის აქტივში მანამდე ზედიზედ სამი ფრე იყო.

მე-13 ტურის სიმბოლური ნაკრები
(4-1-2-1-2, კიკერი)

**რომან ვაიდენფელერი** (ბორუსია დ, I) – **ტონი იანტშკე** (ბორუსია მ, I), **კრისი** (ვოლფსბურგი, I), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ, IV), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ, III) – **ჰასან სალიჰამიჯიჩი** (ვოლფსბურგი, I) – **პატრიკ ჰერმანი** (ბორუსია მ, I), **ხუან არანგო** (ბორუსია მ, I) – **მარკო როისი** (ბორუსია მ, VI) – **შტეფან რაიზინგერი** (ფრაიბურგი, I), **კლაას-იან ჰუნტელაარი** (შალკე, III)

იმ 11 ფეხბურთელიდან, რომლებიც „კიკერმა" მე-13 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოახვედრა, 7 ბორუსიელია – სამი დორტმუნდელია, ოთხი კი მიონხენგლადბახელი. ამ ოთხიდან ერთი, კერძოდ უკვე ბევრჯერ ნახსენები მარკო როისი სიმბოლურში უკვე მეექვსედ მოხვდა.

**ტურის გმირი**

მარკო როისი (ბორუსია მ)

„გლადბახის" უდიდეს ისტორიაში არაერთი ლეგენდარული თავდამსხმელის გვარი წერია – **ბრიულსი, ჰაინკესი, ლაუმენი, სიმონსენი**... ახლო წარსულიდან გვახსოვს **კრინსი, მილი, რანი ან ჰერლიხი**... მაგრამ ვერც ერთმა ზემოთხ სენებულმა თავდამსხმელმა ვერ შეძლო ის, რაც ახლა 22 წლის მარკო როისმა მოახერხა. ის არის პირველი გლადბახელი, რომელმაც ზედიზედ სამ მატჩში შეძლო მინიმუმ დუბლის შესრულება – დუბლი „ჰანოვერთან" (2:1), დუბლი ბერლინში (2:1) და ჰეთ-თრიკი „ვერდერთან" (5:0). ფავრი მას აქამდე გარემარბად ათამაშებდა, მაგრამ **იგორ დე კამარგოს** ტრავმის შემდეგ ცენტრში გადასწია და ფლეიმეიკერის პოზიცია ანდო. შედეგი სახეზეა და შესაძლოა, როისი ამ პოზიციაზე უფრო ხშირადაც მოგვევლინოს ხოლმე.

**გოტფრიდ ლენცი**

**საუკეთესო ფეხბურთელები**

13 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ. |
|---|---|---|
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.18 |
| 2. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.23 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.35 |
| 4. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.50 |
| 5. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.50 |
| 6. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.50 |
| 7. დანიელ ვან ბუიტენი | ბაიერნი | 2.50 |
| 8. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.59 |
| 9. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2.69 |
| 10. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.69 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 12 | 13 | 2 | 15 |
| 2. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 12 | 11 | 4 | 15 |
| 3. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 12 | 12 | 2 | 14 |
| 4. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 11 | 9 | 5 | 14 |
| 5. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 13 | 6 | 8 | 14 |
| 6. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 13 | 8 | 5 | 13 |
| 7. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 13 | 10 | 3 | 13 |
| 8. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 13 | 8 | 3 | 11 |
| 9. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 13 | 6 | 4 | 10 |
| 10. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 13 | 7 | 3 | 10 |




ამბები

## მარტენი 14 მილიონად

"სოშოს" 23 წლის ნახევარმცველმა **მარვენ მარტენმა** ცოტა ხნის წინ განაცხადა, სეზონის დასრულების შემდეგ ამჟამინდელ კლუბს აუცილებლად დავტოვებო. ხელმძღვანელობამ მასთან მოლაპარაკება სცადა, ახალი კონტრაქტიც შესთავაზა, მაგრამ მარტენი პრაქტიკულად აზროვნებს. მან იცის, რომ "სოშოში" დიდხანს დარჩენა მის შემდგომ კარიერას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. ამიტომ მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. თანაც ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2013 წლის ივლისში გასდის და თუ არა მომავალ ზაფხულზე, მისი სარფიანად გაყიდვა შემდგომ უკვე აღარ გამოვა. "სოშო" უბრალოდ იძულებულია ლიდერი ტრანსფერზე დააყენოს. მისით უამრავი კლუბია დაინტერესებული – მათ შორის ყველაზე მეტად "პარი სენ ჟერმენი" და "არსენალი". თავად მარვენს საფრანგეთში ურჩევნია კარიერის გაგრძელება.

## ბენფიკა და მარტინში დამეგობრდნენ

ლისაბონის "ბენფიკამ" 19 წლის მარცხენა მცველ **ლუიშ მარტინშთან** ახალი 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ძველი კონტრაქტი მასთან 2013 წელს იწურებოდა, მაგრამ "არწივებმა" ამ გზით თავი დაიზღვიეს, რათა ევროგრანდებს მარტინში იაფად არ წაერთმიათ. მართალია ის ლისაბონელთა წამყვან ფეხბურთელი ჯერ არ არის, მაგრამ მასზე სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ.

## ბლატერს უკვე სპონსორებიც აკრიტიკებენ

ფიფას პრეზიდენტის **ზეპ ბლატერის** ამასწინანდელ გაუაზრებელ განცხადებას, რა საჭიროა რასისტული სკანდალებისთვის ვინმეს დასჯა, ფეხბურთელებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვან და კონფლიქტი ამით მოგვარდებაო, უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა. გასაგები მიზეზების გამო ყველაზე მეტად ბრიტანელები აქტიურობდნენ. კომენტარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **დევიდ კემერონმაც** კი გააკეთა. მან ბლატერს გადადგომისკენ მოუწოდა. შვეიცარიელი ფუნქციონერის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ამ ორგანიზაციის სპონსორებმაც. მაგალითად გავრცელდა ავიაკომპანია "ემირეიტსის" განცხადება, სადაც წერია: *"ჩვენ მთლიანად გამოვრიცხავთ რასიზმთან შემგუებლობას. ყოველმხრივ დავეხმარებით და დავაფინანსებთ ამ მოვლენის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. ამას გარდა ყურადღებით ვაკვირდებით ფიფას ხელმძღვანელობაში განვითარებულ მოვლენებს".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სამშაბათის მატჩების წინ

# ნეაპოლი და მანჩესტერი ყურადღების ცენტრში

## A ჯგუფი

### ბაიერნი-ვილიარეალი

„ბაიერნი“ არც ისეთი ძლიერი და მით უმეტეს უძლეველი ყოფილა, როგორც აქამდე ჩანდა – ასეთი აზრი გასული უქმეების შემდეგ ბევრს გაუჩნდებოდა, რადგან მიუნხენურმა გრანდმა საკუთარ მოედანზე დორტმუნდის „ბორუსიასთან“ 0:1 წააგო და უმთავრეს კონკურენტს ორქულიან დისტანციაზე მიახლოვების საშუალება მისცა. საპირისპიროს დამტკიცება ბავარიელებს დღეს ჩემპიონთა ლიგაში შეუძლიათ – თუ ჯგუფის აუტსაიდერ „ვილიარეალს“ დაამარცხებენ, „სიკვდილის ჯგუფში“ მერვედფინალის საგზურს ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდებენ. რეკორდმაისტერის პრეზიდენტი **ული ჰიონესი** ამბობს, ამით სეზონის პირველი მიზანი მიღწეული იქნებაო, „დორტმუნდისგან“ მიღებულ დარტყმაზე კი დიდად არ დარდობს.

წესით, „ბაიერნმა“ ესპანური კლუბი იოლად უნდა დაამარცხოს, რადგან „ვილიარეალს“ ოთხივე თამაში წაგებული აქვს, ამ სეზონში გასვლაზე ცხრიდან არც ერთი მატჩი არ მოუგია და თანაც, უმთავრესი ფეხბურთელები, **ნილმარი** და **როსი** ტრავმირებულები არიან. მიუნხენელთა თავკაცი **იუპ ჰაინკესი** დისკვალიფიცირებულ **ბადშტუბერს ვან ბუიტენით** შეცვლის, **არიენ რობენი** კი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. მანჩესტერ სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3. ნაპოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 4. ვილიარეალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-9 | 0 |

## B ჯგუფი

### ცსკა-ლილი

რუსული კლუბის საშინაო მატჩი, ტრადიციისამებრ, ყველაზე ადრე იწყება და თუ ცსკა „ლილს“ დაამარცხებს, მოსკოველები მერვედფინალისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ, რადგან არმიელებს იმდენივე ქულა აქვთ, რამდენიც „ტრაბზონს“, პირად დუელებში კი, რუსებს თურქებზე უპირატესობა აქვთ მოპოვებული. ფრანგული კლუბი მხოლოდ ორი ფრით დაიკვეხნის და მეტით ვერაფრით, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია – „ლილმა“ ამ უქმეებზეც ფრე ითამაშა (0:0 „ტულუზასთან“) და ეს იყო რიგით მე-7 ყაიმი ამ სეზონში ჩატარებულ 14 ოფიციალურ მატჩში.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ცსკა (4-4-1-1):** გაბულოვი – ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ნაბაბკინი, ა. ბერეზუცკი – ალდონინი, მამაევი, ჰონდა, ცაუნია – ძაგოევი – ვაგნერ ლავი.

**ლილი (4-3-3):** ლანდრო – დებუში, როზენალი, შეიდუ, ბონარი – ბალმონტი, მავუბა, გეიე – ჰაზარი, სოუ, პაიე.

**არბიტრი:** პაველ კრალოვეცი (ჩეხეთი)



ედინ ჯეკოსა და პაოლო კანავაროს ორთაბრძოლა

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ვან ბუიტენი, ბოატენგი, ლამი – ტიმოშჩუკი, კროოსი – რობენი, თ. მიულერი, რიბერი – გომესი.

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი – მარიო, გ. როდრიგესი, მუსაკიო, კატალა – ბორხა ვალერო, ბრუნო – ერნან პერესი, დე გუზმანი, ორიოლი – მარკო რუბენი.

**არბიტრი:** მარკუს შტრიომბერგსონი (შვედეთი)

### ნაპოლი-მანჩესტერ სიტი

გაცილებით საინტერესო და მძაფრი დუელი შედგება ნეაპოლში, სადაც „მანჩესტერ სიტი“ ორქულიანი უპირატესობით ჩადის. ეს არის შეხვედრა, რომელმაც მინიმუმ ნაწილობრივ მაინც უნდა გადაწყვიტოს, ვინ გადის ჯგუფიდან „ბაიერნთან“ ერთად – „ნაპოლი“ თუ „სიტი“. წაგება ორივე გუნდისთვის აკრძალულია – განსაკუთრებით კი იტალიური კლუბისთვის, რომელიც მარცხის შემთხვევაში მერვედფინალზე ოცნებას დაემშვიდობება. სამაგიეროდ, თუ ნეაპოლელები მოიგებენ, **რობერტო მანჩინის** გუნდს ერთი ქულით გაასწრებენ და ბოლო ტურში „ვილიარეალთან“ ექნებათ საქმე. აღსანიშნავია, რომ თვეზე მეტია, რაც **ვალტერ მაძარის** გუნდს არ მოუგია, ამ უქმეებზე კი „ნაპოლიმ“ „ლაციოსთან“ 0:0 ითამაშა. მანჩინის შეგირდებმა კი „ნიუკასლს“ უპრობლემოდ მოუგეს (3:1).

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ნაპოლი (3-4-3):** დე სანკტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო, გარგანო, ინლერი, დოსენა – ჰამშიკი, კავანი, ლავეცი.

**მანჩესტერ სიტი ():** ჰარტი – რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – დე იონგი, იაია ტურე – მილნერი, სილვა, ნასრი – ჯეკო.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

### ტრაბზონი-ინტერი

„ინტერმა“ შაბათს „კალიარის“ 2:1 მოუგო და მიუხედავად იმისა, რომ ორიდან ერთი გოლი აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს, მაინც უნდა ვთქვათ, რომ მილანელები კრიზისიდან გამოდიან. ჩემპიონთა ლიგაში კი საქმეები ისედაც კარგად მისდით: ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ, „ნერაძური“ ტრაბზონში ჩადის - გახსოვთ პირველი ტური და თურქების სენსაციური გამარჯვება „სან სიროზე“? თუმცა მაშინ „ინტერის“ მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** არ იყო. ეს უკანასკნელი დღეს **სნეიდერს** მოისაკლისებს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ტრაბზონი (4-2-3-1):** თოლგა – სერქანი, გირაი, მუსტაფა, ჩელუსტკა – კოლმანი, ზოკორა – ჰალილ ალთინთოფი, ალანზინიო, მიერეჟევსკი – ბ. ილმაზი.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – ჯონათანი, რანოკია, სამუელი, ხ. ძანეტი – ობი, მოტა, კამბიასო – სტანკოვიჩი – პაცინი, მილიტო.

**არბიტრი:** მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 2. ცსკა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-5 | 5 |
| 3. ტრაბზონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 4. ლილი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |

## C ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი-ბენფიკა

მატჩი, რომელმაც ჯგუფში პირველადგილოსნის ვინაობა უნდა გაარკვიოს – რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. და შეიძლება არც გაარკვიოს, რადგან „ბენფიკას“ ნამდვილად ხელეწიფება ის, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ ფრეს მიაღწიოს. თუმცა ეს ძნელი იქნება, რადგან „იუნაიტედს“ ჩემპიონთა ლიგაში ბოლო 34 საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული. სერ **ალექს ფერგიუსონი ნემანია ვიდიჩს** დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისებს და კითხვის ნიშნის ქვეშაა **უეინ რუნის** თამაშიც, რომელსაც გუშინ გუნდთან ერთად არ უვარჯიშია. პორტუგალიელებს კი **ხავიერ სავიოლა** ჰყავთ ტრავმირებული.

ეს მატჩი გვახსენებს 1968 წელსაც, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდა პირველი ინგლისური კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა თასი მოიგო, ფინალში კი, „უემბლიზე“ სწორედ „ბენფიკა“ დაამარცხა (4:1).

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა – ჯოუნსი, ფერდინანდი, სმოლინგი, ევრა – ვალენსია, ფლეტჩერი, ქერიკი, იანგი – ერნანდესი, რუნი.

**ბენფიკა (4-2-3-1):** არტური – მაქსი პერეირა, გარაი, ლუიზაო, ემერსონი – ვიტსელი, გარსია – გაიტანი, აიმარი, სესარი – კარდოსო.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

### ოცელული-ბაზელი

„ბაზელს“ ჯერ კიდევ აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი და მისი შენარჩუნებისთვის შვეიცარიელებს „ოცელულის“ დამარცხება სჭირდებათ. წინა ტურის შემდეგ „ბაზელმა“ უკლუბოდ დარჩენილი მცველი **ფილიპ დეგენი** აიყვანა და მას სეზონის ბოლომდე გაუფორმა კონტრაქტი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ოცელული (4-2-3-1):** გრაჰოვიჩი – რაპა, პერენდიხა, კოსტინი, ილიე – ფილიპი, გიურგიუ – ანტალი, იბე, ფრუნცა – პენა.

**ბაზელი (4-4-2):** ზომერი – შტაინჰიოფერი, აბრაამი, დრაგოვიჩი, პარკი – შაქირი, ჰუგელი, შაკა, ზოუა – ა. ფრაი, შტრელერი.

**არბიტრი:** ტომ ჰარალდ ჰაგენი (ნორვეგია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 4 | 2 | 2 | 0 | 8-4 | 8 |
| 2. ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 3. ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 4. ოცელული | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

## D ჯგუფი

### ლიონი-აიაქსი

ამ ჯგუფში უპასუხოდ მხოლოდ ერთი კითხვა რჩება: ვინ გავა მერვედფინალში უკვე გასულ „რეალთან“ ერთად - „ლიონი“ თუ „აიაქსი“? და ამ კითხვასაც წესით ამ ტურში, კერძოდ ამ მატჩში უნდა ეპასუხოს. ამსტერდამული კლუბი ლიონში ჩადის და ფრანგულ გრანდს სამი ქულით უსწრებს, რაც „ლიონს“ გამარჯვებას ავალდებულებს. ამასთან, „აიაქსში“ მნიშვნელოვანი რამ მოხდა – გუნდის სპორტულ დირექტორად **ლუის ვან გაალი** დაინიშნა...

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი – რევეილერი, კრისი, ბ. კონე, სისოხო – კალსტრიომი, გონალონსი – ბრიანი, გურკუფი, ბასტოსი – ლისანდრო ლოპესი.

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი – ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ანიტა – ენო, ერიკსენი, იანსენი – სულეიმანი, ლოდეირო, ებესილიო.

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

### რეალი-დინამო (ზ)

ოთხი მოგება, ბურთების შეფარდება 10:0 – „რეალი“ მერვედფინალშია და თანაც, ასპროცენტიანი შედეგით. ამრიგად, **ჟოზე მოურინიოს** შეუძლია, ზაგრების „დინამოსთან“ სპორტული თვალსაზრისით უმნიშვნელო მატჩში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენოს. ერთი რამ ჟოზემ გუშინვე თქვა – **ნური შაჰინს** სასტარტოში გავამწესებო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-3-2-1):** კასილიასი – არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო – ხედირა, დიარა, ჩაბი ალონსო – იოზილი, რონალდო – იგუაინი.

**დინამო ზ. (4-4-2):** ლონჩარიჩი – ვიდა, ტონელი, კუფრე, იბანიესი – ლეკო, კოვაჩიჩი, ბადელი, ალისპაჰიჩი – ბექირაი, კრსტანოვიჩი.

**არბიტრი:** ალან კელი (ირლანდია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-0 | 12 |
| 2. აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 3. ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-9 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი



დევიდ ბექჰემი ჩემპიონის თასით

# ბექჰემი ისევ ჩემპიონია

"ლოს ანჯელეს გალაქსიმ" ჰიუსტონის "დინამოს" 1:0 დამარცხების შემდეგ მლს-ის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს მესამე ოქროს მედალია კლუბის არსებობის ისტორიაში, იქამდე "გალაქსის" ჩემპიონატში 2002 და 2005 წლებშიც გაუმარჯვია. ერთადერთი გოლი ჰიუსტონელთა კარში **ლენდონ დონოვანმა** 72-ე წუთზე გაიტანა. მნიშვნელოვანია ის, რომ შესაძლოა ეს მატჩი უკანასკნელი აღმოჩნდეს აღნიშნული კლუბის რიგებში მისი უმთავრესი ვარსკვლავი **დევიდ ბექჰემისთვის**, რადგან ამიერიდან ის თავისუფალი აგენტია და სადაც მოისურვებს, კარიერას იქ განაგრძობს.

მიუხედავად იმისა, რომ დევიდი კარიერაში მოპოვებული მორიგი საჩემპიონო ოქროს მედლით წარმოუდგენლად ბედნიერი იყო, მან მცირე კომენტარის გაკეთება არც სამომავლო გეგმებზე დაიზარა: *"გალაქსისთან" ერთად მლს-ის ჩემპიონატის მოგება 2007 წლის ივლისის მერე მინდოდა. და აი, როგორც იქნა, ეს დღე დადგა. ამერიკულ კარიერაში ჩემთვის ეს ყველაზე ბედნიერი წუთებია. რაც შეეხება ჩემ მიმართ სხვა კლუბების ინტერესს, ამჟამად რამე ღირებულის თქმა არ შემიძლია... ჯერჯერობით მაინც. ამ წუთას მხოლოდ მოლხენა და ბედნიერი წუთებით ტკბობა მინდა. შემდეგ კი კარგი დასვენებაც არ მაწყენდა. გადაწყვეტილებას მხოლოდ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მივიღებ. საბოლოოდ სულაც არ მითქვამს, რომ აქედან სადმე წასვლას ვაპირებ".*

**ლევან ბიბილაშვილი**




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?



გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ

ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14

www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ძიუდო. ეროვნული ნაკრები

# ჭირვეულის მორჯულება




საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები დღეს დაბრუნდება ამსტერდამიდან, თუმცა არასრული შემადგენლობით, რადგან მისი რამდენიმე წევრი - **ამირან პაპინაშვილი** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) ჰოლანდიიდან იაპონიაში გადაფრინდება, სადაც ოთხკვირიან შეკრებას გაივლიან. მათ მწვრთნელებად ნაკრების თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** და მისი ყოფილი ასისტენტი **ზურაბ ზვიადაური** გაჰყვებიან. ჩვენი გუნდი მონაწილეობას მიიღებს 10-11 დეკემბერს ტოკიოშივე გასამართ ერთ-ერთ უპრესტიჟულეს შეჯიბრებაში, ძიუდოს შემქმნელ ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადზე". ცხადია, იქ წამსვლელთა ბირთვი მწვრთნელებს უკვე გამოკვეთილი ჰყავთ, მაგრამ იაპონური შეკრების გავლამდე შემადგენლობის დასახელებას არ ჩქარობენ, რადგან გარკვეული ცვლილებებიც შეიძლება მოხდეს. არც ისაა გამორიცხული, კანოს მემორიალიდან ერთ კვირაში ჩინურ ქინგდაოში გასამართ „დიდ პრიზზეც" წავიდნენ, რაც ასევე გამოიწვევს ცვლილებებს საიაპონე გუნდში.

> **საგზური ოლიმპიადაში მონაწილეობის ნებას გვაძლევს და არა ოლიმპიურ მედალს, ჩვენებმა კი ამსტერდამში, რბილად რომ ვთქვათ, დამაიმედებელი კვლავაც ვერაფერი დაგვანახეს.**

შეგახსენებთ, რომ ჩვენები ამსტერდამის „დიდ პრიზზე" არცთუ წარმატებულად გამოვიდნენ - პაპინაშვილის მიერ მოპოვებული ერთადერთი ვერცხლის ამარა დავრჩით, რასაც ტატალაშვილისა და **ვალერი ლიპარტელიანის** (90) მეხუთე ადგილებიც უნდა დავუმატოთ. ჩვენთვის განსაკუთრებით წარუმატებელი მეორე დღე აღმოჩნდა, თორემ პირველში - შაბათს მედლიდან, ჭიდაობის ხარისხიდან თუ საერთო პერსპექტივიდან გამომდინარე, კარგი გამოსვლა იყო, მაგრამ კვირას ზედა წონების წარმომადგენლებმა მოსალოდნელზე ბევრად სუსტად იჭიდავეს. ამან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შექმნილი ნაკლოვანებები. ალბათ, ბევრი ისევ გაამართლებს ამ წაგებას, მსოფლიოს პირველობის მერე სპორტსმენებს პასიური პერიოდი ჰქონდათ, ისე ინტენსიურად არ ვარჯიშობდნენ, ჯერ ფორმაში არ არიან და ახლა იწყებენ მზადებას სრული დატვირთვითო, აკლდათ ვარჯიშებიო და ამგვარები, თუმცა მიგვაჩნია, რომ მდგომარეობა სასწრაფოდაა შესაცვლელი - ასე თუ გაგრძელდა, ლონდონის ოლიმპიადაზე მარცხი გარდუვალი იქნება. სამწუხაროდ, ნაკრები ჭაობში იმ დონემდეა ჩაფლული, უკან დასახევი გზა და ლოდინის უფლება აღარ აქვს. საწყენია, რომ სალიცენზიო ქულათა მარაგის შევსების ასეთი მშვენიერი შანსი, როგორიც „დიდი პრიზის" შეჯიბრებაა (აქ შედარებით ბევრი ქულა გაიცემა) გავანიავეთ და ვერ გამოვიყენეთ. ამ მხრივ სადაც გვიჭირდა, იმ წონებში მხოლოდ ტატალაშვილმა გაიუმჯობესა მდგომარეობა, იმანაც ცოტათი, მაგრამ 81-ში და მძიმეში ვერაფერი შევიმატეთ. თუმცა ლიცენზიაც რა დიდი ბედენაა, ჭიდაობის ხარისხი თუ არ გამოსწორდა - საგზური ოლიმპიადაში მონაწილეობის ნებას გვაძლევს და არა ოლიმპიურ მედალს, ჩვენებმა კი ამსტერდამში, რბილად რომ ვთქვათ, დამაიმედებელი კვლავაც ვერაფერი დაგვანახეს. განსაკუთრებით - ზედა წონებში. ბოლო შეჯიბრებებზე - ბაქოსა და სამოას მსოფლიოს თასებზე, აგრეთვე აბუ დაბის „დიდ პრიზზე" ზოგიერთი ფალავანის გამოცოცხლება მხოლოდ დროებითი მოვლენა გამოდგა, უმეტესობამ კი ჰოლანდიაში კვლავაც არაეფექტური ჭიდაობა აჩვენა. რაც ყველაზე სამწუხაროა, ბევრმა ისევ გაიმეორა ძველი შეცდომები. გვჯერა, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (90) ამ ხარვეზებს სამომავლოდ გამოასწორებს, იქნებ სხვებმაც გაითვალისწინონ საკუთარი მინუსები, მაგრამ ბევრში საამისო რეზერვი არ ჩანს. ჩავარდნების ამ საერთო ფონზე გამონაკლისი მხოლოდ პაპინაშვილია, რომელიც ამსტერდამულ ვერცხლამდე აბუ დაბიში მესამე იყო. მართალია, სამოაში ტატალაშვილიც გავიდა მესამეზე, ანუ ზედიზედ ორ შეჯიბრებაში გამოვიდა ნორმალურად, მაგრამ პაპინაშვილი ბევრად მაღალი დონის ჭიდაობას აჩვენებს.

ერთი სიტყვით, გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნაკრების საწვრთნელ პროცესში ბევრი არაფერი შეცვლილა. ეტყობა, „ჭირვეულის (ანუ ზაიზენბახერის) მორჯულება" წარუმატებლად მიმდინარეობს - გინდ **გიორგი ვაზაგაშვილი** მიუჩინე მეთვალყურედ, გინდ - **ბორის ფირცხელიანი** ან ნებისმიერი, მაინც არაფერი შეიცვლება! თუმცა როგორ უნდა შეიცვალოს, როცა გადაწყვეტილებათა ერთპიროვნული მიმღები ისევ ზაიზენბახერია, მის საქმეებში ჩარევა კი მწვრთნელთაგან არავის შეუძლია. ზაიზენბახერიც აგრძელებს თავის უცნაურ ექსპერიმენტებს, რის დასტურადაც იაპონიაში შეკრებაზე არა მთელი გუნდის, არამედ მხოლოდ იმ ოთხი კაცის წაყვანა მიგვაჩნია. ღმერთმა ჰქნას, გუნდის სხვა წევრები იმ დონეზე იყვნენ მომზადებულნი, მსგავსი შეკრება მართლაც არ სჭირდებოდეთ, მაგრამ ამსტერდამში გამოჩნდა, ასე რომ არაა. როცა ამხელა ხარჯს სწევს ფედერაცია, ბარემ მთელი გუნდი წასულიყო - სხვებს აწყენდათ იაპონელებთან ვარჯიში? არადა, შარშან ამას აუცილებლობად მიიჩნევდნენ და ორჯერ ხანგრძლივი შეკრებაც გაიარეს, თუმცა ამით ჩავლებაში არსებული ხარვეზები რომ ვერ აღმოფხვრეს, ფედერაციაც აღიარებს ანუ საჭიროება ისევ არის. უცნაურია ისიც, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ დაესწრება საქართველოს ჩემპიონატსაც. როგორც იქნა, ფედერაციამ ამ ტურნირის თარიღიც დაადგინა - 3-4 დეკემბერს ყოფილ სკა-ს დარბაზში ჩატარდება, იმ დროს კი ზაიზენბახერი იაპონიაში იქნება. ცხადია, ჩემპიონატში მონაწილეობას ვერც მასთან შეკრებაზე მყოფი სპორტსმენები მიიღებენ.

> **გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნაკრების საწვრთნელ პროცესში ბევრი არაფერი შეცვლილა... გადაწყვეტილებათა ერთპიროვნული მიმღები ისევ ზაიზენბახერია, მის საქმეებში ჩარევა კი მწვრთნელთაგან არავის შეუძლია. ზაიზენბახერიც აგრძელებს თავის უცნაურ ექსპერიმენტებს.**

**ირაკლი თავაძე**

სამბო



# მიღწეულმა არც მწვრთნელი უნდა დაგაკმაყოფილოს!

იშვიათია თავის საქმეზე ისეთი შეყვარებული და ბოლომდე ერთგული ადამიანი, როგორიც სამბოში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გივი სარდანაძეა.** 46 წელიწადია იგი სპორტის ამ სახეობაში მოღვაწეობს და არაერთი სახელოვანი ფალავანი ჰყავს აღზრდილი. ქუთაისის თვითმმართველობამ ღვაწლმოსილ სპეციალისტს მრავალწლიანი შრომა დაუფასა და წლეულს მისი სახელობის ტურნირი დააფუძნა, რომელიც ამ უქმეებზე ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა დასავლეთ საქართველოს სამბისტთა მონაწილეობით. *„აღმოსავლეთ საქართველოს გუნდები შეგნებულად არ მოვიწვიეთ, რადგანაც ტურნირი პირველად ტარდება და ამ ეტაპზე არ გვინდოდა ბევრი მონაწილე ყოფილიყო. სამომავლოდ, ქალაქის მერია გვპირდება საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას, რომელშიც საქართველოს რეგიონების გარდა უცხოელებიც იჭიდავებენ".* - გვითხრა გივი სარდანაძემ.

დამსახურებულმა მწვრთნელმა თავის მიღწევებზეც ისაუბრა: *„მთელი ცხოვრება სამბოს მივუძღვენი, ჩემს შეგირდებს მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე (ასაკობრივებსა და დიდებში) 68 სხვადასხვა სინჯის მედალი აქვთ მოპოვებული. მათ შორის ხუთი მსოფლიოს და ხუთიც ევროპის ჩემპიონის წილად მოდის. ქართული სამბო მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. ქუთაისელთა გუნდი კი საქარველოში მე-20 საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდადაა დასახელებული. დღეს წარმატებით ასპარეზობენ გელა სანიკიძე, გენადი ჩირგაძე, ვარლამ შალიკაშვილი, რომელიც თავის ასაკში წლეულს ევროპის პრიზიორი გახდა. ლერი ჯოხვაშვილი კი მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორია"...*

მანვე ისიც გვითხრა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა სამბოს დიდ ყურადღებას აქცევს და ამ ტურნირის ჩატარებაც მათი იდეა იყო. *„დიდი მადლობა მერიასა და საკრებულოს ტურნირის ორგანიზებისთვის. არ ყოფილა შემთხვევა, ქალაქის ხელმძღვანელობისთვის რაიმე გვეთხოვოს და შესაძლებლობების ფარგლებში გვერდში არ დაგვდგომოდნენ. ძალიან კარგი სავარჯიშო პირობები გვაქვს, თანამედროვე დარბაზი და კარგი ხალიჩა, დანარჩენი ჩვენს შრომაზეა დამოკიდებული. მწვრთნელი და სპორტსმენი მაშინ გქვია, როცა მიღწეულით არ კმაყოფილდები. ქუთაისში სამბოს საამაყო ტრადიციები აქვს და ვეცდებით, რომ ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე ვიყოთ".*

*„გივი სარდანაძეს ქართული სპორტში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. რამდენჯერმე თავის სახეობაში საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად იყო დასახელებული. გაისად ტურნირში საქართველოს რეგიონებთან ერთად სხვა ქვეყნის სამბისტებიც იასპარეზებენ. თანაც, მომავალ წელს გივი სარდანაძე 70 წლისა ხდება და ეს მისი საიუბილეო ტურნირიც იქნება. ბატონი გივი კი გვპირდება, რომ 70 წლის იუბილეს 70 მედლით შეხვდება"...* აღნიშნა ქუთაისის მერიის სპორტის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა **გია ჩიხლაძემ.**

ახლა კი თავად ტურნირის შესახებ. შეჯიბრება ჭაბუკთა შორის გაიმართა და მასში 90-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. გამარჯვებულები 12 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. აი, ისინიც: **გიორგი ნაროიშვილი** (38კგ), **გიორგი ბარჯაძე** (41. ორივე - ვანი), **ლევან შონია** (45,), **ჯაბა ქურდიანი** (48), **იაგო დიხამინჯია** (52), **ვარლამ შალიკაშვილი** (56, ოთხივე - ქუთაისი), **შმაგი დადუნაშვილი** (60,ვანი), **დავით წურწუმია** (65, ფოთი), **ზურაბ ლომიძე** (70, ზესტაფონი), **ალეკო თოლორაია** (74, ზუგდიდი), **გაგა კამლაძე** (81, ქუთაისი), **გიორგი ლაზუაშვილი** (+81, ზესტაფონი).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

დებიუტანტი



## გიგა გოგოლაძე
**(ძიუდო, 33 კგ)**

**დაიბადა** 1998 წლის 19 ივლისს, ბორჯომის რაიონის სოფ. ტაძრისში.

**სწავლობს** სოფ. ტაძრისის საჯარო სკოლაში.

**ვარჯიშობს** 2009 წლიდან ვარჯიშობს ბორჯომის სასპორტო სკოლის ძიუდოს სექციაზე, მწვრთნელ **დემურ კევლიშვილითან.**

**მიღწევები:** 2010 წელი - სალონიკის (საბერძნეთი) საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი, ლაგოდეხის, ბორჯომის და ხაშურის ტურნირების მესამე პრიზიორი. 2011 - ლაგოდეხის და ხაშურის ტურნირების გამარჯვებული

**მიზანი:** ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა.

**გატაცება:** რაგბი.

**ჰობი:** ფეხბურთი.

**ვასილ ბალახაძე**
დავით ასპანიძის ფოტო

ჭადრაკი

# ვის არგო და ვის არა

ხორვატიაში ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა სენიორ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც სამი ქართველიც მონაწილეობს. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** თეთრი ფიგურებით 46-ე სვლაზე ერთპიროვნულ ლიდერ ლუდმილა საუნინას დაუზავდა. შესანიშნავად ითამაშა **ნინო მელაშვილმა,** რომელმაც ინდოელ სეით ტიფსეის შავი ფიგურებით 37-ე სვლაზე გააჩერებინა საათი და 4,5 ქულით გაფრინდაშვილს წამოეწია. ეტლების ენდშპილში **თამარ ხმიადაშვილს** უკეთესი პოზიცია ჰქონდა ვალენტინა კოზლოვსკაიასთან შეხვედრისას, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია - ყაიმი.

ამდენად, ფინიშამდე სამი ტურით ადრე: საუნინა-5, გაფრინდაშვილი, მელაშვილი, სტრუტინსკაია - 4,5-4,5, ხმიადაშვილი, კოზლოვსკაია, ფატალიბეკოვა, მედნიკოვა-4-4 ქულა. კაცებში 6 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: ანატოლი ვაისერი-5,5, ნუხიმ რაჩკოვსკი, კრუნოსლავ ჰულაკი, ვლასტიმილ იანსა, დავორინ კომლიენოვიჩი, გენადი ტიმოშენკო, ვლადიმირ ჟელნინი, ვლატკო კოვაჩევიჩი, ჰერმან ვანი, ნიკოლაი რუჩკოვი, ევგენი ჩერნოვი-5-5 ქულა.

დღეს მე-7 ტურში მელაშვილი და გაფრინდაშვილი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ხმიადაშვილი შავებით ნატალია ტიტორენკოს, სტრუტინსკაია კი საუნინას შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

# ისევ უდანაკარგოდ

ბრაზილიაში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა ქუთაისელმა **მერი არაბიძემ** - 18-წლიანთა მეოთხე ტურში მან ირანელი საერთაშორისო ოსტატი მიტრა ნეჯაზიპური დაამარცხა. ასევე, წარმატებას მიაღწია ტურნირის რუსმა რეიტინგფავორიტმა ალინა კაშლინსკაიამ, რომელმაც აზერბაიჯანელ ხაიალა აბდულას სძლია. სამქულიან ნარმინ კაიმოვას (აზერბაიჯანი) და ალტანულზიი ენხტუულის (მონგოლეთი) დაპირისპირება მშვიდობიანად დასრულდა. ამდენად, 4 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ არაბიძე და კაშლინსკაია დაწინაურდნენ. მე-5 ტურში სწორედ ისინი შეხვდებიან ერთმანეთს. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით კაზიმოვა, ენხტუული და ანი კრუმოვას (ბულგარეთი) მძლეველი პეტრა პაპი (უნგრეთი) ჩამორჩებიან.

14-წლიანებში ზედიზედ მეორედ დამარცხდა **ნინო ხომერიკი** - ამჯერად მან პოლონელ ალექსანდრა დადელოსთან წააგო, არადა, ჩვენებურს რეიტინგში 104 პუნქტით უკეთესი მაჩვენებელი აქვს. ამ ასაკშიც 4-4 ქულით რუსი ალექსანდრე გორიაჩკინა და ირანელი სარასადათ ხადემალშარიჰი ლიდერობენ. მე-5 ტურში ხომერიკი ლაურა ჰაიბლერს (ავსტრია) ეთამაშება.

**ვაჟა დანელია**


მერი არაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# მწვრთნელმა მხარდამჭერები შემოიკრიბა

„ოლიმპიკის" აუზში გასულ უქმეებზე თბილისის, რუსთავის, გორის, საჩხერისა და სოფელ ჭორვილას მოცურავეებმა ვეტერანი მოცურავის **დავით გაჩეჩილაძის** სახელობის თასზე იასპარეზეს.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი დავით გაჩეჩილაძე გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა და **იგორ ვაიცეხოვსკის** შეგირდი საკავშირო ჩემპიონატებში უკრაინის სახელით წარმატებით ასპარეზობდა. იყო სამი საერთაშორისო ტურნირის (ვარშავა, ბერლინი, პრაღა) გამარჯვებული. 1997 წელს ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატზე 156 მონაწილეს შორის თავისუფალი ყაიდით მე-3 ადგილი დაიკავა. წლეულს ვაკის დახურულ აუზში 10 საათის განმავლობაში შეუსვენებლად 25 კილომეტრი გაცურა. მომავალში ამ დისტანციის ორჯერ გაზრდა აქვს განზრახული, რითაც ახალგაზრდებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მაგალითს აძლევს. რაც მთავარია, მისი სახელობის თასის გათამაშება თავად დააფინანსა - გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებთან და თასებთან ერთად ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.



- ამ შეჯიბრების იდეა საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ხომასურიძეს ეკუთვნის, - გვითხრა დავითმა. - ვეტერან სპორტსმენებს დაგვიკავშირდა, მოცურავეებს გვერდით დაგვიდექითო. ჩვენც ავიტაცეთ ეს იდეა. 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში ცურვას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ორდღიანმა შეჯიბრებამ დაგვანახვა, რომ პერსპექტიული გოგო-ბიჭები გვყავს, ოღონდ დასაოსტატებლად მათ ინტენსიურ ვარჯიშებთან ერთად ხშირი სტარტები სჭირდებათ როგორც შინ, ისე უცხოეთში. სწორედ აქ იქნება ჩვენი თანადგომა საჭირო.

**ზურაბ ხომასურიძე:** საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად წლეულს ამირჩიეს. უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, რასაც კოლეგების დახმარებით ვცდილობ. დავუკავშირდი ყოფილ მოცურავეებს, რომლებიც ბიზნესში მოღვაწეობენ. ერთ-ერთი პირველი დავით გაჩეჩილაძე გამომეხმაურა, რომელმაც შესანიშნავი შეჯიბრება დაგვიფინანსა.



**ქვარცხლბექი**

**გოგონები. 100 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 1.08,05), 2. ელენე უნდილაშვილი (დილომი, 1.11,73), 3. მაია ხრიკული (ორივე - „ლაგუნა ვერე", 1.12,58). **200 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ელენე უნდილაშვილი (დილომი, 2.43,65), 2. ელენე ლომიძე (2.52,75), 3. სოფიო სალარაძე (ორივე - „ტონუსი", 2.56,00). **1500 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 21.51,22), 2. მაია ხრიკული („ლაგუნა ვერე", 23.46,76), 3. მეგი ხათაშვილი (გორი, 23.55,94). **100 მ. ბრასი.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 1.26,55), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.27,46), 3. ქეთევან ყამარაული („ტონუსი", 1.32,59). **200 მ. ბრასი.** 1. ბაქსტერ პენელოპა (თბილისი, 3.05,17), 2. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.05,55), 3. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 3.07,48). **100 მ. გულაღმა ცურვა.** 1. მეგი ხათაშვილი (გორი, 1.22,87), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 1.23,27), 3. ნატო ჯაფარიძე („ტონუსი", 1.28,38). **200 მ. გულაღმა ცურვა.** 1. მეგი ხათაშვილი (გორი, 2.59,39), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 3.05,15), 3. ანა გალდავა („ტონუსი", 3.08,38). **100 მ. ბატერფლაი.** 1. მარიამ მეჭურჭლიშვილი („ლაგუნა ვერე", 1.25,88), 2. თამთა გიგილაშვილი (1.27,84), 3. მარი ობოლაშვილი (ორივე - რუსთავი, 1.30,18). **200 მ. ბატერფლაი.** 1. მარიამ მეჭურჭლიშვილი („ლაგუნა ვერე", 3.19,42), 2. თამთა გიგილაშვილი (3.33,22), 3. მარიამ ობოლაშვილი (ორივე - რუსთავი, 3.41,31). **200 მ. კომპლექსური.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.09,34), 2. ანა გალდავა („ტონუსი", 3.24,60). **გუნდური. 4X100 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. გორი - 5.01,43, 2. „ტონუსი" - 5.11,81, 3. რუსთავი - 5.20,11.

**ვაჟები. 100 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 54,22), 2. დავით შახნაზაროვი (59,15), 3. რეზო ესაძე (ორივე - „ლაგუნა ვერე", 1.03,13). **200 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ირაკლი რევიშვილი (1.58,14), 2. დავით სიხარულიძე (ორივე - „ტონუსი", 1.59,82), 3. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 2.06,93). **1500 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ირაკლი რევიშვილი (17.41,10), 2. ირაკლი ბოლქვაძე (17.27,75), 3. დავით სიხარულიძე (სამივე - „ტონუსი", 18.01,54). **100 მ. ბრასი.** 1. ირაკლი ბოლქვაძე (1.07,96), 2. ლუკა კერვალიშვილი (ორივე - „ტონუსი", 1.13,31), 3. გიორგი ზურიკაშვილი (რუსთავი, 1.20,66). **200 მ. ბრასი.** 1. ლუკა კერვალიშვილი („ტონუსი", 2.41,13), 2. ილია პაპიძე (3.00,14), 3. გიორგი ტეკშტრემი (ორივე - „ლაგუნა ვერე", 3.10,57). **100 მ. გულაღმა ცურვა.** 1. გიორგი მთვრალაშვილი („ტონუსი", 1.03,42), 2. ნიკა სიხარულიძე (1.13,04), 3. დავით ბარდაველიძე (ორივე - „ლაგუნა ვერე", 1.13,43). **200 მ. გულაღმა ცურვა.** 1. თემო კობახიძე (2.33,07), 2. ნიკა სიხარულიძე (ორივე - „ლაგუნა ვერე", 2.37,84), 3. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 2.37,94). **100 მ. ბატერფლაი.** 1. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 1.04,66), 2. ნიკა კოკელაძე („ლაგუნა ვერე", 1.05,57), 3. ირაკლი შავიძე (რუსთავი, 1.05,98). **200 მ. ბატერფლაი.** 1. თემო კობახიძე („ლაგუნა ვერე", 2.25,22), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.27,60), 3. დათო მურჯიკნელი (დილომი, 2.42,34). **200 მ. კომპლექსური.** 1. ნიკა კოკელაძე („ლაგუნა ვერე", 2.29,14), 2. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 2.35,94), 3. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი", 2.37,43). **ამანათცურვა. 4X100 მ.** 1. „ტონუსი" - 3.45,70, 2. „ივერია" - 3.59,59, 3. „ლაგუნა ვერე" - 4.00,28.

**ვაჟა დანელია**

ვაი ინფრასტრუქტურა

გლდანი



კასპი



# დგანან და ელიან...

# SOS

ფოტოსურათებზე თქვენ ხედავთ ნაგებობებს, რომლებიც თავის დროზე ტიპური პროექტით აიგო და ხალხი „ცირკს" ეძახდა. დღეს ეს არენები უპატრონოდაა მიგდებული და შიგ ანტისანიტარიაა. ერთი - კასპშია, მეორე - გლდანში.

„ცირკს" იმიტომ უწოდებდნენ, რომ ის შენობა ცირკის ფორმისაა. უწინ პროფესიონალი მოჭიდავეებიც ხომ ტრადიციულად, ცირკში ასპარეზობდნენ (XX საუკუნის დასაწყისში)...

ქართული ჭიდაობის ამ დარბაზებში შაბათ-კვირა ისე არ ჩაივლიდა, ზურნისა და დოლის ხმაზე „საჭიდაო" არ აჟღერებულიყო.

შენობებიდან ხშირად ისმოდა ქომაგების ომახიანი შეძახილები - ჰკა მოგვერდი! მიდი გადაავლე! კისრული! სარმა...

უკვე მრავალი წელიწადია ეს უტყვი შენობები ამაოდ ელიან გულშემატკივართა ყიჟინას და მწვავე ორთაბრძოლებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მავანნი მათი სახურავის ჩამოშლას ელოდებიან...

გასაკვირია, რატომ დუმან და არაფერს ამბობენ თუნდაც ის ჩემპიონ-პრიზიორები, რომლებსაც ამ სარბიელზე უასპარეზიათ!..

ან იმას რატომ ვივიწყებთ, რომ გვიან შემოდგომაზე, ზამთარში და ადრეულ გაზაფხულზე ქართული ჭიდაობა სწორედ რომ დახურულ საჭიდაო წრეში უნდა ტარდებოდეს.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტოები

ჩოგბურთი



# ქულა უდრის 400 ადგილს

გუშინ კვლავ განახლდა ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტები. სეზონის მიწურულს ტურნირების მინიმალური რაოდენობა იმართება, ამიტომაც ცვლილებები მხოლოდ სიმბოლურია და ქართველთა დღევანდელ მდგომარეობას სიის სახით მოგაწვდით. ქალები: 89 (-) **ანა ტატიშვილი** - 744 ქულა; 178 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 359; 281 (-1) **სოფიო შაფათავა** - 199; 321 (-15) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 149; 403 (-3) **ეკა გორგოძე** - 100; 431 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 89; 467 (-1) **თათია მიქაძე** - 89; 991 (-) **ნათია გეგია** - 11; 1012 (+1) **ანი გოგვაძე** - 10; 1216 (-5) **მაგდა ოქრუაშვილი** - 3. ვაჟები: 1239 (-8) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1336 (-2) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 457 (+402) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2. როგორც ხედავთ, თავქვე ეშვება ოქსანა კალაშნიკოვა, რომელსაც ზურგის ტრავმამ 6 თვე გაუცდინა. ვაჟებში სულ 1 ქულა შეიმატა ალექსანდრე მეტრეველმა თურქულ ანთალიაში ასპარეზობისთვის და 402 ადგილით წაიწია წინ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# სამარცხვინო ბაშო

ქართველთათვის ყველაზე უიღბლო ბაშო გრძელდება - მე-9 დღესაც სამივე ჩვენებურმა წააგო, რის შედეგადაც **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ნაადრევად „გაინაღდეს" რეიტინგში დაქვეითება, მათ ხომ 8-8 წაგება მოასწრეს. რაც შეეხება **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)**, მას ჯერ კიდევ შერჩა თეორიული შანსი (2-7) ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს, ამისთვის კი 6-ვე დარჩენილი ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. არადა, დღესვე ჩემპიონ **ჰარუმაფუჯის** ხვდება...

კიუშუს ბაშოზე გამოიკვეთა ორი ლიდერი, ისინი ახლოსაც არ იკარებენ სხვებს - 9-9 მოგება დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** და ჩემპიონ **კოტოშოგიკუს** აქვთ, იმპერატორის თასის ბედსაც ერთმანეთში გადაწყვეტენ.

**IX დღე**

ჰაკუჰო-ტოჩინოვაკა (უვატედაშინაგე), ბარუტო-კაკურიუ (ცურიდაში), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (კომატასუკუი), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-კიტატაიკი (იორიტაოში), ტოიონოშიმა-გოეიდო (ოშიტაოში), ოკინოუმი-ჰომაშო (იორიტაოში), კიოკუტენჰო-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), არანი-**გაგამარუ** (ოკურიდაში), იოშიკაძე-ტაკაიასუ (ოკურიდაში), ამინიშიკი-ვაკაკოიუ (ოშიტაოში), მიაბიამა-**კოკაი** (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-ფუჯიაზუმა (კეტაგური), ტოიოჰიბიკი-ტაკეკაძე (ოშიდაში), აოიამა-მიოგირიუ (ჰატაკიკომი), დაიდო-სადანოფუჯი (კატასუკაში), ცურუგიდაკე-საგაცუკასა (ცუკიდაში), ტაკარაფუჯი-ტამავაში (ცუკიოტოში), კიმურაიამა-ასასეკირიუ (ოშიდაში), შოჰოზანი-კაისეი (შიტატენაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**9-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (ოძეკი).

**7-2:** კისენოსატო (სეკივაკე), ტაკეკაძე (მაეგაშირა 7), ვაკაკოიუ (მ 9), აოიამა (მ 16)... **2-7:** **გაგამარუ** (მ 3)... **1-8:** **ტოჩინოშინი** (მ 2), **კოკაი** (მ 10).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კაკურიუ, **გაგამარუ**-ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ-ტოჩინოვაკა, ბარუტო-კოტოშოგიკუ, **ტოჩინოშინი**-კისენოსატო, ჰომაშო-კიოკუტენჰო, ტოიონოშიმა-არანი, ოკინოუმი-გოეიდო, ვაკაკოიუ-ტოჩიოძანი, **კოკაი**-იოშიკაძე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ქართველი ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ევროჩელენჯი. არმია-ლეიდენი. 18:00

# გოტინგენი: მოვიდა, წააგო, წავიდა! ლეიდენი?..





დღეს, სპორტის სასახლეში წლის მნიშვნელოვანი მატჩია - „არმია“ ჰოლანდიის ჩემპიონ „ლეიდენს“ მიიღებს. გადახედეთ სატურნირო მდგომარეობას და თავადაც დარწმუნდებით, რაოდენ მნიშვნელოვანია ამ შეხვედრის მოგება როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდისთვის. ჯგუფში პირველი ადგილი თითქმის გარანტირებული აქვს „ბეშიქთაშს“. მეორე საგზურისთვის კი პრეტენზიას სწორედ ჰოლანდიისა და საქართველოს ჩემპიონები აცხადებენ.

დღეს, სპორტის სასახლეში მისული გულშემატკივარი ნამდვილად არ ინანებს, რადგან სხვადასხვა სტილისა და პლუსების მქონე გუნდების საინტერესო პაექრობას იხილავს.

მაგალითად, „ლეიდენი“ დაცვაზე ორიენტირებული გუნდია, არ ჰყავს გამოკვეთილი ცენტრი (ისეთი, როგორც „ბეშიქთაშსა“ და „არმიას“) და აქცენტს სწრაფ თამაშზე აკეთებს.

არმიელთა პლუსი კი შეტევაა - **კოტე ტულუშს** გუნდში კარგი სნაიპერები ჰყავს, რომლებსაც შეუძლიათ როგორც მაღალ ტემპში, ასევე პოზიციურად გააზრებული თამაში.

■ ■ ■

დანარჩენს მწვრთნელებისგან შევიტყობთ. ჯერ მასპინძელთა თავკაც კოტე ტულუშს მოვუსმინოთ, რომელიც ოპტიმისტურადაა განწყობილი:

- „ლეიდენის“ შესახებ საკმარის ინფორმაციას ვფლობთ. შედეგებიც ადასტურებს, რომ ძლიერი გუნდია - გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, ხოლო სადღეისოდ 7 მატჩში 5 მოგება აქვს. „ლეიდენმა“ ევროჩელენჯზე „ბეშიქთაშთან“ შინ დამარცხების შემდეგ „გოტინგენს“ გერმანიაში სძლია. ჰოლანდიელები საქართველოშიც მოსაგებად ჩამოვიდნენ, მაგრამ არაფერის დათმობას ვაპირებთ. „არმიასაც“ აქვს თავისი პლუსები როგორც ტაქტიკურად, ასევე მოედნის მიღმა - მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი.

**- „ლეიდენს“ წინა ხაზში გამორჩეული სიმაღლისა არავინ ჰყავს. ეს საქმეს ხომ არ გაართულებს?**

- ფარქვეშ ძირითადად ბოქსლი, შეპარდი და კენედი თამაშობენ. ძალიან მოძრავი წინა ხაზია, სამწამიანი ზონის გარედანაც ზუსტად სროლა შეუძლიათ. თუმცა, ამისთვის მზად ვართ.

**- მეტოქის შემადგენლობაში გამოკვეთილი ლიდერი არ არის...**

- მხოლოდ ორი კალათბურთელი თამაშობს საშუალოდ 30 წუთზე მეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰოლანდიის ჩემპიონი გუნდურ კალათბურთს უჩვენებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „ლეიდენი“ დაცვაშიც გამორჩეულია.

**- „გოტინგენი“-“ლეიდენის“ შეხვედრა თუ ნახეთ?**

- დიახ.

**- რის ხარჯზე მოიგეს ჰოლანდიელებმა?**

- გერმანელებს აშკარად აჯობეს. „გოტინგენმა“ შინ გაცილებით სუსტად ითამაშა ვიდრე თბილისში.

■ ■ ■

გუშინ, საღამოს 8 საათზე „არმიამ“ ვარჯიში რომ დაასრულა, მოედანზე ჰოლანდიური გუნდი გამოვიდა. მისმა მწვრთნელმა **ტონ ვან ჰელფტერენმა** თითოეული ჟურნალისტის კითხვას თავაზიანად უპასუხა.

- ორი ტურის შემდეგ ჯგუფში სამი ფავორიტი გამოიკვეთა - „ბეშიქთაში“, რომელსაც მომდევნო ეტაპზე გასვლის ყველაზე უკეთესი შანსი აქვს; მეორე ადგილისთვის, ალბათ, „ლეიდენი“ და „არმია“ იბრძოლებენ; თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორი წაგების მიუხედავად, ჯგუფიდან გასვლის შანსი „გოტინგენსაც“ აქვს.

**- „არმიასთან“ მატჩზე რას იტყვით?**

- პირველ შეხვედრას თბილისის დარბაზში უამრავი გულშემატკივარი დაესწრო. ეს ნებისმიერი მასპინძლისთვის ბევრს ნიშნავს და „არმიას“ უპირატესობასაც მისცემს, თუმცა საქართველოში ჩვენც მომზადებულები ჩამოვედით. ვნახეთ თქვენი გუნდის მონაწილეობით გამართული ორივე შეხვედრა და ვიცით, რას უნდა ველოდეთ მასპინძლებისგან.

**- წინა მატჩების მიხედვით რომელმა არმიელმა დატოვა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება?**

- შესანიშნავი მსროლელები გყავთ - რიჩარდსონი და დიასი. გეინსის შესახებ ახალს ვერაფერს ვიტყვი. თუ მაინც ერთი საუკეთესოს დასახელებას მთხოვთ, ვიტყოდი - ყველაზე სასარგებლო ტომასია.

**- „გოტინგენმა“ თბილისში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ, ჩვენთვის სიურპრიზი იყო „ლეიდენის“ გერმანიაში გამარჯვება.**

- წარმატების საიდუმლო მარტივია - „გოტინგენთან“ მატჩს მაქსიმალურად მობილიზებულები შევხვდით. პირველივე წუთებიდან მოვიპოვეთ უპირატესობა, რომელიც სტაბილური თამაშით ბოლომდე შევინარჩუნეთ. გერმანიაში დაცვაში ჩავარდნა არ გვქონია, ჰოლანდიის ჩემპიონატში კი კალათბურთელები ზოგჯერ ყურადღებას ადუნებენ...

**ლეიდენი**

| მოთამაშე | სმ | ამპლუა | დაბ.თარ. | მოქ. |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 5. ტომას ჯექსონი | 175 | უკანახაზელი | 1980 | აშშ |
| 21. სიმუს ბოქსლი | 201 | ფორვარდი | 1982 | აშშ |
| 15. ჯევონ შეპარდი | 196 | ფორვარდი | 1986 | კანადა |
| 4. არვინ სლაგთერი | 190 | უკანახაზელი | 1985 | ჰოლანდია |
| 7. გაბრიელ კენედი | 205 | ფორვარდი | 1981 | აშშ |
| 14. შონ კანინგემი | 1988 | უკანახაზელი | 1986 | აშშ/ჰოლანდია |
| 8. ტერენს რობინსონი | 186 | უკანახაზელი | 1990 | სურინამი/ჰოლანდია |
| 11. მოჰამედ კერაზი | 200 | ფორვარდი | 1990 | მაროკო/ჰოლანდია |
| 6. ვორსი დე იონგი | 194 | უკანახაზელი | 1988 | ჰოლანდია |
| 10. დეივ კონრადი | 198 | ფორვარდი | 1989 | ჰოლანდია |
| 13. პატრიკ ჰილიმანი | 206 | ცენტრი | 1982 | ჰოლანდია |
| 9. ტერი სასი | 197 | ფორვარდი | 1986 | ჰოლანდია |

*მწვრთნელი: ტონი ვან ჰელფტერენი*
*საშუალო სიმაღლე: 194.6 სმ. საშუალო ასაკი: 25.6 წელი.*

**I ტური**

| | |
| --- | --- |
| არმია-გოტინგენი | 82:76 |
| ლეიდენი-ბეშიქთაში | 58:86 |

**II ტური**

| | |
| --- | --- |
| ბეშიქთაში-არმია | 103:82 |
| გიოტინგენი-ლეიდენი | 71:80 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. ბეშიქთაში | 2 | 2 | 0 | 189/140 | 4 |
| 2. არმია | 2 | 1 | 1 | 164/179 | 3 |
| 3. ლეიდენი | 2 | 1 | 1 | 138/157 | 3 |
| 4. გოტინგენი | 2 | 0 | 2 | 147/162 | 2 |

**არმია VS ლეიდენი**

**გუნდური სტატისტიკა**

| | | |
| --- | --- | --- |
| 82.0 | ქულა | 69.0 |
| 50.5% | 2-ქულიანი | 42.7% |
| 30.8% | 3-ქულიანი | 25.8% |
| 68.6% | საჯარიმო | 72.7% |
| 16.5 | შეტ. მოხსნა | 11.0 |
| 24.5 | დაც. მოხსნა | 23.0 |
| 41.0 | მოხსნა | 34.0 |
| 17.0 | პასი | 14.0 |
| 14.0 | შეცდომა | 11.0 |
| 8.5 | ჩაჭრა | 5.0 |
| 4.5 | დაფარება | 2.0 |
| 15.5 | ფოლი | 20.5 |

**ინდივიდუალური სტატისტიკა**

| | | |
| --- | --- | --- |
| 19.0 ტომასი | ქულა | კენედი 16.0 |
| 11.5 შელბომი | მოხსნა | ბოქსლი 6.0 |
| 6.0 გეინსი/დიასი | პასი | სლაგთერი 5.5 |
| 2.0 ტომასი/დიასი | ჩაჭრა | სლაგთერი/კენედი/შეპარდი 1 |
| 3.0 შელბომი | დაფარება | სლაგთერი 1 |

ლეგიონერი

# სქიტას ეფექტი

**ნიკა ცქიტიშვილი** ირანში რომ გადავიდა, ბევრმა გაიკვირვა, თუმცა მაშინ დავწერეთ - დიდი ხანია კლუბში არ უთამაშია (ესპანური „ლაგუნ აროდან“ ამა წლის მარტში წამოვიდა) და სათამაშო პრაქტიკისთვის ირანში გადასვლა შესაძლოა სასარგებლოც იყოს-თქო.

ასეცაა, ნიკა ირანის საუკეთესო გუნდ „მაჰრამში“ თითქმის შეუცვლელად თამაშობს და სტატისტიკაც ეფექტური აქვს. ბოლო მატჩში მისმა კლუბმა „ჰაფარის“ უმასპინძლა და 80:67 დაამარცხა. საქართველოს ნაკრების ფორვარდი, ალბათ, შეუცვლელად ითამაშებდა, ხუთი ჯარიმა რომ არ მიეღო. ნიკამ 37:34 წუთში 16 ქულა, 14 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ცქიტომ 5-5 ორქულიან-სამქულიანი ისროლა,






რომელთაგან 3 ორიანი და 2 სამიანი ჩააგდო, რასაც 4-დან 4 საჯარიმო მიამატა.

„ჰაფარამდე“ „მაჰრამმა“ სტუმრად „პოუიას“ მოუგო - 93:74. რადგანაც ძლიერი მეტოქე არ ჰყავდა, მწვრთნელმა ცქიტიშვილი 20 წუთი ათამაშა, თუმცა ნიკა ორმაგ დუბლს „პოუიასთანაც“ მიუახლოვდა - 17 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა, თითო პასი-დაფარება.

ექვსი ტურის შემდეგ „მაჰრამი“ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს „ზობთან“ ერთად ინაწილებს. ორივე გუნდს 6-6 მოგება აქვს.

სამწვრთნელო ცვლილება

# სოხუმს სამულენასი გაუძღვება

საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ პრესრელიზში ვკითხულობთ: „გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელად ცნობილი ლიტველი სპეციალისტი რიმვიდას სამულენასი დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება კლუბის მფლობელმა და პრეზიდენტმა მინდია გულუამ მიიღო სასწავლო-სავარჯიშო პროცესის გაუმჯობესებისა და კლუბის სათამაშო ხარისხის გაზრდის მიზნით. სამულენასი თბილისში 21 ნოემბერს ჩამოვიდა.

რიმვიდას სამულენასის პირველი ასისტენტი გახდა ვაჟა კვარაცხელია, რომელიც 1995-2010 წლებში გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო და 1 ნოემბრიდან დროებით ასრულებდა გუნდის თავკაცის მოვალეობას. სამულენასს ასევე დაეხმარება 90-იანი წლების მიწურულს სოხუმის „კოლხას“ ყოფილი კალათბურთელი და კაპიტანი გიორგი ბენდიანიშვილი.

რიმვიდას სამულენასი დაიბადა 1964 წლის 10 მაისს. თამაშობდა კაუნასის „ჟალგირისის“ სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებში არვიდას საბონისთან, შარუნას მარჩულიონისთან და რამუნას ბუტაუტასთან ერთად.

სოხუმელთა ახალი მწვრთნელი 1983-1985 წლებში რიგის სკა-ს ღირსებას იცავდა და სსრკ-ს შეიარაღებული ძალების ჩემპიონატიც მოიგო. იგი 1985-1989 წლებში კაუნასის „ბანგაში“ გამოდიოდა, მომდევნო ორი წელი კი ამავე ქალაქის „როკაიში“ გაატარა.

1990-1996 წლების სეზონში პოლონეთის „გდანსკისა“ და „სტალის“ მაისურებით თამაშობდა, ხოლო 1996 წელს ლიტვაში დაბრუნდა და „რიტასში“ ჩაირიცხა. ამას მოჰყვა მშობლიური „ალგა“ და „გელუპი“, რომელთან ერთადაც 1998-1999 წლებში ლიტვის ჩემპიონობა მოიპოვა.

1999 წლიდან სამულენასი სამწვრთნელო საქმიანობას შეუდგა. 2004-მდე არვიდას საბონისის სახელობის სკოლაში მუშაობდა, 2003 წლიდან ლიტვის 20-წლამდელთა ნაკრების მეორე მწვრთნელი იყო, ხოლო 2008-2010-ში ლიტვის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი. იგი 2011 წელს ლიტვის სტუდენტურ ნაკრებს ასისტენტის რანგში მსოფლიო უნივერსიადაზე ჩინეთში ახლდა.

რიმვიდასი პარალელურად საკლუბო საქმიანობასაც ეწეოდა: წვრთნიდა კაუნასის „ტრიობეტსა“ და „აიჩიაის“. გასული სეზონი კი „კაუნასში“ გაატარა.“

„სოხუმის“ ახალ დამრიგებელს დებიუტშივე სერიოზული გამოცდა ელის - შაბათს მისი გუნდი „ქუთაისს“ უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროთასები

# ორი ლიდერია, ორიც პოტენციური ლიდერი

ევროთასების გათამაშების მეორე ტურში, ყველაზე პრესტიჟულ „ჰეინეკენის თასზე" მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდებზე, კვლავ ბევრად უკეთ ითამაშეს „ემლინ ჩელენჯ კაპისთვის" მებრძოლმა „ქართულმა გუნდებმა". ამ ტურნირზე ჩვენებურთა ოთხი გუნდიდან ორმა ორივე ტურში გაიმარჯვა და თავიანთ ჯგუფებში ლიდერები არიან.

„ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში, A ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" ზედიზედ მეორედ დამარცხდა. კასტრელებმა ამჯერად შინ წააგეს მატჩი ირლანდიურ „მანსტერთან" - 24:27. არადა, ჩვენებურის გუნდმა თამაში ძალიან კარგად დაიწყო და მე-10 წუთისთვის მშრალი ანგარიშით, 11:0-ს იგებდა.

ირლანდიურმა კლუბმა მდგომარეობა მატჩის ბოლო 20-წუთიან მონაკვეთში გამოასწორა. 70-ე წუთზე კი ანგარიშიც გაათანაბრა - 24:24. „მანსტერს" გამარჯვება, ისევე როგორც პირველი ტურის შეხვედრაში, ამჯერადაც მგეზავმა **რონან ოგარას** დიდოსტატურმა არეკნმა მოუტანა მატჩის ბოლო წუთზე.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში მეორე გამარჯვება მოიპოვა უესლურმა „ჰლანეჰლიმ", რომელმაც სტუმრად სძლია ინგლისურ „ნორსჰემპთონს" - 23"28.

### A ჯგუფი

ნორსჰემპთპონი-ჰლანეჰლი 23:28, კასტრი-მანსტერი 24:27

### სატურნირო მდგომარეობა

1. ჰლანეჰლი - 9 ქულა, 2. მანსტერი - 8, 3. ნორსჰემპთონი - 2, 4. კასტრი - 1.

### III ტური

კასტრი-ნორსჰემპთონი, ჰლანეჰლი-მანსტერი

სტუმრად ინგლისურ „ბასსთან" დასანანი მარცხი განიცადა C ჯგუფში მოასპარეზე **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ" - 13:16. ჩვენებურთა გუნდმა პირველი ტაიმის საწყისი 25 წუთი სუსტად ითამაშა და მეტოქეს ათი ქულით დაწინაურების საშუალება მისცა, რასაც მასპინძლებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე კიდევ ერთი საჯარიმო მიუმატეს - 16:3.

მოპელიელები ამის შემდეგ ბევრად უფრო ორგანიზებულად, მძლვრად ათამაშდნენ. გუნდს კვლავ ლიდერობდა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე, რომელიც ამჯერად რვა ნომრად გაისარჯა.

ძირითად შემადგენლობაში 48 წუთი ითამაშა ახალგაზრდა შერკინების ბურჯმა მიხეილ ნარიაშვილმა, რომელიც სულაც არ იყო „მონპელიეს" სუსტი რგოლი. 46-ე წუთზე „მონპელიეს" მიერ ორგანიზებულ სალელოვე შეტევაში, გორგოძემ და ნარიაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

მე-60 წუთიდან, როცა უკვე ანგარიში 16:13 იყო ინგლისური კლუბის სასარგებლოდ, მოედანზე კიდევ ერთი ქართველი შერკინების ბურჯი გიორგი ჟღენტი გამოჩნდა, რომელმაც მონპელიელთა შერკინება საგრძნობლად გააძლიერა. სტუმრები ბევრს ეცადნენ „ბასის" წინააღმდეგობის დაძლევას, მაგრამ მასპინძლები დაცვაში უშეცდომოდ გაისარჯნენ და ქართველთა გუნდი, მხოლოდ ერთ პრემიალურ ქულას დააჯერეს. შველიძე განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში, ირლანდიურმა „ლენსტერმა" შინ დაამარცხა შოტლანდიური გლაზგო - 38:13 და გალიდერდა.

### C ჯგუფი

ლენსტერი-გლაზგო 38:13, ბასი-მონპელიე 16:13

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლენსტერი - 7 ქულა, 2. ბასი - 5, 3. გლაზგო - 4, 4. მონპელიე - 3.

### III ტური

გლაზგო-მონპელიე, ბასი-ლენსტერი

D ჯგუფში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" შინ გაანადგურა იტალიური „აირონი" - 54:3. „ვულკანებმა" მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს და იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს. ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო. ამავე ჯგუფში ლიდერმა ინგლისურმა „ლესტერმა" შინ მოუგო ირლანდიურ „ალსტერს" - 20:9.

### D ჯგუფი

კლერმონი-აირონი 54:3, ლესტერი-ალსტერი 20:9

### სატურნირო მდგომარეობა.

1. ლესტერი - 8 ქულა, 2. კლერმონი - 6, 3. ალსტერი - 4, 4. აირონი - 0.

### III ტური

ალსტერი-აირონი, კლერმონი-ლესტერი.

### B ჯგუფი

კარდიფი-ლონდონ აირიში 24:18, ედინბურგი-მეტრო რასინგი 48:47

### სატურნირო მდგომარეობა

1. ედინბურგი - 9 ქულა, 2. კარდიფი - 8, 3. მეტრო რასინგი - 3, 4. ლონდონ აირიში - 2.

### III ტური

კარდიფი-ედინბურგი, მეტრო რასინგი-ლონდონ აირიში

### E ჯგუფი

ბიარიცი-სარასენზი 15:10, ბენეტონი-ოსფრიზი 26:26

### სატურნირო მდგომარეობა

1. სარასენზი - 6 ქულა, 2. ოსფრიზი - 6, 3. ბიარიცი - 5, 4. ბენეტონი - 2.

### III ტური

ბენეტონი-ბიარიცი, სარასენზი-ოსფრიზი.

### F ჯგუფი

გლოსტერი-ჰარლიქვინზი 9:28, ქონოთი-ტულუზი 10:36

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 8 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 8, 3. გლოსტერი - 1, 4. ქონოთი - 1.

### III ტური

ტულუზი-ჰარლიქვინზი, გლოსტერი-ქონოთი.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში, როგორც უკვე ვთქვით, ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ლიდერობს. B ჯგუფში **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავას** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" სტუმრად მოუგო გურამ კავთიძისა და ტარიელ რატიანიძის „ლიონს" - 26:19. ქართველთაგან მხოლოდ ქუბრიაშვილმა ითამაშა, რომელიც მოედანზე 41-ე წუთიდან გამოჩნდა.

ამავე ჯგუფში, ინგლისურმა „ნიუკასლმა" სტუმრად მოუგო იტალიურ „პადოვას" - 34:3 და „ტულონთან" ერთად ცხრა-ცხრა ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

### B ჯგუფი

პადოვა-ნიუკასლი 3:34, ლიონი-ტულონი 19:26

### სატურნირო მდგომარეობა

1. ნიუკასლი - 9 ქულა, 2. ტულონი - 9, 3. ლიონი - 1, 4. პადოვა - 0.

### III ტური

ნიუკასლი-ტულონი, ლიონი-პადოვა

E ჯგუფის ლიდერი **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივია", რომელმაც მეორე ტურში სტუმრად დაამარცხა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი" - 29:8. ხინჩაგიშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და არბიტრმა 42-ე წუთზე გაასინბინა, 54- წუთზე კი შეცვალეს, ნატრიაშვილი სათადარიგოთა შორის გახლდათ და თამაშმა არ მოუწია, კაკოვინი განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში, ინგლისურმა „სეილ შარქსმა" შინ გაანადგურა ესპანური „ლა ვილა" - 59:6.

### E ჯგუფი

სეილ შარქსი-ლა ვილა 59:6, აჟენი-ბრივი 8:29

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბრივი - 8 ქულა, 2. სეილ შარქსი - 5, 3. აჟენი - 5, 4. ლა ვილა – 0.

### III ტური

აჟენი-სეილ შარქსი, ლა ვილა-ბრივი.

### A ჯგუფი

სტად ფრანსე-ბუქარესტი 49:3, კროკიატი-წორსტერი 3:24

### სატურნირო მდგომარეობა.

1. სტად ფრანსე - 9 ქულა. 2. ვორსტერი - 5, 3. ბუქარესტი - 5, 4. კრიკიატი - 0.

### III ტური

კროკიატი-სტად ფრანსე, ბუქარესტი-ვორსტერი.

### C ჯგუფი

ბაიონი-ბორდო 20:3, ვოსფსი-როვიგო 38:7

### სატურნირო მდგომარეობა

1. ვოსფსი - 10 ქულა, 2. ბაიონი - 9, 3. ბორდო - 0, 4. როვიგო - 0.

### III ტური

როვიგო-ბორდო, ბაიონი-ვოსფსი.

### D ჯგუფი

ნიუპორტი-პერპინიანი 23:13, ექსეტერი-პრატო 68:0

### სატურნირო მდგომარეობა

1. ნიუპორტი - 9 ქულა, 2. ეხსეტერი - 6, 3. პერპინიანი - 4, 4. პრატო - 0.

### III ტური

პერპინიანი-პრატო, ექსეტერი-ნიუპორტი.




მარცხნიდან პირველი გიორგი ჟღენტი, მესამე მიხეილ ნარიაშვილი

ტესტები



# ვოლაბების ახალი სახე

ავსტრალიის ნაკრები 26 ნოემბერს ლონდონში, „თვიქნემზე" „ბარბაროსებს" დაუპირისპირდება. ერთი კვირის თავზე კი, 3 დეკემბერს კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრებს ეთამაშება.

„ვოლაბების" თავკაცმა **რობი დინსმა** ნაკრების 26-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. მათ შორის, ვისაც დინსი ევროპაში იახლებს, სამი ახალბედაა. განსკუთრებით უნდა გამოავარჩიოთ „რედსის" ახალგაზრდა შუამარბი **ბენ ტაპუაი.** დებიუტანტები არიან ასევე **ბენ ლუკასი** და **დეივ დენისი.**

მათგან, ვინც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ითამაშა, ვოლაბებს ვერ დაეხმარებიან: **ქართლი ბეილი, დრიუ მიტჩელი, პეტ მაკკები, ქუადე კუპერი, ვიკლიფი პალუ, როკი ელსომი, სეკოპე კეპუ, დენ ვიკერმანი** და **ლუკ ბარჯესი.**

*„ეს ევროპული ტურნე შესანიშნავი შესაძლებლობაა სამი ახალწვეულისთვის, თავიანთი პოტენციალი წარმოაჩინონ და კარიერაში ნაბიჯი წინ გადადგან. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ტურნე შედარებით მოკლევადიანია, მოთამაშეებისადმი წაყენებული მოთხოვნები მაინ დიდი იქნება",* - თქვა „ვოლაბების" მთავარმა მწვრთნელმა რობი დინსმა, რომელმაც მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ ავსტრალიის რაგბის კავშირთან ხელშეკრულება ორი წლით გაახანგრძლივა.

### ავსტრალიის ნაკრები

ბენ ალექსანდერი, ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, პეკაჰუ ქოუანი, დეივ დენისი, ენტონი ფაინგაა, ვილი გენია, სკოტ ჰიგინბოთამი, მეთ ჰოჯსონი, რობ ჰორნი, ჯეიმზ ჰორვილი, დიგბი იოანი, ბენ ლუკასი, სალესი მააფუ, ბენ მაკკალმენი, სტივენ მური, ჯეიმზ ოკონორი, ნიკ ფიფსი, დევიდ პოკოქი, ტატაფუ პოლოტა ნაუ, რადეკი სამო, ნათან შარფი, რობ საიმონსი, ჯეიმზ სლიპერი, ბენ ტაპუაი, ლაკი ტერნერი.

# უელსი ინწყებს და იმუქრება

უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა **უორენ გეთლენდმა** გუნდის გაფართოებული 28-კაციანი სია დაასახელა. უელსელები 3 დეკემბერს „მილენიუმზე" ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან, რომელთანაც მსოფლიოს თასის გათამაშებაში მესამე ადგილისთვის მატჩში დამარცხდნენ.

კარდიფში გასამართავი ეს მატჩი ბოლო იქნება ეროვნულ ნაკრებში ლეგენდარული გარემარბ **შეინ ვილიამსისთვის.** ასევე ბოლო შეიძლება გამხდარიყო ეს შეხვედრა 33 წლის **სტივენ ჯოუნზისთვის,** თუმცა ის გეთლენდის რაზმში ვერ მოხვდა.

**მეთიუ რისი,** რომელიც ახალ ზელანდიაში ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა, ნაკრებში დაბრუნდა. მასთან ერთად ეროვნული გუნდის კვართის მორგების შანსი ეძლევათ შერკინების ბურჯ **სკოტ ენდრიუს** და ფლანკერ **ჯასტინ ტიპურიჩს.**

გეთლენდმა ნაკრებში სამი დებიუტანტი მიიწვია. ესენი არიან: ფლანკერი **ლუის ევანსი,** გარემარბი **ალექს კატბერტი** და ფულბეკი **ლიამ ვილიამსი.**

*„მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ ვცდილობთ მემკვიდრეობითობა შევინარჩუნოთ. კაპიტანი ისევ სემ ვერბარტონი იქნება. გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს მეთიუ რისის დაბრუნება, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ შერკინების კვაჭის პოზიციაზე დიდი კონკურენციაა. მის გარდა ამ პოზიციაზე თამაშის პრეტენზია ჰიუ ბენეტს და ლოიდ ბარნსს აქვთ. ქომაგებს შესაძლებლობა ეძლევათ, გვანახონ, როგორ ამაყობენ ისინი თავიანთი სათაყვანებელი გუნდით, რომელმაც შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს თასზე. გულდასაწყვეტი ისაა, რომ შეინ ვილიამსი გვტოვებს. ისლა დაგვრჩენია, დავსხდეთ და მისი ბოლო, დიდოსტატური თამაში ვნახოთ.*

*ამასთან ერთად, ავსტრალიის ნაკრებთან ანგარიში გვაქვს გასასწორებელი. მესამე ადგილისთვის მატჩში მარცხისთვის რევანში აუცილებლად უნდა ავილოთ. ამ გამარჯვებით კი შეტყობინება უნდა გავუგზავნოთ ევროპის ექვის ერის გათამაშებაში მოასპარეზე გუნდებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ახალ ზელანდიაში მიღწეული წარმატება წამიერი გაელვება არ იყო. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელიც თავის სიტყვას ყოველთვის იტყვის, მათ შორის 2015 წლის მსოფლიოს თასზეც",* - თქვა უორენ გეთლენდმა.

### უელსის ნაკრები

შერკინება: სკოტ ენდრიუ, ჰიუ ბენეტი, რაიან ბევინგტონი, ლოიდ ბარნსი, ლუკ ჩარტერისი. ბრედლი დევისი, იან ევანსი, ლუის ევანსი, ტობი ფალეტაუ, გეთინ ჯენკინსი, ადამ ჯოუნზი, რაიან ჯოუნზი, დენი ლაიდიატი, მეთიუ რისი, ჯასტინ ტიპურიჩი, სემ ვერბარტონი,

უკანა ხაზი: დენ ბიგარი, ალექს კათბერტი, ჯონათან დევისი, ლეიგ ჰალპენი, ტევის კნოლი, ჯორჯ ნორსი, რის პრისტლენდი, ჯიმი რობერტსი, ლიამ ვილიამსი, ლოიდ ვილიამსი, სკოტ ვილიამსი, შეინ ვილიამსი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


პატრიკ მარლო

# გაქირვებული იხვები

დღეს დილით, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ოთხი შეხვედრა გაიმართა. აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი „ტორონტო“ „კაროლინას“ სტუმრობდა და გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა, რადგან მის მეტოქეს ბოლო დროს ძალიან უჭირს - „კაროლინამ“ წინა ორი მატჩი ისე წააგო, რომ მეტოქეთა კარში ერთი შაიბაც ვერ გაიტანა.

მაგრამ მასპინძლებმა ამჯერად აღმავლობით ჩაატარეს მატჩი. მათ „ტორონტოს“ კარის მიმართულებით 41 ზუსტი დარტყმა შეასრულეს. მართალია, აქედან მხოლოდ სამი გოლი გაიტანეს, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

“ტორონტოს” გულშემატკივრები მხოლოდ იმით თუ გაიხარებენ, რომ **ფილ კესელმა** დუბლი შეასრულა და 16 შაიბითა და 29 ქულით ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი და ბომბარდირი გახლავთ.

გრძელდება “ანაჰაიმის” კრიზისი. ამჯერად “იხვებმა” საკუთარ მოედანზე მიიღეს “დეტროიტი” და 2:4 დამარცხდნენ. ეს “დაქსის” მეშვიდე წაგება იყო ბოლო ცხრა მატჩში. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობას მოუწევს **რენდი კარლაილის** გათავისუფლებაზე ფიქრი, რომელთანაც სულ ახლახან მოაწერა სამწლიან კონტრაქტს ხელი.

“ვანკუვერმა” მხოლოდ ოვერტაიმში გატეხა “ოტავას” წინააღმდეგობა და 2:1 გაიმარჯვა. გადამწყვეტი გოლი **კრის ჰიგინსის** ანგარიშზეა. ამ ორი ქულის მიუხედავად, “კენაქსი” პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფება, “სენატორები” კი რვა საუკეთესოთა შორის დაბრუნდნენ.

გუშინდელი დღის პირველი ვარსკვლავი გახდა „სან ხოსეს“ ფორვარდი **პარტიკ მარლო**, რომლის ჰეთ-თრიკმა „ზვიგენებს“ „კოლორადოს“ დამარცხების საშუალება მისცა. პირველ პერიოდში **უილსონი** და **დიუშენი** იოლად გაუსწორდნენ „სან ხოსეს“ დაცვას და გახსნეს ანგარიში, მაგრამ მეტის გაკეთება „კოლორადომ“ ვერ შეძლო.

**კაროლინა–ტორონტო 3:2**

**1:0, 1:0, 1:2**

**გოლები**: 1:0 ჰარისონი-2 (სკინერი-12, ე. სტაალი-5), 2:0 ი. იოკინენი-4 (ფოულკი-1, პონიკაროვსკი-2), 2:1 კესელი-15 (ლუპული-15, ფანოფი-13), 3:1 სკინერი-8 (ე. სტაალი-6, ალენი-4), 3:2 კესელი-16 (ლაილსი-9, ტიმ კონოლი-5).

**კოლორადო–სან ხოსე 1:4**

**1:1, 0:2, 0:1**

**გოლები**: 1:0 დუშენი-9 (რ. უილსონი-11, ლანდესკოგი-5), 1:1 მარლო-7 (ვლასიჩი-7, ჯ. ტორნტონი-13), 1:2მარლო-8 (ვლასიჩი-8, ქლოუ-9), 1:3 პაველსკი-11 (ჯ. ტორნტონი-14, კუტური-7), მარლო-9 (ვლასიჩი-9, ჯ. ტორნტონი-15)

**ანაჰაიმი–დეტროიტი 2:4**

**0:1, 2:2, 0:1**

**გოლები**: 0:1 ზეტერბერგი-4 (ჰუდლერი-6, ბ. სმიტი-2), 0:2 ფრანცენი-10 (დაციუკი-10), 0:3 ბ. სტიუარტი-2 (ფრანცენი-10, დაციუკი-11), 1:3 ს. კოივუ-3 (ფაულერი-7, კოლიანო-3), 2:3 სელიანე-7 (პერი-7, გეტცლაფი-8), 2:4 ბ. სტიუარტი-3 (კრონვალი-4, ზეტერბერგი-5).

**ვანკუვერი–ოტავა 2:1 (ო)**

**0:0, 1:0, 0:1, 1:0**

**გოლები**: 1:0 ჰ. სედინი-7 (დ. სედინი-18, კესლერი-6), 1:1 გრინინგი-6 (სპეცა-14, გონჩარი-12), 2:1 ჰიგინსი-7 (ჰამჰუისი-8, სალო-7).


კროსბი ვარჯიშზე

# როგორც იქნა, კროსბი ბრუნდება!

კანადური ჰოკეის მთავარ ვარსკვლავს, “პიტსბურგ პინგვინზის” კაპიტანს **სიდნი კროსბის** ელირსა ყინულზე დაბრუნება. “პინგვინების” ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კროსბი მორიგ კალენდარულ შეხვედრაში “ნიუ იორკ აილენდერსის” წინააღმდეგ ითამაშებს (ეს მატჩი გუშინ გვიან უნდა გამართულიყო). შეგახსენებთ, რომ სიდნი ბოლოს ყინულზე 2011 წლის 5 იანვარს გავიდა, რის შემდეგაც ტვინის შერყევას მკურნალობდა.

წლის დასაწყისში კანადელმა ვარსკვლავმა ზედიზედ ორ მატჩში მძიმე შეჯახება გადაიტანა - პირველ იანვარს “ვაშინგტონისა” და 5 იანვარს “ტამპა ბეის” წინააღმდეგ. ექიმებმა მას ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუდგინეს და მას შემდეგ კროსბი აღდგენით კურსს გადიოდა.

ზაფხულში კროსბიმ განაახლა ვარჯიშები, მაგრამ 2011-12 წლების სეზონის სტარტის გამოტოვებამ მოუწია. გასულ უქმეებზე “პიტსბურგის” ექიმმა **ჩარლზ ბურკმა** და კროსბის მკურნალმა ექიმმა **მაიკლ კოლინზმა** ჰოკეისტს მოედანზე გასვლის ნება დართეს.

“პინგვინზის” მთავარმა მწვრთნელმა **დენ ბილსმამ** განაცხადა, რომ კროსბი მოუთმენლად ელის ყინულზე დაბრუნებას და ძალიან ნერვიულობს. ბილსმას თქმით, სიდის დაბრუნება სერიოზული გამოცდა იქნება არა მხოლოდ ჰოკეისტისთვის, არამედ მისი თანაგუნდელებისთვისაც.

ჩოგბურთი. ATP-ის ტური

# ფავორიტები მოგებით იწყებენ

ლონდონში სტარტი აიღო 2011 წლის სეზონის შემაჯამებელმა ტურნირმა. წლის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ორ ჯგუფად არის დაყოფილი და პირველი ტურის მატჩები ჩაატარეს B ჯგუფის წევრებმა.


რაფაელ ნადალი

ტურნირი **როჯერ ფედერერმა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** გახსნეს. შვეიცარიელმა შეხვედრა ძალიან დამაჯერებლად დაიწყო და პირველ სეტში იოლ გამარჯვებას მიაღწია. ფედერერმა პარტიაში ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო და ორივე გამოიყენა, თავად კი ფრანგს მიღებაზე შანსი არ დაუტოვა. 21 წუთში როჯერმა 6:2 გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ამ სეტში მეტოქეებს არც ერთი ეისი არ ჩაუწოდებიათ.

მეორე სეტში თამაშის სურათი კარდინალურად შეიცვალა. ამჯერად ცონგამ შეძლო ორი ბრეიკის გაკეთება - პირველად მან მესამე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება და შემდეგ უპირატესობა მეშვიდე გეიმში განავრცო, რითაც ეს სეტი იმავე ანგარიშით მოიგო, როგორითაც ფედერერმა პირველი პარტია.

დაინიშნა გადამწყვეტი მესამე სეტი, სადაც ჩოგბურთელები 5:4-მდე დამაჯერებლად იღებდნენ საკუთარ მოწოდებებს, მაგრამ მეათე გეიმში ფედერერმა მესამედ მატჩში ბრეიკის გაკეთება შეძლო და გაიმარჯვა - 6:4.

შეხვედრა საათსა და 28 წუთს გაგრძელდა და როჯერმა გაზარდა ცონგასთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში - 7:3.

*„ვფიქრობ, პირველი სეტი ძალიან კარგად ჩავატარე. მეორე პარტიაც არ იყო ცუდი. მან უკეთ თამაში დაიწყო და ძლიერადაც აწვდიდა. როგორც კი მეორე პარტიაში უპირატესობა მიიღო, ჟომ თავისუფლება იგრძნო და ძალიან სახიფათო გახდა. რაც შემეხება მე, უბრალოდ ვცდილობდი სიმშვიდე შემენარჩუნებინა, საკუთარ შანსს დაველოდებოდი და მაშინ შემეტია, როცა მას მოწოდება არ წაუვიდოდა. მის წინააღმდეგ უკანა ხაზზე თამაშისას რთულია რიტმის პოვნა, რადგან ეხერხება მოულოდნელად თამაშის გართულება“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ როჯერმა.

■ ■ ■

დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა ამ ჯგუფის მეორე შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ **რაფაელ ნადალი** და **მერდი ფიში**. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მესამე სეტში ჩოგბურთელებს ტაი-ბრეიკის თამაშმა მოუწიათ.

პირველ პარტიაში ესპანელი დომინირებდა მოედანზე. ნადალმა სამიდან ორი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად კი ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაანება მეტოქეს. 36 წუთში რაფამ 6:2 გაიმარჯვა და სეტებს შორის ანგარიში წაიყვანა.

მეორე სეტი ამერიკელისთვის კარგად დაიწყო - მან ნაადრევი ბრეიკი გააკეთა და ამის შემდეგ ნადალს ბრეიკის შანსი არ მისცა. 5:2-ზე ფიშმა რაფას მოწოდებაზე ოთხი სეტბოლი ვერ გამოიყენა, თუმცა საკუთარ გეიმში სეტზე ჩაწოდება მოახერხა და პარტია 6:3 მოიგო.

გადამწყვეტი სეტი ნადალის ბრეიკით დაიწყო და ესპანელი 2:0 დაწინაურდა, მაგრამ ფიშმა მალე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება. ამის შემდეგ მეტოქეებმა კიდევ თითოჯერ გაცვალეს ბრეიკები. მეათე გეიმში ნადალს თამაშის დასრულების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ფიშის მოწოდებაზე ორი მატჩბოლი გაანიავა. საბოლოოდ, ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც ნადალმა თავიდანვე მინიბრეიკი აიღო და შემდეგ აღარ გასჭირვებია მატჩის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა. საჩოგბურთო ლატარია მან 7:3 მოიგო.

თამაში თითქმის სამ საათს გაგრძელდა და ამ მოგების წყალობით რაფამ ფიშთან პირად შეხვედრებში გაზარდა უპირატესობა. ახლა მათ შორის ანგარიში 8:1-ია ესპანეთის სასარგებლოდ.

სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი

# ნორვეგიის ორი დუბლი

ნორვეგიელთა ტრიუმფით გაგრძელდა მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი თხილამურებით რბოლაში, რომელსაც ნორვეგიის კურორტი შუშენი მასპინძლობდა. ეტაპის მეორე დღეს ესტაფეტები გაიმართა და ქალთა შეჯიბრებაში გასარკვევი მხოლოდ ის იყო, რამდენი ადგილობრივი ნაკრები მოხვდებოდა პოდიუმზე.

ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ნორვეგიელთა პირველი ოთხეული **ვიბეკე სკოფტერუდის, ტერეზა იოჰაუგის, კრისტინ სტეირასა** და **მარიტ ბიოგენის** შემადგენლობით, უკონკურენციოდ იქნებოდა ტრასაზე. საბოლოოდ, ასეც მოხდა. შარშან ამ გუნდმა ესტაფეტაში მსოფლიოს თასის მცირე გლობუსი მოიპოვა და სავარაუდოდ, სიტუაცია ამ სეზონშიც უცვლელი იქნება.

თუმცა გამარჯვებულებმა გარკვეული კონკურენცია მაინც იგრძნეს ნორვეგიის მეორე ნაკრებისგან, რომელშიც შედიოდნენ მოთხილამურეები – **ასტრიდ იაკობსენი** და **ინგვილდ ოსტბერგი** და ბაიტლონისტები - **ტორა ბერგერი** და **მარტე კრისტოფერნსენი**. ამ კვარტეტმა მხოლოდ 26 წამი წააგო გამარჯვებულთან.

პოდიუმის მესამე საფეხური მოიპოვა ფინეთის ნაკრებმა, რომელსაც დიდი ხანი ებრძოდა შვედების ოთხეული, მაგრამ ბოლოს მაინც დანებებამ მოუწია.

■ ■ ■

იგივე სიტუაცია ვიხილეთ მამაკაცების ესტაფეტაში – აქაც ნორვეგიული დუბლი შედგა: პირველი ორი ადგილი მასპინძელთა პირველმა და მესამე ნაკრებებმა მოიპოვეს. თუმცა ქალებისგან განსხვავებით, აქ ბრძოლა უფრო დაძაბული იყო და გამარჯვებული ბოლო მეტრებზე გაირკვა.

ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ საფინიშო სპურტში ერთბაშად რვა(!) გუნდმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა დიდი ალბათობით შეიძლებოდა იმის თქმა, თუ ვინ მოიგებდა ამ დუელს. საქმე ისაა, რომ ნორვეგიის პირველ ნაკრებში ბოლო ეტაპზე **პეტერ ნორტუგი** მირბოდა, რომელიც სპრინტში ძალიან ძლიერია. სწორედ მან მოუტანა სეზონში პირველი გამარჯვება თავის გუნდს. სხვაობა მეორე ადგილზე გასულ ნორვეგიის მესამე გუნდთან 0,8 წამი იყო. მესამე ადგილზე შვედების ოთხეული გავიდა. რაც შეეხება მასპინძლების მეორე ნაკრებს, რომლის რიგებში ვიხილეთ ბიატლონისტები – **ტერიე ბოე** და **ემილ ჰეგლე სვენდსენი**, ის მეშვიდე მივიდა ფინიშთან.

სრული კრახი განიცადა გერმანიის ნაკრებმა. **იოჰენ ბიოლეს** შეგირდები შოშენში ორი გუნდით იყვნენ წარმოდგენილნი და ორივემ ბოლო ორი ადგილი დაიკავა საბოლოო ოქმში.

**ესტაფეტა. 4x5 კმ**

**ქალები**

1. **ნორვეგია I** (ვიბეკე სკოფტერუდი, ტერეზა იოჰაუგი, კრისტინ სტეირა, მარიტ ბიორგენი) - 51:50.1; 2. **ნორვეგია II** (ასტრიდ იაკობსენი, ინგვილდ ოსტბერგი, ტორა ბერგერი, მარტე კრისტოფერნსენი) - +26.0; 3. **ფინეთი** (კრისტა ლაჰტენმიაკი, აინო-კაისა საარინენი, რიტა-ლისა როპონენი, რიკა სარასოია) - +39.1; 4. **შვედეთი** - +51.6; 5. **საფრანგეთი** - +1:27.6; 6. **ნორვეგია III** - +1:29.2; 7. **ნორვეგია IV** - +1:40.1; 8. **გერმანია I** - +1:54.6; 9. **აშშ** - +1:54.7; 10. **რუსეთი I** - +1:54.8...

**ესტაფეტა. 4x10 კმ**

**კაცები**

1. **ნორვეგია I** (ელდარ რიონინგი, ფინ გროკი, ლარს ბერგერი, პეტერ ნორტუგი) - 1:35:24.8; 2. **ნორვეგია III** (იონ კრისტიან დალი, რონი ანსენსი, მორტენ ეილიფსენი, სიურ როტე) - +0.8; 3. **შვედეთი** (მარკუს ჰელნერი, დანიელ რიკარდსონი, იოჰან ოლსონი, კალე ჰალფვარსონი) - +1.1; 4. **საფრანგეთი** - +1.4; 5. **რუსეთი I** - +1.5; 6. **ფინეთი** - +4.1; 7. **ნორვეგია II** - +4.2; 8. **შვეიცარია** - +5.9; 9. **იტალია** - +29.7; 10. **რუსეთი II** - +45.5...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნორვეგიის პირველი ოქრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# უცნობი ნაცნობი სებასტიან ფეტელი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის **სებასტიან ფეტელის** კარიერის დეტალებს კარგად ვიცნობთ, მაგრამ „რედ ბულის" გერმანელი პილოტის ცხოვრებაში ბევრი ისეთი შტრიხია, რომლის შესახებ აქამდე წარმოდგენა არ გვქონდა.

## ავტომობილები

არასარბოლო ცხოვრებაში სებასტიანს ჰყავს 1959 წელს გამოშვებული "ფიატი 500", ავტობუსი "ფოლკსვაგენი T5", "მერსედესი SL65", "ინფინიტი FX". მის ფარეხში ასევე არის საკულტო მოტოციკლი Harley Davidson. მაგრამ ეს დიდი არაფერია ორი მთავარი ექსპონატის ფონზე. შარშანდელი ტრიუმფისთვის მან „რედ ბულისგან" საჩუქრად მიიღო საჩემპიონო ბოლიდი RB6. წლევანდელი გამარჯვებისთვის RB7-ს გადასცემენ, ოღონდ „რენოს" ძრავის გარეშე, რომლის ღირებულება 200 ათასი ევროა. მაგრამ ძრავის გარეშეც ამ ბოლიდების ფასი მილიონ დოლარზე მეტია, რადგან მთელ მსოფლიოში ასეთი მანქანა მხოლოდ ხუთია.

## დასაწყისი

კარიერის დასაწყისში ფეტელის ოჯახს (მამა **ნორბერტი** - დურგალი, დედა **ჰაიკე** - დიასახლისი) ფული არ ჰქონდა რბოლებში ვარჯიშებისთვის. რაღაც პერიოდი ბიჭი არა სასტუმროებში, არამედ ტრასის სანყობებში ათევდა ღამეს. სებას კარიერის განვითარებისთვის უფროს ფეტელს ძველი სპორტული ავტომობილის გაყიდვამ მოუნია, რომლითაც ის სამოყვარულო რბოლებში იღებდა მონაწილეობას. ბიძა საფოსტო მტრედებს შეელია. სებასტიანისთვის განკუთვნილი პირველი კარტი ოჯახს 7 ათასი მარკა დაუჯდა, მეორე სეზონი ბავშვთა სარბოლო სერიაში - 30 ათასი. ნორბერტმა დაითვალა: იმისთვის, რომ ვაჟი დიდ რბოლებში გაეყვანათ, ფეტელებს დაახლოებით 2 მილიონი ევროს დახარჯვამ მოუნიათ. სებასტიანის პირველი შემოსავალი 5000 მარკა (2500 ევრო) იყო - სწორედ ამდენი გამოყო 1997 წელს „რედ ბულმა" იმისთვის, რომ 10 წლის მომავალ ჩემპიონს ძველი კარტით ერბოლა. ახლა ამ თანხას მიმდინარე კონტრაქტის თანახმად ფეტელი 90 წუთში გამოიმუშავებს.

## გენიოსი

ასე უწოდებენ სარბოლო სამყაროში **ედრიან ნიუის** - „რედ ბულში" აეროდინამიკის მთავარ სპეციალისტს. ინგლისელმა უმკურნალა RB6-ის შარშანდელ „ბავშვურ დაავადებებს" და ახალ RB7-ში ბევრი ნოუ-ჰაუ დანერგა. მელბურნში ფეტელმა მდევრებს მთელი 22 წამი მოუგო და ამაში მას დაეხმარა ნიუის გენიალური შტრიხი - მგრძნობიარე წინა ფრთა, რომელიც ტრასაზე მანქანის მოჭიდების ძალას ზრდის. ნიუის მანქანებს (1990-96 წლებში „უილიამსში" მუშაობდა, 1997-2005 წლებში „მაკლარენში", 2006 წლიდან - „რედ ბულში") 121 გრანპრი მოუგიათ. შუმახერსა და ფეტელს ჯამში 11-ით ნაკლებ ეტაპზე გაუმარჯვიათ. *„ჩვენ ვებრძვით არა ფეტელს, არამედ ნიუის"*, - თქვა ერთხელ ბატონმა.

## სახლი

2009 წელს ფეტელმა შვეიცარიის კანტონ ტურგაიში შეიძინა სახლი, სადაც დღეს ცხოვრობს. მის გვერდით საჩოგბურთო კორტის და 25-მეტრიანი აუზის აშენება სურდა, მაგრამ ბუნების დამცველები არ აძლევენ ამის საშუალებას.

## ჟესტი

ყოველი გამარჯვების შემდეგ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს ზეცისკენ იშვერს. წელს საყვარელი ჟესტის შესასრულებლად ორივე ხელის საჩვენებელი თითი გამოიყენა, რითაც დააფიქსირა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა. საფირმო ჟესტი პირველად 2008 წელს მონცაში გვიჩვენა, როცა კარიერაში პირველად მოიგო ფორმულა 1-ის ეტაპი. სხვათა შორის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი იდეალური ფორმის არ აქვს - 2006 წელს სპაზე მოიტეხა.

## ხელფასი

აქ ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია, თუმცა წყაროების უმრავლესობა იტყობინება, რომ ფეტელი „რედ ბულში" წელიწადში 15-16 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ამ რიცხვში შედის 3-მილიონიანი ბონუსი ჩემპიონატის მოგებისთვის. ფეტელი პრაქტიკულად ერთადერთი პილოტია, რომელიც მენეჯერის გარეშე გადის ფონს. შემოსავლებით ის მხოლოდ **ალონსოს** (25 მილიონი) და **შუმახერს** (21 მილიონი) ჩამორჩება.

## მოულოდნელობა

შემოდგომის დასაწყისში ფეტელმა განაცხადა: *„შესაძლოა, 4-5 წლის შემდეგ აღარ მქონდეს ფორმულა 1-ში გამოსვლის სურვილი და რაიმე სხვა საქმე ავირჩიო"*. გამოდის, რომ 28 წლის ასაკში აპირებს კარიერის დასრულებას? ცნობისთვის, შუმახერმა მეშვიდე ტიტული 35 წლის ასაკში აიღო...

## მესი

გერმანიაში სიამოვნებით ადარებენ ერთმანეთს მსოფლიოში ორ ყველაზე წარმატებულ სპორტსმენს. ერთიც და მეორეც ზოდიაქოთი კიბორჩხალაა, ერთ წელს დაიბადნენ (1987) ათი დღის სხვაობით. ორივეს ოჯახი ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა. მომავალი მრბოლელი და ფეხბურთელი საყვარელ საქმეს ადრეულ ასაკში შეუდგნენ: სება კარტში სამი წლისა ჩაჯდა, **ლეომ** მამის ხელმძღვანელობით ხუთი წლისამ დაინყო ბურთის გორება. პატივმოყვარენი, დაუღალავები, გონებამახვილურები ერთიმეორის მიყოლებით სწრაფად იღებდნენ სიმაღლეებს. ჰყავთ საიმედო და მუდმივი მეგობარი გოგონები: ფეტელი თავის **ჰანას** ექვსი წელია იცნობს, მესი **ანტონელას** (ის როსარიოში საუკეთესო მეგობრის დაა) - ხუთი წელი.

## ჰანა

ჰანა მშობლიური ჰეპენჰაიმის გიმნაზიაში გაიცნო. ახლა, სებას 23 წლის მეგობარი ტექსტილის დიზაინს სწავლობს ბადენ-ვიუტემბერგში. 2006 წელს, მონცაზე სტუმრობის შემდეგ ფორმულა 1-ის ეტაპს მხოლოდ ერთხელ დაესწრო - წელს სუზუკაზე, როცა სებასტიანმა მეორე ტიტული გაინაღდა.

## პერმეკოსკი

სუზუკაზე ტრიუმფისთანავე ფეტელმა მხოლოდ ერთი სახელი ახსენა - **ტომი პერმეკოსკი**. 28 წლის ფინელი ფიზიოთერაპევტი ადრე ფინეთის ქალ ჰოკეისტთა ნაკრებში მუშაობდა, 2008 წლიდან კი სებას მეურვეა. ისინი წელიწადში 300 დღე ერთად არიან.

## შედარება

გერმანიაში მიაჩნიათ, რომ ფეტელი არანაკლებ პატივმოყვარეა, ვიდრე **შუმახერი**. ამბობენ, რომ ნიჭსა და საჭის შეგრძნებაში **სენას** არ ჩამოუვარდება. **ლაუდასგან** სებამ სიმშვიდე და სიტუაციის გათვლა აიღო. და რაც მთავარია, არც ერთი ძველი ვარსკვლავი ასე კაშკაშა არ ყოფილა ფეტელის დღევანდელ ასაკში.

## თილისმა

ყოველი რბოლის წინ სება ფეხსაცმელში ბებია **მარგარეტისგან** ნაჩუქარ ვერცხლის მონეტას დებს. მასზე გამოსახულია წმინდა კრისტოფორუსი, რომელიც თურმე იცავს მოგზაურებსა და იმათ, ვინც საჭესთან ზის. პირველად ფეტელმა ეს მონეტა ფეხსაცმელში 2008 წელს მონცაზე ჩადო და მას შემდეგ არ ღალატობს ტრადიციას.

## ფეხბურთი

სებასტიანი მინდორზე დიდი სიამოვნებით გადის, დაუღალავად დარბის, მაგრამ ზედმეტის აღება უყვარს საკუთარ თავზე. ფრანქფურტში ჩატარებული მატჩის დროს ფეტელმა რამდენჯერმე არ შეიმჩნია უკეთეს პოზიციაში მყოფი პარტნიორი და თავად გადაწყვიტა დარტყმა.



სებასტიანი და ჰანა

## ციფრები

ფეტელი რბოლის დროს ორ კილოგრამზე მეტს კარგავს და 1200 კალორიას წვავს. გადატვირთვა კოსმოსურია: საათში 100 კილომეტრ სიჩქარეს 1.7 წამში ანვითარებს, 300 კმ/სთ-ს - 8.6 წამში. ბოლიდმა შეიძლება განავითაროს საათში 410 კილომეტრი სიჩქარე. 200 კმ/სთ სიჩქარისას პილოტი მანქანას სამ წამში აჩერებს. რბოლის დროს პილოტები საჭეზე ღილაკების მეშვეობით დაახლოებით 2800-ჯერ რთავენ სიჩქარეს. ყოველ წამს, როცა ბოლიდი ტრასაზეა, ბოქსებში ინჟინრები მანქანისგან 150 ათას სიგნალსა და შეტყობინებას იღებენ.

## შუმახერი

დღევანდელი ჩემპიონის კერპი და მეგობარი. ამ სეზონში მიხაელმა ერთხელ მაინც გაასწრო სებასტიანს - მშობლიურ ქალაქ კერპენში კარტის ავტომობილით 10-საათიან საჩვენებელ რბოლაში, რომელიც იმ ავტოკლუბის 50-წლიან იუბილეს მიეძღვნა, სადაც კარიერას იწყებდა შუმახერი და ბავშვობაში გამოდიოდა ფეტელი. სწორედ აქ გადაიღეს 1994 წელს ისტორიული ფოტო, რომელზეც შუმახერი თასს გადასცემს 7 წლის სებასტიანს. მიხაელს არაერთხელ უთქვამს: თუ ვინმეს უწერია მისი რეკორდების დამხობა, უნდა, რომ ეს სებასტიანმა გააკეთოს.

## ექლსტოუნი

ფეტელი ფორმულა 1-ის ბოსის ფავორიტია. სპაზე რბოლის წინ **ბერნიმ** სება თავის იახტაზე დაპატიჟა. იახტას „პეტარა" ჰქვია - ექლსტოუნის ქალიშვილების **პეტრასა** და **ტამარას** საპატივცემულოდ. სხვათა შორის, ბერნიმ მიანიშნა ფეტელს: წინააღმდეგი არ იქნება, თუ სება მათთან გაისეირნებს, მაგრამ ფეტელს ჰანასთან ურჩევნია.

## იუმორი

სებასტიანს ძალიან კარგად გამოსდის **ფრანც ბეკენბაუერისა** და **ბორის ბეკერის** პაროდია. ბერლინში ფორმულა 1-ის შოუს დროს ღიმილით ითხოვა კამერების გამორთვა, რომლებიც ქუჩებში სიჩქარის გადაჭარბებას აფიქსირებენ. როცა ფრანქფურტში გამართული საფეხბურთო მატჩის დროს ერთ-ერთმა მეტოქემ დამცინავად იოლად გაუტარა ფეხებსშუა ბურთი, ფეტელი მინდორზე დაეცა და ქვითინი დაიწყო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ალბინოლეფე-რეჯინა | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| ანდრია-პიაჩენცა | 1:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რასინგი-მალაგა | 1:3 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-კოტბუსი | 0:1 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-სილკებორგი | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| არაუ-სტ. გალენი | 2:2 |
| **თურქეთი** | |
| ბურსა-სამსუნი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| გიოზთეფე-ელაზიგი | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოჰემიანსი 1905-სპარტა | 0:4 |
| **პოლონეთი** | |
| პოგდესკიჯე-ლეხი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| რაპიდი-გაზ მეთანი | 5:3 |
| კონკორდია-ასტრა | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ბეითარი-მაკაბი (ჰ) | 1:4 |
| **ფრენბურთი** | |
| **მსოფლიოს თასი** | |
| **კაცები** | |
| კუბა-ირანი | 3:0 |
| ეგვიპტე-იტალია | 0:3 |
| ბრაზილია-აშშ | 3:1 |
| სერბეთი-პოლონეთი | 1:3 |
| არგენტინა-იაპონია | 3:2 |
| რუსეთი-ჩინეთი | 3:0 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 5:0 |
| დინამო (მ)-აკ ბარსი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ლიბერეცი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 2:1 |
| ბრინასი-აიკ | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ლონდონი** | |
| მიურეი-ფერერი | 4:6, 5:7 |

## TV პროგრამა

**22 ნოემბერი. სამშაბათი**

### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ბორუსია (გ)-ვერდერი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. იუვენტუსი-პალერმო.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური. ბრესტი-სოშო.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტური. ლანუსი-არსენალი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტური. კორინთიანსი-ატლეტიკო მინეირო.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**01:00** სუპერმატჩი.

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-უდინეზე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.
**14:40** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რასინგი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბენეტონი-ოსპრეი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**21:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:35** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.

### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ლონდონი. ინგლისი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
**15:00** სპორტული ტანვარჯიში. კაცები. გუნდური. შტუტგარტი. გერმანია.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ჟო-ვილფრიდ ცონგა-მარდი ფიში. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მონპელიე-ლენსტერი.
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

### I არხი

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მანჩესტერ იუნ-ბენფიკა (LIVE).

### რუსთავი 2

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ნაპოლი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**03:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**20:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ლილი (LIVE).
**23:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ნაპოლი-მანჩესტერ სიტი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მანჩესტერ იუნ-ბენფიკა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE-ტრანსლიაცია. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მანჩესტერ სიტი-ვილიარეალი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ჟო-ვილფრიდ ცონგა-მარდი ფიში. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

### SPORT+

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიონი-აიაქსი (LIVE).

### EUROSPORT

**18:30** ფეხბურთი. ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი. აზია. ბაჰრეინი-იაპონია (LIVE).

### EUROSPORT-2

**21:30** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).
**23:45** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).



სებას პასის მიცემა არ უყვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1




# ჰონდა ბრუნდება?

იაპონური კონცერნის „ჰონდას“ ხელმძღვანელობა ძრავების მომწოდებლის სტატუსით ფორმულა 1-ში დაბრუნებას განიხილავს. ეს შეიძლება 2014 წელს მოხდეს, როცა მოქმედებაში შევა ძრავებზე ახალი ტექნიკური რეგლამენტი.

გერმანული გაზეთი Auto Motor und Sport წერს, რომ იაპონურმა ავტოგიგანტმა, შესაძლოა, ძრავებით მოამარაგოს „მაკლარენი“. ამჟამად, ბრიტანული საჯინიბო „მერსედესის“ ძრავებს გამოიყენებს. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, გერმანელები 2012 წლის სეზონის ბოლომდე „მაკლარენს“ უფასოდ მიაწვდიან ძრავებს, შემდეგ კი ამოქმედდება ხელშეკრულების პუნქტი, რომელიც ფასიან მიწოდებას ითვალისწინებს. ეს თანხა 2015 წლის ბოლომდე სეზონში დაახლოებით 8 მილიონი დოლარი იქნება.

ჭორების თანახმად, „მაკლარენი“ ალტერნატიულ ვარიანტს ეძებს და „ჰონდას“ მხრიდან დაინტერესება, შესაძლოა, კარგი ვარიანტი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ ფორმულა 1-ში იაპონური ძრავების გამარჯვების დიდი ნაწილი სწორედ „მაკლარენთან“ წარმატებულ თანამშრომლობას უკავშირდება (1988-92 წლები).

„მაკლარენის“ წარმომადგენლებს ამ სიტუაციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ, „ჰონდას“ ერთ-ერთმა მენეჯერმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტექნიკურად კომპანია მზად არის დაბრუნებისთვის, მაგრამ განაწყვეტილება დირექტორთა საბჭომ უნდა მიიღოს.

# ვერნი გაურკვევლობაში


ჟან-ერიკ ვერნი

ფორმულა 1-ის ამომავალ ვარსკვლავს **ჟან-ერიკ ვერნს** მიაჩნია, რომ სიჩქარე, რომელიც მან აბუ-დაბიში ახალგაზრდული ტესტებისას აჩვენა, „სამეფო რბოლებში“ მისი დებიუტის საწინდარი უნდა გახდეს.

ამ სეზონში ფრანგი პილოტი ორ გრან-პრიზე, პარასკევის თავისუფალი პრაქტიკების დროს „ტორო როსოს“ ბოლიდით გავიდა ტრასაზე, ახლა კი იას-მარინას ტრეკზე სამი დღის განავლობაში ყველაზე კარგ დროს აჩვენებდა.

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი ტესტის დროს ვერნმა 0,4 წამით უარესი დრო აჩვენა იმაზე, რაც აბუ დაბის გრან-პრის კვალიფიკაციისას „რედ ბულის“ პილოტს, მსოფლიოს ჩემპიონ **სებასტიან ფეტელს** ჰქონდა.

ვერნი „ტორო როსოში“ მოხვედრის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია: მას შეიძლება შესთავაზონ ძირითადი პილოტის კონტრაქტი ან სარეზერვო პილოტის ადგილი. გარდა ამისა, კომპანია „რედ ბულის“ ავტოსპორტის პროგრამის ხელმძღვანელებმა, შესაძლოა, ფრანგისთვის სხვა გუნდში მონახონ ადგილი. ასე მოხდა წელს, მაგალითად, **დანიელ რიკარდოს** შემთხვევაში - ავსტრალიელმა სეზონის ნახევარი HRT-ის რიგებში გაატარა.

*„ტესტებმა აჩვენეს, რომ საკმარისად სწრაფი ვარ და შემიძლია ფორმულა 1-ში დებიუტი,* - ამბობს ვერნი „ავტოსპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. - *მაგრამ ეს გადაწყვეტილება „რედ ბულმა“ უნდა მიიღოს.*

ამ კომპანიის მხარდაჭერის წყალობით შევძელი ტესტების ჩატარება RB7-ის ბოლიდით და გავიარე გზა კარტინგიდან ფორმულა 1-ის მანქანამდე. ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემს ძალებშია და ახლა „რედ ბული“ გადაწყვეტს, ჩემი კარიერისთვის რომელი ვარიანტი იქნება მიზანშეწონილი. ბრაზილიაში მომიწევს ტესტების გავლა და იქ გამოჩნდება ყველაფერი“.

ავტოსპორტი. ნასკარი

# ტრიუმფი 118 გასწრებით

ნასკარის სერიაში სეზონი გასულ უქმეებზე დასრულდა. აქამდე, ორი საჩემპიონო ტიტულით **ტონი სტიუარტი** ამ სერიის ერთ-ერთ წარმატებულ პილოტად მიიჩნეოდა, მაგრამ ფლორიდას შტატის ქალაქ ჰომსტედში გამართულმა რბოლამ ეს ავტომრბოლი ნასკარის ლეგენდად აქცია.

წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ეტაპი ამერიკული ავტოსპორტის ისტორიაში შევა. სტიუარტმა Chevrolet Impala-ს მანქანით მოიგო რბოლა და კარიერაში მესამედ მოიგო ეს სერია, თუმცა რბოლის სტარტი ჩააგდო და საწყის წრეებზე მე-40 ადგილამდე დაქვეითდა. გარდა ამისა, პილოტმა რამდენჯერმე ბევრი დრო დაკარგა პიტსტოპებზე: თავიდან მანქანას ლოკალური რემონტი დასჭირდა, შემდეგ პრობლემები შეიქმნა პნევმოდომკრატთან დაკავშირებით. მაგრამ ყოველ ჯერზე სტიუარტი ახერხებდა დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. ეტაპისთვის განკუთვნილი 267 წრის განმავლობაში ტონიმ ჯამში 118 გასწრება შეასრულა. მაყურებელმა ემოციებისგან დასვენება მხოლოდ რბოლის შუაში მოახერხა, როცა წვიმის გამო რბოლა ერთი საათით შეაჩერეს.

საერთო ჩათვლის ლიდერმა **კარლ ედვარსმა** სტარტი პირველი პოზიციიდან აიღო და მთელი რბოლა ლიდერთა შორის იყო. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში Ford Fusion-ით მოასპარეზე პილოტმა ვერაფერი დაუპირისპირა სტიუარტის სიჩქარეს და მეორე მივიდა ფინიშთან დაახლოებით წამნახევრიანი ჩამორჩენით.

საბოლოოდ, ჩემპიონატის 36 ეტაპის შედეგების მიხედვით პრეტენდენტებმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ ჩემპიონი სტიუარტი გახდა უფრო მეტი ეტაპის მოგების წყალობით: მის ანგარიშზე ხუთი გამარჯვება იყო, ედვარდსი კი სეზონში მხოლოდ ერთხელ მივიდა ფინიშზე პირველი.

**NASCAR Sprint Cup**

**ჰომსტედი (აშშ)**

1. **ტონი სტიუარტი** („შევროლე“) - 267 წრე; 2. **კარლ ედვარდსი** („ფორდი“) - +1.306; 3. **მარტინ ტრუექსი** („ტოიოტა“) - +7.242; 4. **მეტ კენსეტი** („ფორდი“) - +7.539; 5. **ჯეფ გორდონი** („შევროლე“) - +9.967; 6. **კლინტ ბოუიერი** („შევროლე“) - +11.772; 7. **კეისი კეინი** („ტოიოტა“) - +12.476; 8. **კევინ ჰარვიკი** („შევროლე“) - +14.279; 9. **დენი ჰემლინი** („ტოიოტა“) - +14.505; 10. **ჯეფ ბარტონი** („შევროლე“) - +16.254; 11. **დეილ ერნჰარდტი** („შევროლე“) - +17.177; 12. **რაიან ნიუმანი** („შევროლე“) - +19.620...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტონი სტიუარტი** - 2403 ქულა; 2. **კარლ ედვარდსი** - 2403; 3. **კევინ ჰარვიკი** - 2345; 4. **მეტ კენსეტი** - 2330; 5. **ბრედ კასელოვსკი** - 2319; 6. **ჯიმი ჯონსონი** - 2304; 7. **დეილ ერნჰარდტი** - 2290; 8. **ჯეფ გორდონი** - 2287; 9. **დენი ჰემლინი** - 2284; 10. **რაიან ნიუმენი** - 2284; 11. **კურტ ბუში** - 2262; 12. **კაილ ბუში** - 2246... 21. **ხუან პაბლო მონტოია** - 932...


ტონი სტიუარტი

კალათბურთი


პოლ პირსი

# პოლ პირსი: სეზონი უნდა ჩატარდეს

„ბოსტონ სელტიქსის“ ლიდერი **პოლ პირსი** ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და შეურიგებელი იყო ლოკაუტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს. გუშინ, ფორვარდმა საკუთარი აზრი გამოთქვა შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

*„ოპტიმისტურად ვარ განწყობილი - სეზონი უნდა გაიმართოს. ხშირად მეკითხებიან ამის შესახებ და ყოველთვის ვპასუხობ: დიახ, ჩემპიონატი ჩატარდება. ის შეიძლება მხოლოდ ორი თვე გაგრძელდეს, მაგრამ სეზონი იქნება. ამას ვგრძნობ“,* - ამბობს ბოსტონელი კალათბურთელი.

*„მჯერა, რომ მალე რაღაც მოხდება, ორივე მხარე გააცნობიერებს თავის შეცდომებს და შეთანხმებამდე მივა. სხვაგვარად არ შეიძლება, რადგან ის, რაც დღეს ხდება, საღ შეფასებას არ ექვემდებარება - ლოკაუტი ვნებს NBA-ის საერთაშორისო ავტორიტეტს, ჩვენ კი არ შეგვიძლია ან არ გვინდა შექმნილი სიტუაციის შეცვლა“,* - დაასრულა თავისი კომენტარი პოლ პირსმა.

ამასობაში ირკვევა, რომ **მილერების** ოჯახმა, რომელსაც „იუტა ჯაზი“ ეკუთვნის, შესაძლოა, გაყიდოს კლუბი, თუ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება არ იქნება მომგებიანი NBA-ის კლუბების მფლობელთათვის.

■ ■ ■

ლოკაუტის პერიოდში NBA-ის კალათბურთელები ევროპის გარდა, ჩინეთშიც წავიდნენ სათამაშოდ და იქაურ ლიგაში ორი მათგანს დებიუტი ჰქონდა.

„დენვერ ნაგეტსის“ წევრმა **უილსონ ჩენდლერმა** პირველი მატჩი ჩაატარა ჟეიანგის „ლომების“ რიგებში. ამერიკელი დომინირებდა მოედანზე და საბოლოოდ 43 ქულა, 22 მოხსნა, ოთხი შედეგიანი პასი და სამი ჩაჭრა დააგროვა.

სამაგიეროდ, უიღბლო დებიუტი გამოუვიდა „დენვერის“ კიდევ ერთ ყოფილ კალათბურთელს **ჯეი არ სმიტს**. იმავე ქალაქ ჟეიანგის მეორე კლუბის რიგებში მან მუხლის ტრავმა მიიღო და მხოლოდ პარტნიორების დახმარებით შეძლო მოედნის დატოვება. ჯერჯერობით უცნობია სმიტის ტრავმის ხარისხი.




ბეისბოლი

# მკვლელობა ჰოლანდიაში

ჰოლანდიის ნაკრების რიგებში ევროპის ჩემპიონი და MLB-ის კლუბის „სიეტლ მარინერსის“ წევრი **გრეგ ჰალმანი** ორშაბათს ჰოლანდიაში დანით მოკლეს. სპორტსმენის ოჯახმა დაადასტურა მისი სიკვდილი. ამ საქმესთან დაკავშირებით პოლიციამ უკვე დააპატიმრა ბეისბოლისტის 22 წლის ძმა. ინციდენტის დეტალების შესახებ არაფერს იტყობინებიან.

24 წლის ჰალმანმა 2004 წელს, თავისუფალი აგენტის სტატუსით ხელი მოაწერა „სიეტლთან“ კონტრაქტს. გასულ სეზონში ის ამ გუნდის სარეზერვო აუტფილდერად ითვლებოდა.

ჰალმანი ჰარლემში დაიბადა. 2007 წელს ის ჰოლანდიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა. მისი მამა და ორივე ძმა ასევე ბეისბოლით იყვნენ დაკავებული, გრეგის და კი პროფესიონალი კალათბურთელია.


გრეგ ჰალმანი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**